# ლიტერატურული საქართველო

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი

პარასკევი, 9 ნოემბერი. № 45 (2773) გამოცემის 58-ე წელი, 1990 ფასი 20 კაპ.


## არჩევანი— თავისუფლება!

საგულისხმო შედეგები მოიტანა 28 ოქტომბერს გამართულმა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებმა.

პროპორციული სისტემის მიხედვით მონაწილე თერთმეტი პოლიტიკური პარტიიდან და ბლოკიდან ყველაზე მეტი ხმა დააგროვა „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ ბლოკმა, რომელმაც საერთო ანგარიშით პარლამენტში უკვე მოიპოვა 114 ადგილი; კომპარტიას ერგო 61 ადგილი.

პარლამენტის მომავალ 250 წევრთაგან ჯერჯერობით არჩეულია 182 დეპუტატი.

11 ნოემბერს 59 საარჩევნო ოლქში გაიმართება ხელახალი კენჭისყრა.

ახლად არჩეული უზენაესი საბჭო პირველ სესიას გამართავს 14 ნოემბერს.

„ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია მიესალმება თავისუფლების იდეის საერთო-სახალხო არჩევანს და თანადგომას უცხადებს ჩვენი ქვეყნის პირველ მრავალპარტიულ პარლამენტს, რომლის ღირსეულ უმრავლესობას წარმოადგენს „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ ბლოკი.



მოდინახეს ციხე. თამაზ ქიქავას ფოტო.

## ძვირფასო მკითხველებო!

იწურება ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერის ვადა. გაცნობებთ, რომ მოსალოდნელი ქაღალდის მწვავე დეფიციტის გამო შესაძლოა საცალო ვაჭრობა უაღრესად შემცირდეს. გაზეთის მიღების ერთადერთი გარანტია ხელმოწერის გაფორმებაა. ნუ დააყოვნებთ, გამოიწერეთ „ლიტერატურული საქართველო“.



## ძვირფასო თანამემამულენო!

საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი გილოცავთ ქართველი ხალხის, რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის ნების გამომხატველი უზენაესი საბჭოს არჩევას!

იმედს გამოვთქვამთ, რომ ახალი პარლამენტი ყველაფერს იღონებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, პიროვნების თავისუფლებისა და რესპუბლიკის ეკონომიკური აღორძინებისათვის.

ქართველ ხალხს უნდა ჰქონდეს იმის იმედიც, რომ ჩვენი კავშირი კვლავ ეროვნული თანხმობისა და აღორძინების იდეების ერთგული დარჩება. საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის გზაზე აუცილებელია ჩვენი საერთო ძალისხმევა, სწორედ ამიტომ ვესწრაფვით რესპუბლიკის ინტელექტუალური ძალების კონსოლიდაციას ჩვენს კავშირში.

მადლობის ნიშნად მდაბლად ვუხრით თავს იმ 88 ათასამდე ამომრჩეველს, რომლებმაც სრული შეგნებით მისცეს ხმა ბლოკს — „თანხმობა, მშვიდობა და აღორძინება“. გვინდა, დავარწმუნოთ ისინიც, მთელი ჩვენი ხალხიც, რომ პარლამენტში აურჩევლობა არ შეგვიშლის ხელს სამშობლოს უანგარო სამსახურში.

გაუმარჯოს თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოს!

საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი.

# რა ვქნათ? როგორ მოვიქცეთ?

## თენგიზ ბუაჩიძე

1.

ფაქტიურად გასრულდა საქართველოს უზენაესი საბჭოს მრავალპარტიული არჩევნები. განმეორებითი თუ მეორე ტურის არჩევნები, ვფიქრობ, ბევრს ვერაფერს შეცვლის.

ჩვენი ზნეობრივი ვალია, მივულოცოთ ბატონ ზვიად გამსახურდიას და მისი მეთაურობით შექმნილ მრავალპარტიულ ბლოკს — „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო"—შთამბეჭდავი გამარჯვება საარჩევნო მარათონში.

კომპარტიას? განა კომპარტიას არ უნდა მივულოცოთ? ცხადია, უნდა მივულოცოთ ბატონ გივი გუმბარიძეს და იმ პროგრესულ ძალებს, რომლებიც დღეს კომპარტიაში არიან გაერთიანებულნი. მაგრამ, ვფიქრობ, რომ პარტია, რომელიც წინათ ჩვეული იყო ასპროცენტიან წარმატებას, დღეს ალბათ ერთგვარი გულისტკივილით კმაყოფილდება მხოლოდ 30 პროცენტიანი შედეგით.

პირველ კითხვაზე — „რა ვქნათ? — ვუპასუხე: უნდა მივულოცოთ და იმედი გამოვთქვათ, რომ მომავალი პარლამენტი ნაყოფიერად იმუშავებს.

ყველა ჩვენგანმა ღირსეული პატივი უნდა მიაგოს ქართველი ხალხის არჩევანს.

სანამ მეორე კითხვას ვუპასუხებდე, მინდა ერთ მტკივნეულ საკითხზე გულწრფელად გამოვთქვა ჩემი აზრი.

სამწუხაროდ, საქართველოს უზენაეს საბჭოში არ იქნენ არჩეული სხვადასხვა პარტიასა და ბლოკში გაერთიანებული ადამიანები, რომლებიც, უეჭველია დიდად შეუწყობენ ხელს ეროვნული საქმის წარმატებას. რომელი მცირერიცხოვანი თუ მრავალრიცხოვანი ერი არ ინატრებდა იმ ინტელექტუალურ და შემოქმედებით პოტენციალს, რომელიც მათი გვარებითაა განსახიერებული?

აი, ზოგიერთი მათგანი (ანბანით):

ზურაბ აბაშიძე, ვალერიან ადვაძე, ალექსანდრე ალექსიძე, მერაბ ალექსიძე, ჭაბუა ამირეჯიბი, აკაკი ბაქრაძე, მერაბ ბერძენიშვილი, ვახტანგ ბოჭორიშვილი, ლეონიდე გაბუნია, თამაზ გამყრელიძე, ოთარ გამყრელიძე, გიორგი გაჩეჩილაძე, გოგი გეგეჭკორი, არნოლდ გეგეჭკორი, ნაირა გელაშვილი, ვახტანგ გოგუაძე, რისმაგ გორდეზიანი, თეიმურაზ გოცაძე, რეზო ესაძე, მალხაზ ზაალიშვილი, ლაშა თაბუკაშვილი, კობა იმედაშვილი, ოტია იოსელიანი, ირაკლი კენჭოშვილი, იოსებ კეჟაყმაძე, ვალერი კვარაცხელია, თამაზ კვაჭანტირაძე, ბიძინა კვერნაძე, ზურაბ კიკნაძე, მერაბ კოკოჩაშვილი, ვახუშტი კოტეტიშვილი, ნიკო ლეონიძე, გელა ლეჟავა, ოთარ ლითანიშვილი, მერაბ მამარდაშვილი, გივი მალულარია, ოთარ მელვინეთუხუცესი, რომან მიმინოშვილი, ჯუნა მიქატაძე, დავით მუსხელიშვილი, ნანა მჭედლიძე, ნოდარ ნათაძე, ბიძინა ნანეიშვილი, ზურაბ ნიჟარაძე, გოგი ოჩიაური, გივი ჟორდანია, გურამ რამიშვილი, არჩილ სულაკაური, თენგიზ ფერაძე, ლანა ღოღობერიძე, გურამ ყორანაშვილი, თამაზ შავგულიძე, გიორგი შენგელაია, ელდარ შენგელაია, ირაკლი შენგელაია, ჯანსუღ ჩარკვიანი, გოდერძი ჩოხელი, თემურ ჩხეიძე, რევაზ ჩხეიძე, რამაზ ჩხიკვაძე, ცოტნე ჩხიკვიშვილი, თამაზ წივწივაძე, ნიკო ჭავჭავაძე, ტარიელ ჭანტურია, რეზო ჭეიშვილი, თამაზ ჭილაძე, ოთარ ჭილაძე, ლევან ხაინდრავა, დავით ხახუტაიშვილი, ხოლომონ ხუციშვილი, ალექსანდრე ჯავახიშვილი, ელიზბარ ჯაველიძე, ოთარ ჯაფარიძე, რევაზ ჯაფარიძე...

კიდევ ბევრის დასახელება შეიძლებოდა.

ცხადია, არავითარი საყვედურის გამოთქმა არ შეიძლება არც მათ მიმართ და არც სხვათა მიმართ. საარჩევნო ბრძოლას თავისი უცვლელი კანონები აქვს.

მე მხოლოდ სინანულს გამოვთქვამ, რომ ისინი პარლამენტში ვერ მოხვდნენ.

თუ განმეორებით ან მეორე ტურის არჩევნებში რომელიმე მათგანი გაიმარჯვებს, მეტად სასიამოვნო ფაქტი იქნება.

2.

კიდევ ერთი გადახვევა, ვიდრე მეორე კითხვას ვუპასუხებდე.

იმაში, რასაც ქვემოთ ვიტყვი, დღევანდელი თაობის ქართველ კომუნისტებს არავითარი ბრალი არ მიუძღვით.

ერთგვარი პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ბოლშევიზმის იდეოლოგიამ და პრაქტიკამ თვით დაასამარა სოციალიზმისა და კომუნიზმის ე. წ. იდეალები ამ უზარმაზარ ქვეყანაში და მრავალწილად მის გარეთაც.

საქმით გაანადგურა ის, რასაც სიტყვით მიელტვოდა.

დაუნდობელი ბრძოლა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ამ პროცესის მთავარი შინაარსია.

ყოველივე ამაში უპირველესი და გადამწყვეტი როლი შეასრულა ვლადიმერ ულიანოვმა — ლენინმა, ანაზდად რომ ხელთ იგდო ძალაუფლება და ერთი მუჭა ბოლშევიკების სისხლიანი დიქტატურა დაამყარა.

ვითარცა არაორდინალურმა პიროვნებამ, მან ოსტატურად აამოქმედა მასების ქვენა გრძნობები, განუხორციელებელი დაპირებებით გადაიბირა რუსეთის მცირერიცხოვანი მუშები, აამხედრა მრავალმილიონიანი გლეხობა, მიუსია ხუსტ დემოკრატიულ ძალებს, გაჟლიტა და გარეკა ინტელიგენცია და საფუძველი დაუდო ახალ რუსულ იმპერიას.

ამ იმპერიის დიქტატორულ ხერხებით ზენიტში აყვანას და მსოფლიო ჟანდარმად ქცევას თითქმის სამი ათეული წელი შეალია ლენინის ერთგულმა მოწაფემ, მისი მეთოდების ოსტატურად გამგრძელებელმა და გამამდიდრებელმა იოსებ ჯუღაშვილმა — სტალინმა.

შეიქმნა ის კოლოსი, ის ხალხის ძვლებზე დამკვიდრებული ჯომოლუნგმა, რომლის საზარელი ჩრდილი იქით ევროპას და აქეთ აზიას გადაეფარა.

იმპერიის დამფუძნებელთა უნიათო ეპიგონებმა სცადეს ამ გიგანტური ჩრდილის შეფერადება-შელამაზება, მაგრამ არსი ვერ შეუცვალეს: ბირთვული იარაღით გატენილი ბაყბაყ-დევი ბრაზიანი სიამაყით იღრინებოდა და, ნებსით თუ უნებლიეთ, მისგან უკვე დამოუკიდებელი შინაგანი პოტენციის ძალით. ატომური წარღვნით ემუქრებოდა სამყაროს...

ამ ფანტასტიკური მასშტაბის მომხდარ და მონალოდნელ კატაკლიზმებში განა ვინმეს ახსენდებოდა, განა ვინმეს აწუხებდა ეპოქის მძიმე უროსა და ურყევ გრდემლს შორის მოქცეულ მცირერიცხოვან ერთა თუ ცალკეულ პიროვნებათა ბედი, მიღიონობით რომ ეწირებოდნენ თითქმის ყოვლისმომცველ და თითქოს ურყევ გრანიტად ქცეულ რაღაც უსახურ იდეას?

ცხადია, ამ სიტყვებით არა, მაგრამ იმავე არსით, ისტორიკოსთა და პოლიტოლოგთა მშრალი და საქმიანი ტონით ალბათ ამგვარად დაიწერება მომავლის რომელიმე ენციკლოპედიაში იმპერიის მოკლე ისტორია 1917-დან 1986 წლამდე.

შემდეგ თუ რა დაიწერება, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს.

იმპერია ინგრევა.

ამ ეტაპზე ქართველი ხალხის მთავარი ამოცანაა — არ მოჰყვეს ამ კოლოსის ნანგრევებს ქვეშ და სამუდამოდ სული არ განუტევოს.

უნდა გავერიდოთ, რადაც უნდა დაგვიჯდეს.

თუმცა ეს პროცესი არც ისე უბრალოა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.

მაშ როგორ მოვიქცეთ?

მეორე კითხვას ლოგიკურად მივადექით.

3.

ჩვენი მთავარი იმედი და დასაყრდენი ახლა ეროვნული პარლამენტია.

არ გამოვრიცხავ ეროვნული კონგრესის დადებით როლსაც ქართველი ერის ბედ-იღბლის გადაწყვეტის საქმეში.

მათ შორის მძაფრი კონფრონტაცია საქმესაც დაღუპავს და ხალხსაც. ეს იქნება საშინელება.

ყველამ უნდა შევიგნოთ: ის კი არ არის მთავარი, ვინ ხელმძღვანელობით გავივლით გასავლელ გზას, არამედ ის, რომ ეს გზა წარმატებით გავიაროთ, თუნდაც ეს ორი პრობლემა უშუალოდ იყოს ერთმანეთზე დამოკიდებული.

როგორც ადრეც ვწერდი, მთავარი მიზანი ყველასთვის ერთია, მხოლოდ ტაქტიკაშია განსხვავება.

გონივრული, აწონილ-დაწონილი ტაქტიკა გამარჯვების საწინდარია. ესეც ყველასთვის ცნობილია.

თუ ოპოზიცია იქნება — მხოლოდ კონსტრუქციული, როგორც ცივილიზებულ ერს შეეფერება. ისიც ყველამ იცის, რომ ჯანსაღი ოპოზიცია საქმეს რგებს, გვეხმარება ჭეშმარიტების დადგენაში, გვაძლიერებს და გვამდიდრებს.

არავითარი სომხურ-აზერბაიჯანული და მოლდავური ვარიანტები საქართველოში არ უნდა დატრიალდეს.

როგორღა მოვიქცეთ ჩვენ, მასები, უბრალო ადამიანები, რომლებიც არსად არ ვართ არჩეულნი და ჩვენ-ჩვენ საქმეს ვადგივართ?

ასევე შეგნებულად და გონივრულად.

სრული მხარდაჭერა უზენაეს საბჭოს, მიუხედავად იმისა, მოგვწონს თუ არ მოგვწონს მისი დღევანდელი შემადგენლობა.

ერთგული თანამშრომლობა, თუკი ეს მას დასჭირდება.

მას არ უნდა გადავაბრალოთ ახლანდელი კრიზისული ვითარება.

უნდა ვაჟკაცურად გავუძლოთ იმ მძიმე წლებს, წინ რომ მოგველის.

მთავარი ყურადღება ბავშვებს, ახალგაზრდებს, მოხუცთ და უძლურთ.

ჩვენ ისეთი თაობა უნდა გავზარდოთ, რომელიც თავისუფალი იქნება იმ სულშემხუთავი სტერეოტიპებიდან, ათეული წლების მანძილზე რომ თავში გვიჭედავდნენ. და, ამავე დროს — ზნეობრივი თაობა, განათლებული, განათლებით ამაღლებული და საქართველოსათვის შეგნებულად თავდადებული.

სწავლა ცხოვრებაში მათი გამარჯვების საწინდარია.

ყველამ ჩვენ-ჩვენ ადგილებზე, რითაც და როგორც შეგვიძლია, უნდა ვემსახუროთ იმ იდეალს, რომლის მიღწევა დღეს უკვე აღარ არის ფანტასტიკა: თავისუფალ დემოკრატიულ საქართველოს.

ღმერთო, როგორც იქნა, ეს საკითხი დღის წესრიგში დადგა!

ერთ მუშტად შეკრულ ქართველ ერს ვერავითარი ძალა ვერ მოერევა...

4.

იმის გამო, რომ ახლა ჩემა ფიქრი სულ მომავლისკენ არის მიმართული, მათდამი, ვინც ჩვენს შემდეგ მოვა და იღვაწებს თავის სამშობლოში, მახსენდება და ხშირად ვუბრუნდები გიორგი მთაწმინდელის ცნობილ სიტყვებს, ეტრატზე ალბეჭდილს მომავალთა გასაგონად:

„... რამეთუ ვიყვენით ოდესმე ჩვენ, ვითარცა თქვენ და თქვენცა იქმნეთ, ვითარცა ჩვენ..."

არ არსებულა თაობა, რომელიც მომავალს იმედით არ შესცქეროდა.

არ არსებულა თაობა, რომელსაც ამოოხვრით არ ეთქვას მომავალზე: ისინი მაინც მოესწრონ ბედნიერ ცხოვრებასო.

არ არსებულა თაობა, კმაყოფილი რომ ყოფილიყო თავისი ბედით.

ის მცირე ბედნიერებანი, ცხოვრებაში რომ ზოგჯერ შეგვხვედრია, ვერ ქმნის საერთოდ ცხოვრების (ბედნიერების) ილუზიას.

მაგრამ ნეტარხსენებული გიორგი მთაწმინდელის სიტყვები უფრო ღრმა და უფრო ზოგად აზრს შეიცავს, ვიდრე ის ცნობილი სენტენციები, მათ შემდეგ რომ დავწერე.

ბიბლიის სიღრმეებიდან ამოსულ მის სიტყვებში არის რაღაც სასოწარმკვეთი, რაღაც უიმედობა, რაღაც სევდა, სიცოცხლის სწრაფწარმავლობის მძაფრი შეგნებით რომ გამოუხატავს ბრძენკაცს.

შემდეგ გიორგი კვლავ უბრუნდება ადამიანისათვის დამახასიათებელ იმედს მომავლისა, „იმედს ღვთისა და ერისა".

ასე ვიტყვი მეც: დღეს ჩვენ ვართ და ხვალ აღარ ვიქნებით. ხვალ თქვენ მოხვალთ, მაგრამ დადგება ჟამი და თქვენც ჩვენსავით აღარ იქნებით. ასე გრძელდება და გაგრძელდება მარად, მარად და მარად, ვიდრე ქვეყნად სიცოცხლე არ მოისპობა.

მაგრამ მეც მაქვს იმედი მომავლისა, იმედი ღვთისა და ერისა.

8 ნოემბერი, 1990 წ.

# ესეც შენი კავკასიის ფედერაცია

26 ოქტომბრიდან არ წყდება ჩემს ბინაში ტელეფონის ზარი. მეკითხებიან: და დაგიშავა ადიგენმა, რომ აფხუების ჩასახლება, არც მეტი არც ნაკლები, ადიგენში გადაგიწყვეტიაო. გაზეთ „კავკაზიის" კორესპონდენტის წერილში, რომელიც ქართულადაც გადმოიბეჭდა, ასეთი წინადადებაა: „ქართული ჟურნალის „კრიტიკის" (რომლის რედაქტორია რ. მიშველაძე) სატიტულო გვერდზე, მაგალითად, ერთ სვეტადაა ჩასმული მუქარა შეიარაღებისა და აფხაზთა ადიგენში გარეკვისა!!!"

„კავკაზში", ალბათ, ადიღე (რუს. ადიგე) ეწერა და „ადიგენი" კორექტურული შეცდომის შედეგად გაჩნდა, ხოლო მე, ჩემდა თავად, „კრიტიკის" სატიტულო გვერდზე სიტყვა „ადიღეც" არსად მიხსენებია. დახედეთ 1989 წლის „კრიტიკის" № 4-ის სატიტულო ფურცელს: „კრიტიკის" რედაქცია გმობს აფხაზი ტერორისტების ალვირახსნილობას. უბეში შეფარებულთაგან ღალატს საქართველო მიჩვეულია, მაგრამ ვაფრთხილებთ ყველას: ჩვენი მოთმინების უნარით ბოროტად ნურვინ ისარგებლებს! ნუ გვაიძულებთ, რომ ერთ დღეს ჩვენც ავისხათ იარაღი და, რაკი სამართალი ჩვენთვის აღარ არსებობს, ავდგეთ და სტუმარს გზა იქეთ ვუჩვენოთ, საიდანაც ამ ორიოდე საუკუნის წინ ჩამობრძანდა".

„აფსუა ძმებმა" 16 ივლისს რომ სისხლიანი კალო მოგვიწყვეს, მე მგონი გვქონდა უფლება ჩვენც გვეთქვა — ნუ გამოგვიყვანთ მოთმინებიდანო.

წერილის ავტორს უფიქრია: აფსუები ხომ ორიოდე საუკუნის წინათ ადიღედან არიან ჩამოსულნი და, რად უნდა მისანი, „საიდანაც"-ში უთუოდ ადიღე იგულისხმებაო.

ისე კი, სწორედ ადიღეს ვგულისხმობდი, რაკიღა აფსუანი ადიღეველთა გვარტომისანი ბრძანდებიან, ენა-კულტურა საერთო აქვთ და სწორედ რომ ჩრდილოეთიდან არიან „ჩამოწეულნი" არც თუ შორეულ წარსულში.

ზედმეტია ლაპარაკი ჩვენს ალუვსებელ მოთმინების ფიალაზე და იმაზეც, სად რას ვგულისხმობდით აკაკი ბაქრაძე, გურამ ფანჯიკიძე, და მე ნართაულგადაკრულად. საქართველო ხომ ცუდად გაგებული ინტერნაციონალიზმის პოლიგონი და ყველა ერის გზადაბნეულთა საერთო სახლია, ახლაც რომ თვლემს და იძირება მშვიდობიანი დემოგრაფიული დაპყრობის ოკეანეში.

ახლა ნახეთ ყოველგვარი „გულისხმობის" გარეშე, პირდაპირ რას სწერს „კავკაზის" ავტორი: „თვით აფხაზეთი ჩვენ მიგვაჩნია ოკუპირებულ ტერიტორიად და ყველაფერს ვილონებთ, რათა აფხაზეთი დავუბრუნოთ კავკასიის ფედერაციის წიაღს, ხოლო კავკასიის ფედერაციას დავუბრუნოთ მისი დედაქალაქი — ქალაქი სოხუმი.

და დასასრულ, ჩვენს მიმართ უკვე მეორე აგრესიად მიიჩნიეს საქართველოს მეზობლად მცხოვრებმა მთიელმა ხალხებმა შარშან ივლისში აფხაზეთზე თავდასხმა ქართველთა მრავალათასიანი რაზმების" („კავკაზ", 1/X-90)

წაიკითხეთ?

ახლა ჩვენ მოთმინების ფიალა განზე გავაჩოჩოთ და გაფუჭებული პატეფონივით წამდაუწუმ ვიძახოთ: ძმებო! გონს მოდით, კავკასია ხომ ჩვენი საერთო სახლია. ვიცხოვროთ სიამტკბილურად. წაიღეთ, დაინაწილეთ ჩვენი ტერიტორია. მოძებნეთ ყველა ერის წარმომადგენლმა თქვენი დედაქალაქები ჩვენს მიწაზე. უბატონოდ ხმის გამცემი არა ვართ-თქო.

ასე სჯობს ნამდვილად.

პოლიტიკა ასე გვასწავლის: ისინი უნდა გვეუბნებოდნენ, კავკასიის საერთო სახლში თქვენი ადგილი არ არის, ქართველო ოკუპანტებოო, და ჩვენ ცრემლის ყლაპვით უნდა ვლუღლუღებდეთ: კარგი ახლა, თუ ღმერთი გწამს, ნაწილნაწილად წაიღე, ერთბაშად ნუ გამქურდავ და მშრალზე ნუ დამტოვებ, ნუ დამაქცევ ჭერს, ცოტა ხანს, თავზეო.

ესეც შენი „კავკასიის ფედერაცია"!..

რევაზ მიშველაძე

# შენი გზით, ადამ ალვანელო!

## როსტომ ჩხეიძე

მერე, ოდესმე მაინც გარდაისახება ადამ ბობღიაშვილის ტრაგიკული ბედი ამაღლებულ და შთამბეჭდავ სიმბოლოდ და ამ ღირსებით დამკვიდრდება ერის შეგნებაში.

ოდესმე მაინც.

ჯერ ძლივს მიადგა ორიოდ სხივი მის წყვდიადში ჩაძირულ სახებას...

ხოლო, როგორც გადმოგვცემენ, ალექსანდრე მაკედონელს...

ნუ შეცბუნდებით, საიდან სადაო, ან ორი სხვადასხვა ჩანაწერი შემთხვევით ხომ არ გადაება ერთმანეთს, ჯერ ჩამამთავრებინეთ და მერე თქვენი განცდებისა თქვენ იცით. — ალექსანდრე მაკედონელს ერთხელაც ეს სიტყვები წამოსცდენია: შენ კი არ იყავი დიდი, აქილევს...

გთხოვეთ: გეცლიათ.

თუ არა: წასაკითხი აუარებელია... ან რა ჩემი რჩევა გჭირდებათ.

დიახ, მაკედონელს ეს წამოსცდენია: შენ კი არ იყავი დიდი, აქილევს. დიდი შეგხვდა მაქებარიო.

მისთვის აქილევსი ძლევამოსილი და ძვირფასი სახელი გახლდათ და გმირობისა და ვაჟკაცობის საზომად მიაჩნდა, მაგრამ — ამავე მიზეზის გამო — შინაგანი მეტოქეობითაც ავსილიყო და გაუნელებელი სურვილი აწვალებდა, იმას დასდარდებოდა და თვით აქილევსზე მეტი სახელი მოეხვეჭა.

ქვეყანას ქვეყანაზე იპყრობდა, თავისი სახელი კიდით კიდემდე მოჰფინა და განადიდა, მაგრამ აქილევსს ვერა და ვერ გაუტოლდა და თავს რომ იტეხდა, ნეტა რისი ბრალიაო, ბოლოს მიზეზი ასე ამოხსნა: მაქებარი შეხვდა დიდიო.

კარის პოეტებს ამუნათებდა და ძალიან ეზარბებოდა აქილევსის ხვედრი. თვითონ ლამის თერსიტეობასაც დათანხმებოდა, ოღონდ ჰომეროსის ბადალი მეხოტბე გამოსჩენოდა, იმას კი ეს რა ბედი სწვეოდა.

ეზარბებოდა კიდეც და თავსაც ინუგეშებდა, ჰომეროსმა მაჯობა და არა აქილევსმაო.

დიადმა პოეტურმა წარმოსახვებმა და გააზრებამ რომ აღამაღლა აქილევსის სახელი შთამომავალთა თვალში, უდავოა, მაგრამ ნეტა უამისოდაც თუ წარმოგვიდგებოდა გამორჩეულ გმირად და პიროვნებად?

ალექსანდრე მაკედონელი დარწმუნებულია: მაინცდამაინც ვერაო.

და თუკი სხვანიც დაეთანხმებიან, ადვილი შესაძლებელია, ყველაზე მტკიცე საბუთად ის მოიმარჯვონ, — თუ არა საგმირო ეპოსისათვის ნიშანდობლივი მხატვრულ-იდეური გააზრება, გმირებსა და ღმერთებს ერთმანეთს რომ უტოლებს და გმირის ყოველი საქციელი ამ თვალთახედვით ფასდება, აქილევსის წადილი — მიატოვოს ტროას ალყა და შინ დაბრუნდეს — სხვა რა არის, გარდა ომისაგან თავის არიდების მცდელობისა, რაც მის ღირსებას ხინჯად ემჩნევაო. მითუმეტეს: მაკედონელს არასოდეს ფიქრადაც არ გაუვლია ბრძოლის ველის მიტოვება.

აქილევსის მრისხანება თანამებრძოლთა მიმართ მართლაც კოსმიური ძალის განცდადაა წარმოსახული („ილიადას“ კომპოზიციური ქარგა ამის გარშემო იკვრის) და სწორედ ეს ამაღლებს და აზვიადებს გმირის საქციელს, მაგრამ თუ იმათ ნებას დავყვებით და ამ ეპიზოდს რეალისტურ მზერას მივაპყრობთ, თვითვე დავრწმუნდებით, თუ როგორ გამოჩნდება ზეცამდე აღზევებულ ვნებათა მიღმა ომის მიტოვების მოსურნე კაცის სახება.

ხოლო მაკედონელს არასოდეს ფიქრადაც...

ასე რომ: აქილევსისთვის თითქოს მართლაც დიდ მაქებარს უშველია.

მცირე ხინჯი ამაღლებულ პოეტურ წარმოსახვებში იოლად მიუჩქმალავს. მცირე იმიტომ, რომ აქილევსი ბოლოსდაბოლოს ხელს იღებს განზრახვაზე და კვლავ ბრძოლას უბრუნდება.

...მაგრამ ადამ ბობღიაშვილის სახელი კვლავ სრულიად შეუფერებლად ხომ არ გამოიყურება ამ ფონზე?

ერთხელ უკვე მოგახსენეთ და რჩევაც გაგიზიარეთ.

ეპოსში აქილევსის მრისხანება თავისებურადაა მოტივირებული. მოგეხსენებათ: მთავარსარდლის, აგამემნონის, ბრძანებით წაჰგვარეს ტყვე-ქალი, მშვენიერი ბრიზეიდა და ამ უსამართლობამ და ძალადობამ ალაშფოთა.

მოტივირება მოტივირებად, ოღონდ უთუოდ საგულისხმოა, ბრიზეიდას წაგვრა მიზეზი გახლდათ აქილევსის რისხვისათვის თუ მხოლოდ ხელსაყრელი საბაბი შინ დასაბრუნებლად?



„ილიადადან“ ამას ვერ შევიტყობთ, მაგრამ არსებობს სხვა გადმოცემები, რაც ყოველივეს მკაფიოდ განგვიმარტავს.

თავის დროზე შეუქმნიათ, ეგრეთწოდებული, კიკლიკური პოემა, თუ როგორ გაურბოდა ომში მონაწილეობას აქილევსი: სამკვიდრო მიუტოვებია, ნათესავებთან შეუფარებია თავი და ისიც კი არ უთაკილნია, რომ ქალის ტანსაცმელი ჩაეცვა და ხელში თითისტარიც დაეჭირა. აგამემნონის მაცნენი გულმოდგინედ დაეძებდნენ, ქვეყანა გადაატრიალეს, გუმანმა კვალსაც მიაგნებინათ და თავზეც დაადგნენ ქალიშვილებში ჩამჯდარსა და ძაფის რთვით გართულს, მაგრამ — ისე შენიღბულიყო — ცნობით ვერ იცნეს და გაწბილებულები რომ აპირებდნენ მთავარსარდალთან დაბრუნებას, მათთან ერთად მყოფ ოდისევსს არ გამოჰპარვია ერთ-ერთი ქალიშვილის ცოტა არაბუნებრივი მიხვრა-მოხვრა და ბეჯითად რომ დაჰკვირვებია, აგერ აქილევსიო, უნიშნებია მაცნეებისთვის... და იმათაც ხელი უტაციათ.

არადა, თვითონ ოდისევსიც...

ჯერ აქილევსს მივყვეთ.

ადვილი წარმოსადგენია, როგორ ფიცხლად შემოახევდნენ ქალის სამოსს, აბჯარსაც იქვე გადააცვამდნენ, გარს შემოერტყმოდნენ, გზაში არსად გაგვექცესო, და აგამემნონს მიჰგვრიდნენ.

ასე ჩაება ომში აქილევსი.

ეს კიკლიკური პოემა ჩვენამდე არ შემონახულა, მხოლოდ ზოგადმა შინაარსმა მოაღწია, რადგანაც ბერძენთა თავმოყვარეობას დიდად შეურაცხყოფდა საამაყო გმირის ამგვარი თავგადასავალი. გაცილებით ერჩივნათ, ეს პოემა საერთოდ არ არსებულიყო, მაგრამ რახან შეიქმნა, უკმაყოფილებას იმით გამოხატავდნენ, რომ დასავიწყებლად გაიმეტებდნენ. აბა, რანაირად შეეთვისებინათ წარმოსახვაში დამკვიდრებული ხატი ომში ლამის სიმღერით მიმავალი აქილევსისა ამ... არა, ეს ქალის სამოსი მაინც რა იყო... და ხელში ძაფი და თითისტარი.

და თუმცა მათი რწმენით კიკლიკური პოემა სიცრუეს ჰყვებოდა და გმირის რომანტიულსა და იდეურ სახელს ამცირებდა, მაგრამ ვითომ მართლა აყალბებდა ეს პოემა სინამდვილეს? განა თვით „ილიადას“ დიად ჰეროიკულ წარმოსახვებშიც არ გამოილანდა აქილევსის განზრახვა: ომი მიეტოვებინა?

როცა აქილევსის ცხოვრების ამ ეპიზოდებს — ასე განსხვავებული გზით მოღწეულს — ერთმანეთს შევუფარდებთ, მათ შორის უთუოდ გამოიკვეთება შინაგანი კავშირი: და აღარც ომისაგან თავის არიდება მოგვეჩვენება მოულოდნელი და გაუგებარი და ბრიზეიდას წაგვრაც მხოლოდ ხელსაყრელ საბაბად წარმოგვიდგება.

პიროვნული ბუნება ორივეგან, არსებითად, ერთნაირი ჩანს, უბრალოდ ხედვის კუთხეა სხვადასხვაგვარი: კიკლიკურ პოემაში რეალისტური და „ილიადაში“ — რომანტიულ-ჰეროიკული.

ესეც ვიკითხოთ: ასრიგად რატომ უფრთხის ბრძოლას აქილევსი?

იქნებ მშიშარაა და მოსალოდნელი სიკვდილი ისე უკარგავს თავგზას, სულ იმის ცდაშია, გაექცეს და დაემალოს?

მაგრამ გულდედალი კაცი ვერც ჰექტორს დაჯაბნიდა ხელჩართულ ბრძოლაში და ვერც ასეთი მეომრული დიდებით შეიმოსებოდა.

მაშ რა ვიღონოთ ამ გაურკვევლობის გასაფანტად?

გავიხსენოთ მხოლოდ ის, რომ აქილევსს უხმობენ არა ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლაში, არამედ დამპყრობლურ ომში. და თუმცა ბერძენთა მაშინდელი იდეოლოგია ვითარებას სულ სხვაგვარად წარმოსახავდა და ამტკიცებდნენ, თითქოს სამართლიან შურისძიებას ასრულებდნენ ტროელთა მიერ მშვენიერი ელენეს მოტაცების გამო, მაგრამ აქილევსს ვერ აცდუნებდა იდეოლოგიური საბურველი და ვერც უსამართლობას მიიჩნევდა სამართლიანობად.

თანამემამულენი ერთბაშად უცხონი შეიქმნენ და მათ გვერდით დგომა არაფრისდიდებით არ სურდა, ძალისძალათი თუ არ ჩაითრევდნენ ტროას ალყაში.

იდეოლოგიამ ვერც ოდისევსი შეაცდინა და, რადგან სხვათა დაპყრობა-დამონება არც იმის ბუნებას ეთანხმებოდა, მანაც ომისაგან გარიდება ამჯობინა. სხვა კიკლიკური პოემა იმის თავგადასავალს მჰყვებოდა, ოღონდ რაკილა შეურაცხყოფილმა ბერძნებმა ისიც დასავიწყებლად გაიმეტეს, აქაც მხოლოდ ზოგადი შინაარსი შემოგვრჩა: თუ როგორ მოუგიჟიანებია თავი ოდისევსს, უღელში ხარი და ვირი შეუბამს და ხვნას ისე შესდგომია, აგამემნონის მაცნენი დაეჭვებულან და ხნულში ჩვილი ტელემაქე ჩაუგდიათ. და ოდისევსს შვილი ხნულიდან რომ ამოუტაცნია, ბავშვი გამოურთმევიათ და თვითონ თან გაუყოლებიათ, გიჟს შენ არაფერი გიგავსო. მერე ეტყობა ოდისევსს — რახან თავის დახსნის იმედი გადაუწყდა — აქილევსის შემხედვარეს შური მორევია, მე თუ ვერ დავიმალე, ეს ვითომ ვინღა არისო; და ამიტომაც ამხილა.

ხომ აგრერიგად ესიკვდილებოდათ ამ ომში მონაწილეობა, მაგრამ ავმა ბედისწერამ ისე განარიგა და მოვლენები ისეთნაირად დატრიალდა, რომ, არსებითად, ამ ორმა კაცმა განსაზღვრა ტროას დამხობა:

აქილევსმა — ჰექტორის მოკვლით;

და ოდისევსმა — მზაკვრული ფანდით (ხის ცხენით რომ მოახერხა ბერძენთა შეპარება ტროაში).

სახელიც ამით გაითქვეს და საგმირო ეპოსთა შუაგულშიც ამიტომ მოექცნენ, მაგრამ სინამდვილეში ეს მათი პიროვნული ტრაგედია გახლდათ: რისი არიდებაც გულით სურდათ, მთლად მათი ხელით აღესრულა.

ალექსანდრე მაკედონელისათვის ეს ყოველივე უთუოდ გაუგებარი იყო და აქილევსის სახელს რომ შენატროდა, სწორედ ის ეზარბებოდა, რაც გმირს ტრაგედიად გადაქცეოდა. — სად დასაღვრელ სისხლს სად ღვრიდა: და თავის მამულში სამართლიანობის დამკვიდრებისა და თანამოძმეთა სულიერი ამაღლებისათვის მოღვაწეობის ნაცვლად სხვის ქალაქს გადაუჭრა სასიცოცხლო ძარღვი. არადა, რატომ უნდა შეხლოდა ჰექტორს, ვინც თავის მიწა-წყალს იცავდა და მის თავისუფლებას შეეწირა. გმირი ის იყო, გულგანგმირული, მაგრამ სამართლიანობის აღმსრულებელი.

ხოლო აქილევსს არაფრით დაანებეს თავისი ნამდვილი ბუნების, სულიერი კეთილშობილების ბოლომდე გამომჟღავნება და, ძალმომრეობაში ჩათრეული, სულ სხვა იდეალების მიმდევრად და გამომხატველად გადააქციეს. და თუმცა ეს სახელი დღემდე ამ სიმბოლურ რიგში დგას — და არც უსაფუძვლოდ — მაგრამ მოვალენი ვართ არ დავუვიწყოთ ის თავგანწირული სულისკვეთება დამპყრობლურ ომს რომ გაურბოდა და მისი სახება გაცილებით უფრო შესაფერის სიმბოლიკას დავუკავშიროთ. მითუმეტეს, რომ ტრაგიკულმა აღსასრულმა გარკვეულად გამოასყიდვინა ჩადენილი ცოდვა. აქილევსის დაღუპვა მოვლენათა ლოგიკური დაბოლოებაა და სავსებით ბუნებრივად გადაჯაჭვული ჰექტორის მკვლელობას.

რაც შეეხება ოდისევსს, ცოდვა ასე გარკვეულად გამოასყიდვინა ათწლიანმა ტანჯვა-წვალებამ, ვიდრე შინ მიაღწევდა.

ასეა თუ ისე, აქილევსი და ოდისევსი ის პირველი ლიტერატურული გმირები — და რეალური პიროვნებანი — არიან, ვინც მძაფრი პაციფისტური სულისკვეთებით განმსჭვალულიყვნენ (ყოველ შემთხვევაში, მანამდე ამ მრწამსისა არავინ ჩანს) და ჩვენს წარმოსახვაში ასე წარმოსდგებიან:

აქილევსი — ქალიშვილებში ჩამჯდარი;

და ოდისევსი — გუთანს მოკიდებული.

...მაგრამ, სამწუხაროდ, იძულებას მაინც დამორჩილდნენ.

გავა საუკუნეები და, ვინ დათვლის, რამდენი პიროვნება წარსდგება ამ მახინჯი, საზარელი, არაბუნებრივი მოვლენის წინაშე, რასაც ჰქვია დამპყრობლურ ომში მონაწილეობა. — და სიხარულით კი არ აჰყვება სხვისი დამონების ველურ ინსტინქტს, მისგან თავის დაღწევას შეეცდება ან მხოლოდ იძულებით დაღვრის სისხლს სხვისთვის თავისუფლების წასართმევად.

იცვლებოდნენ დამპყრობელნი, მაგრამ ეს ტკივილი — უსასოობას გადაჯაჭვული უსამართლობის განცდა — გაუნელებლად ბრუნავდა და ტრიალებდა.

და ამ ერთიან ტკივილშია შენივთებული ყველა იმათი ურვა-წუხილი, მხოლოდ საკუთარ გულს რომ ასკდებოდნენ და წინ ძლევამოსილნი მიიწევდნენ თუ სასიკვდილოდ განგმირულნი მიწაზე ეშვებოდნენ, გონებაში ელვასავით. სულ ეს კრთოდა: აქ რა მინდა... ვის ვებრძვი... რატომ... თავს ვის ვწირავ...

რაც შეეხება ადამ ბობღიაშვილს ეს უკვე ბოლო დროის ამბავია — მეორე მსოფლიო ომის.

მაინც რატომ უნდა გარდაისახოს მისი ტრაგიკული ბედი ამაღლებულ და შთამბეჭდავ სიმბოლოდ და ერის შეგნებაში ამ ღირსებით დამკვიდრდეს?

იგი ერთი იმ პიროვნებათაგანი გახლდათ, ვისაც — მიუხედავად სასტიკი რეპრესიებისა და მძლავრი იდეოლოგიური წნეხისა — კარგად მოეხსენებოდა, რა დღეშიც ჩავარდნილიყო საქართველო, გულიც ერჩოდა, მის გამოხსნაზე ეფიქრა და ვერც ვერაფრით აიძულეს ჩაედინა ისეთი რამ, რაც მის ეროვნულ მრწამსსა და სულიერ მიდრეკილებას არ ეთანხმებოდა.

სინამდვილეზე ჩამოფარებული იდეოლოგიური საბურველი სულ სხვაგვარად აირეკლავდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს და ხალხს ჩააგონებდნენ, სამშობლო განსაცდელში ჩავარდა და მოვალენი ხართ სიცოცხლე არ დაინანოთო. მაგრამ ადამ ბობღიაშვილს ცრუსამშობლო არაფრისდიდებით არ აერეოდა ჭეშმარიტ სამშობლოში და არც იმის სურვილი გასჩენია, იმპერიის გაძლიერებისა და საზღვრების გაფართოებისათვის ეღვარა სისხლი და თვითონ დამონებული ერის შვილი ბალტიისპირელებსა თუ აღმოსავლეთ ევროპის სხვა ხალხებს მოვლენოდა დამპყრობად. თავისუფალი ქვეყნის შვილი რომ ყოფილიყო, ჯერ მაშინაც... ხოლო მისი ქვეყნისთვის იმპერიის დამსხვრევა სჯობდა და ნამსხვრევებს შორის სიცოცხლის ხელახალი აღორძინება და ბუნებრივი გზით სვლა. იგი მწერალი იყო და სძულდა ტოტალური რეჟიმი, სძულდა ომი და სისასტიკე, სძულდა კაცისკვლა, სძულდა საოკუპაციო ჯარი და მისი ადამიანური ღირსება ამ სიძულვილს ვერ შეელეოდა. ჰუმანისტური და პაციფისტური სული თავისი ნებით ძალმომრეობის მხარეზე რანაირად დადგებოდა და იძულებით რომ არ ჩაეთრიათ მსოფლიო ომში, თოფი აიღო და თუშეთის მთებში გადავარდა, მშობლიურ კუთხეს შეაფარა თავი.

იდუმალად მოსდებოდა მთელს იმ არე-მარეს, ადგილ-სამყოფელს მალიმალ იცვლიდა, სადაც უღამდებოდა, იქ უთენდებოდა: ხან ხის ძირას, ხან ვეება ლოდებს შორის, ხან ეხში, ხან ნაპრალში... უჩუმრად ჩამოივლიდა სოფლებს და თანამზრახველთ თუ თანამგრძნობელთ იკრებდა, თავისუფლების ჩაკლულ სულს ზრდიდა და, დაუნდობელი დევნისაგან შევიწროებული, მაინც იმედითა და გონების თვალით შეჰყურებდა იმ მიხვეულ-მოხვეულ სიმბოლურ ხაზს თუშეთის აყოლებაზე, რომელიც წაშლილიყო და არავითარი დანიშნულება აღარ გააჩნდა, მაგრამ უთუოდ უნდა აღედგინა ოდინდელი შინაარსი და კვლავ ეროვნული საზღვრის ნაწილი დარქმეოდა. საზღვარ-სამანი აქ უნდა გავლებულიყო. — ეს მერე. და ჯერ ოცნებით შეჰხაროდა და სხვებსაც ამ განცდას ულვივებდა.

ამ მთავარი მიზნის მიხედვით შეერქვათ ადამ ბობღიაშვილსა და მის თანამზრახველთ „სამანისტები“ და ამ სახელით შევლენ ჩვენს უახლეს ისტორიაში.

გადაწყვეტილი ჰქონდათ: თუ გერმანელები შემოიჭრებოდნენ, საზღვარზე დახვდებოდნენ არა როგორც იმპერიის განაპირა მხარის, არამედ სრულუფლებიანი სახელმწიფოს წარმომადგენელნი და მოლაპარაკება გაემართათ — იქნებ ქვეყანა როგორმე ეხსნათ ახალი რბევისაგან, თუ არა პირველნი თვითონ დაცემულიყვნენ მის მიწაზე.

ხავსს ებღაუჭებოდნენ.

საქართველო როგორ საბედისწეროდ გაბლართულიყო ორი ულმობელი იმპერიის ჭიდილში.

როგორც გადმოცემები გვატყობინებს, სამანის წევრები სამოცდაათნი მაინც ყოფილან, მთელს თუშეთში გაფანტულიყვნენ და ფარულად ხვდებოდნენ თუ ეხმიანებოდნენ ერთმანეთს. მათი ვინაობა გასაიდუმლოებულიყო. და ადამის გარდა მხოლოდ ხუთნი იყვნენ, ვინც აშკარად დაუპირისპირდა ტოტალურ რეჟიმს და თოფით ხელში მასთან ერთად გადასდეს თავი.

ბიოგრაფიული დეტალების ნაბიჯ-ნაბიჯ აღდგენა, მათი ხიფათიანი ცხოვრებისა და ტრაგიკული აღსასრულის წარმოსახვა ჯერჯერობით გადმოცემებს შევატოვოთ, რადგან ამჯერად ჩვენთვის საგულისხმოა არა იმდენად ადამ ბობღიაშვილის, როგორც კერძო პიროვნების, ბიოგრაფია, რამდენადაც მისი სულიერი ტრაგიზმის ის განზოგადებული მხარე, რაც ადამის სახებას რომანტიკულ-სიმბოლურ შინაარსამდე ამაღლებს.

ადამის სახელი მის სიცოცხლეშივე შეიმოსა რომანტიკული ელფერით. ანკი რა გასაკვირია, ოღონდ ეს რომანტიკული ელფერი უფრო მისი ცხოვრების გარეგნულ მხარეს გამოეწვია, ხიფათიან ყოფასა და მოუხელთებლობას: დაკლაკნილ ბილიკებსა და ფრიალოებზე ცხენის თავგამეტებულ ჭენებას, კლდიდან კლდეზე გადაფრენას, ტყვიის ტყვიაში ჩაჭედების უნარს, იშვიათ ალღოს, ალყიდან თავის დაღწევას რომ შეელოდა.. ეს ყოველივე ძალდაუტანებლად ავსებდა ფანტაზიას და ადამის სახელი ალმატებული გადადიოდა ბაგიდან ბაგეზე...

მაგრამ განსაკუთრებით მაინც ის აოცებდათ, რომ ადამს კაცის ცოდვა არ დასდებია: მდევრებს ისე გაუსხლტებოდა ან დაფანტავდა, რომ არავინ მოუკლავს.

ეს უაღრესად მნიშვნელოვანი თვისებაა მისი ბუნების შესაცნობად, სავსებით ნიშანდობლივი მისი პაციფისტური სულისკვეთებისათვის, მაგრამ ადამის სახელი ამ მხრივ ისე ვერ გაზვიადდება, რომ არსენას სიმბოლური ხატი გადაფაროს. ეს იმან დაისაკუთრა უსისხლო ყაჩაღის, უსისხლო დევნილის სახელი („ჩვიდმეტ წელს ყაჩაღადა ვარ, კაცის ცოდვა არ მაძევსა“), რაც სრულიად გამოარჩევს და გა-

(დასასრული მე-4 გვ)

(დასასრული)

ნსაკუთრებულ ხიბლს ანიჭებს სხვა ერთა ისტორიული ცხოვრებიდან თუ ლიტერატურიდან ცნობილ ყაჩაღებთან, კანონგარეშე გამოცხადებულ პიროვნებებთან შედარებით. სათავეში არსენა ჩამდგარა, როგორც ამ უჩვეულო ფსიქოლოგიურ-ზნეობრივი მოვლენის სრულყოფილი ნიმუში, და ადამი მის გზას აგრძელებდა. გადამეტებით რანაირად გადაამეტებდა და ამიტომ ვერც გადაფარავდა ამ მხრივ არსენას სახელს.

ადამი უფრო სხვა სიმბოლოა: ომისა და ოკუპანტთა მოძულის და თავგამეტებული მოწინააღმდეგის.

სიცოცხლეს არ დაიშურებდა თავის ზნეობრივ პრინციპთა და იდეალების გადასარჩენად და აკი არც დაიშურა.

ალექსანდრე მაკედონელს ეგონა, აქილევსს მაქებარი შეხვდა დიდი და იმან ალაზევაო. მაგრამ განა მარტო დიდი ეპიკოსი შველის? განა თვითონ მისი პიროვნული სიდიადე უამისოდაც თვალნათლივი არ არის? მით უფრო მკაფიოა და სრული ადამ ბობლიაშვილის პიროვნული სიდიადე: ყოველგვარ ზადსა და ცოდვას განრიდებული სიმბოლური ხატი, რასაც ოდნავადაც ვერაფერი გააფერმკრთალებს, მეხოტბე სულ რომ არც გამოუჩნდეს, თუმცა ეს სხვათა შორის ითქვა. მტკიცედ მჯერა: გამოუჩნდება. ჰომეროსი ვერა, მაგრამ დიდი მაქებარი უთუოდ გაიაზრებს მხატვრულად ცხოვრების ამ დრამატულსა და ამაღელვებელ ქარგას.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ადამის ირგვლივ საგმირო სიმღერები არ შექმნილა, როგორც, ვთქვათ, ზეზვა გაფრინდაულის გარშემო. მაშინ სახალხო მგოსანთა ფანტაზიას გამომჟღავნების ბუნებრივი საშუალება ჰქონდა, ახლა კი ეს საშუალებანი დაეხშოთ და დაეკაბალებინათ და პოეტურად მხოლოდ ხმით ნატირალი შემოინჭხავდა მისი მუხანათური მკვლელობის შემზარავი სურათის ფრაგმენტს. და თუმცა ადამის სახელოვანი ბიოგრაფიის გახსენებას ერიდებოდნენ, მის ლექსებზე შექმნილი სიმღერებით მოიოხებდნენ გულს და ასე შეფარულად ინახავდნენ და სიცოცხლეს არ უქრობდნენ მის ხსოვას. საგმირო სიმღერების მაგივრობას ეს სწევდა. და გზას ხსნიდა ადამის ლეგენდისაკენ.

რომანტიული და ლეგენდარული წარმოსახვანი, რაც ხალხში გამოეწვია ადამის პიროვნებას, ერთიან ლეგენდად აქ შეიკრა და მოწამებრივი შარავანდედითაც შეიმოსა — თორღვას ხეობაში, როცა კლდის იქით ჩამალული გამცემის ტყვიამ ჯერ ადამის ერთ-ერთ მეგობარს შეუნგრია გულის ფიცარი... ადამს არც უფიქრია, რამეს მოფარებოდა, მიწაზე დამხობილ მეგობარს მივარდა, იქნებ ჰრილობა სასიკვდილო არ იყოსო... როგორც ცხოვრობდა, ისეც დაიღუპა.

ავაიმე, წვერაიძეო — მოთქვამს ხმით ნატირალი — შვილ რად მომიკალივ, შვილ თუ მომიკალივ, თავ რად მომიჭერივ, თავ თუ მომიჭერივ, მე რად არ მომკალივ (ჩაიწერა და მომაწოდა ეთერ თათარაიძემ).

ადამის ნატვრა და ოცნება ეს იყო, ქართულ მიწაზე დაეღვარა სისხლი და ეს მაინც შეუსრულდა: მის სახელს სწორედ თორღვას ხეობა გადაეჯაჭვა და არა უცხო ტრამალი, მდინარე, ქალაქი, სოფელი...

ეს თქვენ ეჭვობდით ადამის გამორჩეულობასა და მისი ტრაგიკული ბედის სიმბოლურ მნიშვნელობას ჩვენი ეროვნული ცნობიერებისათვის?

თქვენი ნებაა.

საიდან სად: აქილევსი და ადამ ბობლიაშვილიო...

ლეგენდა ამოდის ადამის ზნეობრივი და ეროვნული მრწამსიდან, მისი დაღვრილი სისხლიდან, ნატირალის კვნესას ამოსდევს, მკვრივდება, იზრდება და გზას მიიკვლევს ამაღლებისაკენ.

ვინ იცის, ოდესმე ადამის სახელთან გაჯიბრებისა და გადამეტების ჟინმაც აიტანოს ვინმე, ცხენის თავბრუდამხვევი ჭენებით აჰყვეს თუშეთის დაკლაკნილ ბილიკებსა და ფრიალოებს, კლდიდან კლდეზე ვადაფრენასაც არ შეუშინდეს, ტყვია ტყვიაშიც ჩააჭედოს, მაგრამ ის საიდუმლო მაინც ვერაფრით ამოხსნას, ნეტა ამხელა სახელი რას შეუქმნიაო.

# უშველეთ მომავალ თაობებს!

## ლადო სულაბერიძე

გავიმეორებ.

უნდა გავიმეორო, რადგან სხვა გზა აღარაა. ვამბობთ, ვწერთ, მოვითხოვთ, რაც მთავარია, დრო მოითხოვს, ეროვნული ინტერესები მოითხოვენ, დღეს აგრერიგად გააქტიურებული ეროვნული ინტერესები.

არა და არა.

არ დაადგა საშველი საშუალო სკოლების სახელმძღვანელოებს.

წელსაც უდევთ ჩემს შვილიშვილებს მაგიდაზე ერთმანეთზე დაწყობილი სქელი წიგნები, ლამის ჭერამდე მიყუდებული ბოძებივით და თავს ვიკავებ, არ წამომცდეს მათთან, ვაი, თქვე საცოდავებო, ეს წიგნები სამჯერ-ოთხჯერ ხო მაინც უნდა წაიკითხოთ, რომ დაიმახსოვროთ?! მერედა რა უნდა დაიმახსოვროთ?! რაც მანდ წერია, ნახევარზე მეტი უსარგებლოა, უსარგებლო კი არა, მავნე, ყალბი, მცდარიათქო.

ყველაფერი ეს მეც ვიცი, მასწავლებელმაც, თვით წიგნების ავტორებმაცა და მთარგმნელებმაც, მინისტრმაც, მეთოდისტებმაც, ყველამ ზედმიწევნით კარგად იცის და მაინც გამოდის ყოველწლიურად მილიონობით, ასიათასობით, ათასობით ამ უქაღალდობის დროს, რიგიანი საბეჭდი მანქანების უქონლობის დროს.

ვამბობთ, შეიცოდეთ ჩვენი შვილები და შვილიშვილები, მოვითხოვთ, შეიქმნას რიგიანი სახელმძღვანელოები, ვასწავლოთ ბავშვებს, რაც საჭიროა, როგორც საჭიროა. ხო გვაქვს ხელთ ერთი ჩირაღდანი, იაკობ გოგებაშვილის „დედაენა", „ბუნების კარი"! დავიკავოთ ხელში ეს ჩირაღდანი და მის შუქზე შევადგინოთ მომდევნო სახელმძღვანელოები ქიმიისა, ფიზიკისა, ბუნებისმეტყველებისა, მათემატიკისა, ლიტერატურისა, ისტორიისა, ღვთისმეტყველებისა და სხვათა და სხვათა. რო ვთარგმნით და ვთარგმნით რუსი ბავშვებისათვის დაწერილ სახელმძღვანელოებს, რო ვამტკიცებთ და ვამტკიცებთ ამ თარგმანებს სამინისტროში, ნუთუ არავის მოსდის აზრად, რომ ღვთის წყალობით გვყავს ჩინებული სპეციალისტები ამ დარგებისა, რომელთაც შეუძლიათ შექმნან სახელმძღვანელოები ქართველი ბავშვებისათვის?!

ვიცი, შემომძახებს ზოგიერთი მათგანი, გვადროვეთ, გვყავს, მოვნახეთ, დავავალეთ, სხედან ქართველი მეცნიერები და პედაგოგები, მუშაობენ, ადგენენ ქართულ სახელმძღვანელოებსო. შემომძახებს, მაგრამ მოთმინებადაკარგულმა მეც ხო შემიძლია შევძახო, რამდენ ხანს უნდა მაიმედო აგრე, წლები გადის, აგერ ჩემი უფროსი შვილიშვილი ამ დაპირებებში უკვე საშუალო სკოლას ამთავრებს.

მასწავლებლები კი ისევ ეფე მოითხოვენ იმ ძველმანების სწავლას ბავშვებისაგან. უვარგისია, მავნეა, მაგრამ მაინც მოითხოვენ. კი იციან ზოგზოგებმა, რო ეს ასეა, მაგრამ მაინცა-მეთქი, მაინც განაგრძობენ ძველებურად, არც ერთ განაკვეთს არ გამოტოვებენ იმის შიშით, ზემდგომი კონტროლიორი რომ მოვიდეს, ტყავს გააძრობს, რატომ გამოტოვეო.

**არადა, სანამ ჩვენი სახელმძღვანელოები არა გვაქვს, მასწავლებელმა უნდა გამოიჩინოს გაბედულება და ოსტატობა, ძველი, ნათარგმნი წიგნებიდან ჩვენი ბავშვებისათვის სასარგებლო წყაროების გამორჩევისა.**

თანამედროვე ეტაპზე მხოლოდ ამგვარი მასწავლებლები შეძლებენ ჩვენი ბავშვების გადარჩენას.

მადლობა ღმერთს, საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა აბობოქროდა. ამ ტალღებს, რა თქმა უნდა, განზე ვერ გაუდგა ჩვენი ყმაწვილობა. ქართულ ეროვნულ დროშებს მათაც წაავლეს ხელი და მაღლა შემართეს. იციან, კარგადაც იციან, ერკვევიან ამ რთულ სიტუაციაში, მათთვის რო ხდება ეს ყველაფერი, მათ რომ უნდა განამტკიცონ და გააძლიერონ დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველო, ეს უკვე ნათლად აქვთ გააზრებული. გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს უფროსების ცეცხლიანსა და მართალ სიტყვებს.

გასაოცარი რამ ხდება ჩვენს თვალწინ.

ჩემი თაობის ადამიანებისათვის ეს მართლაც რო წარმოუდგენელი რამ არის. აბა, როგორ უნდა გაგვეფიქრებინა იმის შესაძლებლობა, რომ საქართველოს უზენაესი საბჭო, ჯერ კიდევ ძველი შემადგენლობის პარლამენტი, პარტიული და სამთავრობო ლიდერებიცა და საზოგადოების წარმომადგენელი დეპუტატებიც ერთსულოვნად გადაწყვეტდნენ საქართველოში რუსეთის მე-11 არმიის შემოსვლა ძალადობა, ოკუპაცია, ანექსია რომ იყო. წყალი რო არ გაუვა, ისე გამოიკვლიეს, გაარკვიეს, მოახსენეს ერსა და ბერს და ერთხმად დაგმეს.

არ ესმით ეს ყმაწვილებს? ვერ ხვდება მოსწავლე ახალგაზრდობა არა მარტო ეგრეთწოდებულ არაფორმალების მიტინგზე გაგონილს, არამედ ოფიციალურად თვით უზენაეს საკანონმდებლო პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს? ხვდებიან და მერე როგორ! ჩვენი ბედნიერება ის არის, რომ ხვდებიან, გააზრებული აქვთ და აღტაცებულნი არიან.

ამას სკოლებში არ ასწავლიან.

ეს სახელმძღვანელოებში არ წერია.

პირიქით, ზოგი მასწავლებელი გადაუშლის ამგვარ ბავშვებს სახელმძღვანელოს და ზეპირად დაისწავლეთო, ეტყვის იმ ლექსზე, რომელშიც 25 თებერვლის საბჭოური ქება-დიდებაა გამოთქმული.

**საზოგადოების აზრები დაუპირისპირდა მოძველებული სახელმძღვანელოების აზრებს და ამ ვითარებაში თუ მასწავლებელმა გაბედულად სწორი პოზიცია არ დაიკავა, მოსწავლეები დაიბნევიან.**

ავიღოთ ერთი მაგალითი.

მე ხელთა მაქვს 1988 წელს გამოცემული მეხუთე კლასის საკმაოდ სქელი სახელმძღვანელო, რომლის სატიტულო ფურცელზე წერია:

„თ. გოლუბევა, ლ. გელერშტეინი.

მოთხრობები სსრ კავშირის ისტორიიდან.

დაამტკიცა სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ.

ქართული თარმანი დაამტკიცა საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ.

მეთექვსმეტე გამოცემა.

ეს გამოცემა მომზადდა წინა გამოცემების საფუძველზე, რომელთა რედაქტორიც ნ. პ. კუზმინა იყო".

წიგნი ასე იწყება:

„ჩვენი სამშობლო — სსრ კავშირი".

იქვე განმარტებულია:

„სამშობლო! ეს სიტყვა ბავშვობიდანვე იცის ყველამ. სამშობლო ის ქვეყანაა, სადაც დაიბადე, ცხოვრობ ნათესავებთან და მეგობრებთან ერთად (ხაზგასმა ჩემია.—ლ. ს.). საბჭოთა ხალხისათვის სამშობლოა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი — სსრკ."

„დახედეთ რუკას და თქვენ დაინახავთ, რომ ჩვენი სახელმწიფო ყველაზე დიდია მთელს დედამიწაზე."

სამშობლო ის ქვეყანაა, სადაც დაიბადეო, ეუბნება სახელმძღვანელო მეხუთე კლასის ბავშვს და ამავე დროს ასწავლის, რომ ეს ქვეყანა არა საქართველო, არამედ სსრკ-აო. სხვათა შორის, ამას არც რუს ბავშვებს არ უნდა ასწავლიდეს სახელმძღვანელო. როგორ უნდა გაიგოს ეს მეხუთე კლასის მოსწავლემ? თუ იმიტომ ვასწავლით დაბალ კლასებში, რომ იოლია მათი მოტყუება?! ვთქვათ და მოტყუვდნენ. ხო გაიზრდებიან? მერე ხო მიხვდებიან, თურმე სამშობლო საქართველოა და არა ძალით შეკოწიწებული თხუთმეტი რესპუბლიკის კავშირი — სსრკ?

რაღა ძალა ექნება ყმაწვილობაში მიღებულ ასეთ ცოდნას?!

მაშინვე გეოგრაფიას ვასწავლით, დიდ რუკაზე ქართველი ბავშვი ხედავს, რა პატარაა საქართველო სხვა სახელმწიფოებთან შედარებით და ხომ გაოცდება, ისტორიის სახელმძღვანელოში რომ წაიკითხავს, ჩვენი სახელმწიფო ყველაზე დიდია მთელს დედამიწაზეო?!

დასაშვებია, ბავშვის გონებას ასე ავუბნიოთ გზა-კვალი?!

სსრკ-ის ისტორიაც არ არის ეს წიგნი.

სახელმძღვანელოს გარეკანის შიდა გვერდი გავსებულია ფერადი ილუსტრაციებით. ილუსტრაციებს შესაბამისი წარწერით ხსნის:

„მე-11 საუკუნე — კიევის სახელმწიფოს აყვავება."

„1147 წელი (მე-12 საუკუნე) — მოსკოვის პირველად ხსენება".

„1242 წელი (მე-13 საუკუნე) — ბრძოლა ყინულზე".

„1380 წელი (მე-14 საუკუნე) — კულიკოვოს ბრძოლა".

„მე-15 საუკუნე — მოსკოვი გახდა რუსეთის სახელმწიფოს დედაქალაქი."

„1654 წელი (მე-17 საუკუნე) — უკრაინის შეერთება რუსეთთან".

„1709 წელი (მე-18 საუკუნე)— პოლტავის ბრძოლა."

1773-1775 წლები (მე-18 საუკუნე) — გლეხთა ომი პუგაჩოვის ხელმძღვანელობით."

„1812 წელი (მე-19 საუკუნე) — სამამულო ომი".

„1825 წელი (მე-19 საუკუნე) — დეკაბრისტების აჯანყება."

**წიგნის გარეკანზე გამოტანილი ეს ილუსტრაციები გამოხატავენ მთელი სახელმძღვანელოს შინაარსს.**

**არის ეს სსრკ-ას ისტორია?!**

**ეს ხომ რუსეთის ისტორიაა?!**

**ახლა მეორე წიგნს დავხედოთ:**

„საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები. მე-9 კლასის სახელმძღვანელო.

კ. პ. გურეევი, გ. პ. დავიდოვი, ე. ბ. მელნიკოვა.

გ. პ. დავიდოვის რედაქციით.

ქართული გამოცემის რედაქტორი — იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი იაკობ ფუტკარაძე.

მთარგმნელი ლუიზა ფუტკარაძე."

**ამ 256-გვერდიან სახელმძღვანელოში ვკითხულობთ:**

„ახალგაზრდობის აღზრდა წარიმართება სოციალისტური და ბურჟუაზიული იდეოლოგიების მწვავე წინააღმდეგობის ვითარებაში. ბურჟუაზია ცდილობს ნებისმიერი საშუალებით შეალამაზოს კაპიტალიზმი, მიჩქმალოს მისი ანტიადამიანურობა და უსამართლობა, თავს მოახვიოს ცხოვრებისა და კულტურის საკუთარი სტანდარტები, ყოველნაირად ჩირქი მოსცხოს სოციალიზმს".

**256-გვერდიანი წიგნი დაყოფილია ქვესათაურებად:**

„საბჭოთა სახელმწიფო. სამართალი და ზნეობა", „სახელმწიფო (კონსტიტუციური) სამართალი", „საბჭოთა სამართლის დარგები", „სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფა", „ადმინისტრაციული სამართალი,", „სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფა".

წლების განმავლობაში ასე ვატყუებდით, ჭკუა-გონებას ვურევდით მოსწავლეებს და ახლაც იგივე სახელმძღვანელოები უდევთ წინ ჩემს შვილიშვილებს. კარგა ხნის წინათ ატყდა ეს განგაში და მეგონა, უმცროსი შვილიშვილი მაინც მოესწრება ხეირიან სახელმძღვანელოს-მეთქი, მაგრამ, როგორც ვხედავთ, არა და არ დაადგა საშველი.

დრო კი ულმობლად გარბის და თაობები ერთმანეთს ცვლიან.

თაობებს შეძულდათ სახელმძღვანელო.

დღევანდელ ურთულეს ვითარებაში, ქართველი ბავშვები ალბათ კიდევ დიდხანს ვერ ეღირსებიან ქართულად შედგენილ სახელმძღვანელოებს. ჩვენი დაქცეული ეკონომიკის დროს ამის მოხერხება გაჭირდება.

საჭირო კია, ყველა სხვა საქმე გადაიდოს და სასწრაფოდ ქართული სახელმძღვანელოები შეიქმნას.

მანამდე კი ხელ-ფეხი გავუხსნათ სკოლებსა და მასწავლებლებს, ნუ შევბორკავთ ძველი პროგრამებით, შეიტანონ შიგ თავიანთი კორექტივები, გამოიჩინონ ინიციატივა, თავადვე შეარჩიონ სასწავლო მასალა თუნდაც ძველ სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით, დარწმუნებული ვარ, ისინი შეძლებენ ამას.

ბოლოსდაბოლოს, ვენდოთ მასწავლებელს. იმათ უკეთ იციან, რა ასწავლონ ბავშვებს. დავეხმაროთ, ხელი შევუწყოთ, მაგრამ გამუდმებული კონტროლით ნუ დავაშინებთ.

ამიტომ ვიმეორებ ასე გულისტკივილით დღემდე ათასჯერ ნათქვამს.

იმიტომაც ვიმეორებ, რომ კიდევ მყავს უმცროსი შვილიშვილი, ის ახლა სამი წლისაა და ვშიშობ, ვაითუ ისიც ამ დღეში ჩავარდეს

ვენდოთ მასწავლებლებს!

ვუშველოთ მომავალ თაობებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გულო კაიკაციშვილი და აკაკი

ილია რურუა

არიან ბედნიერი ხვედრის ადამიანები, რომელთა სახელები თაობების ხსოვნაში უკავშირდება ერის ცხოვრებაში მომხდარ რაიმე განსაკუთრებულ მოვლენას. გულო კაიკაციშვილს, რომლის იუბილეც ამასწინათ ფართოდ აღინიშნა აჭარაში, თავის დროზე მიენდო საქართველოს ამ უძველესი და მრავალტანჯული მხარის შვილების სახელით გამოთხოვებოდა „განთიადის" შემქმნელს. როგორც ჩანს, ეს არჩევანი შემთხვევით არ გაკეთებულა. პატრიარქის გარეგნობის მოხუცმა ღრმა და გამჭრიახი გონების, ბუნებით მომადლებული გულთმხილაობის მეოხებით, შეუცდომლად და ზუსტად მიაგნო თანამოძმეთა სათქმელს, რომელიც შთამბეჭდავად გამოხატა კიდეც. ეს გახლდათ სიტყვა-ლალადისი, რომლითაც გულო კაიკაციშვილმა სულმნათ სახალხო პოეტს გულშემძვრელად შეავედრა თავისი მშობელი მხარის შვილები და რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა აკაკის კუბოსთან მუხლმოყრილ ერზე. ამ სიტყვას დღემდე არ დაუკარგავს ზემოქმედების ძალა. მოხუცმა თბილისის მთავარ მოედანზე შეკრებილ ზღვა ხალხს თავი წარუდგინა, როგორც „უძლურმა ქართველმა მაჰმადიანმა, გამოგზავნილმა სამესხეთო საქართველოდან, იმ მხარიდან, რომელიც სამას წელზე მეტია მიიტაცა მტერმა და მოაშორა საქართველოს", შემდეგ კი ბრძანა:

„გამომგზავნეს და დამავალეს, მათ მაგიერათაც თაყვანი ვცე შენს დიდებულ ცხედარს, და, თუ მოვახერხე, ორიოდე სიტყვაც გითხრათ...

საქართველოს ისტორია ქართველთა ერის წამების ისტორია არის. მაგრამ წამებულთა შორის განსხვავება არის. სამ ძმაში, მტერთან ბრძოლის დროს, მომხდარა რომ ორი მტრის ტყვიით განგმირული უკან მობრუნებულა, წყლული მოურჩენია და დარჩენილა თავის ოჯახში. მესამე კი — სულ მტერს წაუყვანია ტყვედ და ჩაუგდია განუწყვეტელ სატანჯველში. აი, სწორედ ქართველმა ერმა ოსმალეთთან მრავალი საუკუნის განმავლობაში ბრძოლის დროს დაჰკარგა ერთი ძმა — მხარე სამცხე-საათაბაგო საქართველოსი, ის მხარე, სადაც იშვა უკვდავი შოთა და მრავალნი მებრძოლნი გმირნი. და სამას წელზე მეტი იყო, რომ ეს დაკარგული ძმები ქართველობას თვალითაც აღარ უნახავს.

ბოლოს კი წარსული რუს-ოსმალეთის ომის დროს მოხდა განგება და კვლავ შემოგიერთდით ჩვენს უფროს მოძმე ქართველობას და ვსუნთქავთ ქართველ ერთან ერთად. და ამ დროს, სამასი წლის შემდეგ, სადაც შევინახეთ ქართული დედაენა, ჩვენ ველირსეთ დაგვენახა დიდებული აკაკი, სინათლე, რომელიც ვითარცა უკვდავი, შენ აღუნთე ქართველ ერს.

მაგრამ ჩვენი მხარე მეტად დაბნელებული იყო და ერთი სანთელით ვერ მოეფინება ყველგან სინათლე. და საჭიროა, რომ აქეთ უფრო მრავალი სანთელით შემოვიდნენ. გევედრები, დაუბარე ამ შენებს, რომ ცალი თვალით და ერთი ხელით სანთელი ჩვენსკენ დაიჭირონ, გვინათონ და გვიპატრონონ, აღვადგინოთ ჩვენი დედაენა, გვიხსნან იმ გაჭირვებისაგან, რომელშიც ნამეტურ ახლა ვიმყოფებით. აღარ შეგაწუხებ, გაცხონოს ღმერთმან და გისურვებ, რომ შენფერი შვილი ბევრი გამოჩენოდეს საქართველოს, განათებულს შენგან ანთებული ქინქილით".

ბრძენი მოხუცის ამ სიტყვამ არა მარტო შეხძრა ქართველობის გული, არამედ ერთსულოვნად განაწყო და დარაზმა მოძმეთათვის ხელის გამოსაღებად. არადა, აჭარას იმ დროს განსაკუთრებით უჭირდა. საომარმა სიტუაციამ ეს მხარე ისევ საბრძოლო ასპარეზად აქცია. კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა მისი მომავალი, რადგან ჩვენმა ისტორიულმა მტრებმა ხელახლა ხცადეს მათი კლანჭებიდან ახლადგამოხსნილი მიწა-წყლის ისევ მიტაცება. ინტერესთა მძაფრი შეჯახებით გამოწვეულ სიძნელეებს და უბედურებებს დაერთო შიმშილიც, და ამ უაღრესად კრიტიკულ მომენტში მთელმა საქართველომ მართლაც ყველაფერი გააკეთა მოძმეთა [illegible] დახმარების [illegible].

ჩვენმა [illegible] და [illegible] ერთიანობამ, [illegible] სამხაუკუნოვანი ლამის ჯანღშიც რომ არ გაწყვეტილა, ახალი იმპულსი მიიღო. თუ აჭარლების საერთგულო საქმეები და ხმა არც მანამდე ჰკლებია საერთო ეროვნულ საკურთხეველთან ბჯობად შეკრებილ, ერთმანეთის შესაძახებლად და გასამხნევებლად თავშეყრილ ქართველობას, ახლა ამგვარი საქმეები და ხმა უფრო გამოიკვეთა განახლების გზაზე შემდგარი მხარის შვილების მამულიშვილურ სულისკვეთებაში. გავიხსენოთ, თუნდაც, რაოდენ შთამბეჭდავი სიტყვით მიმართა იმავ სულმნათ აკაკის, სიცოცხლეში, სრულიად ახალგაზრდა ჰაიდარ აბაშიძემ თბილისში გამართულ ისტორიულ საიუბილეო ზეიმზე. გავიხსენოთ გამოჩენილი ეროვნული მოღვაწის მემედ აბაშიძის მიერ დაქუხებული ანათემა, რომელიც თავზე დაატყდათ დიდი ილიას წმინდა სისხლით ხელმოთხვრილ ჯალათებს...

ამგვარი სულისკვეთების მასაზრდოებელი ფესვები, ცხადია, უპირველესად უნდა ვეძებოთ საქართველოს ამ ძირძველი მხარის გმირულ წარსულში, მძიმე განსაცდელში ნაწრთობ გონებასა, ხასიათსა და ნებისყოფაში, თაობიდან თაობას გენეტიკური კიდით რომ გადაეცემა. საკმარისია თვალი გადავავლოთ აჭარლების მიერ გამოვლილ მძიმე და ეკლიან გზას, რომ გამოკვეთილად შევიგრძნოთ პატრიოტული სულისკვეთების უწყვეტი მიმდინარეობა და მემკვიდრეობითობა. ამიტომაც შემთხვევითი არ ყოფილა გულო კაიკაციშვილი საგანგებო წერილით რომ გამოეთხოვა შერიფ ხიმშიაშვილს, შავშეთის მხარის გამგებელს, რომლის პატრიოტული საქმეების დამაგვირგვინებელი აღმოჩნდა მტრისაგან აჭარის გამოხსნის შემდეგ თბილისში საგანგებო მისიით ჩასულ მამულიშვილთა დელეგაციის თავკაცობა და ერის მამებთან საჯაროდ გამოხატული ფიცი მარადიული ერთგულებისა.

ცხადია, არც ის იყო შემთხვევითი გ. კაიკაციშვილმა სახელოვან მამულიშვილთან გამოსათხოვარი ასეთი სიტყვებით რომ დაამთავრა: შენ ვალმოხდილი მიუხვალ მამა-პაპათ იმ ქვეყნად და არ დაგავიწყდეს, რომ შენს სახელოვან წინამორბედს სელიმს ახარო — ჩვენი სამშობლო უკვე თავისუფალიაო. იმ დროს აჭარაში ჯერ კიდევ ცოცხალი იყვნენ ამ კაცის გმირობის მომსწრენი და მისი სახელი მთელ აჭარას პირზე ეკერა. სელიმ ხიმშიაშვილმა თავისი ტრაგიკული ხვედრით, ხმლის წალმაუკულმა იძულებითი ქნევით, გარეგნულად ზოგჯერ გაორებული, მაგრამ შინაგანად უდრეკი პატრიოტული მრწამსითა და მისთვის თავგანწირვის მზადყოფნით თითქოს ზუსტად გაიმეორა გიორგი სააკაძის ცხოვრებისეული გზა. მკაცრი, წინააღმდეგობრივი და დაუნდობელი სინამდვილის პირობებში, თანამოძმეთა გადასარჩენად, აჭარის გამგებელი იძულებული იყო ეზრუნა ხონთქრის გულის მოსაგებადაც, მაგრამ როცა საბოლოოდ დარწმუნდა ამგვარი დიპლომატიური თამაშის უნაყოფობაში, ისევ და ისევ მშობელი ხალხის მოიმედეობით, ჯანყისაკენ მოწოდების საბრძოლო დროშა გადმოკიდა ხიხანის ციხის ქონგურზე. უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებულმა გმირმა, ვიდრე მეამბოხის თავს ჯალათის კუნძზე დაადებინებდნენ, ჩვენს დაუძინებელ მტრებს პირში მიახალა ისტორიულად ქცეული სიტყვები, რომლებიც მთელმა აჭარამ ურყევ პატრიოტულ ნაანდერძევად მიიღო: თქვენ შეგიძლიათ ჩემი თავი ტანს ჯალათის ნაჯახით მოაცილოთ, მაგრამ ისიც იცოდეთ — აჭარას ვერასოდეს, ვერავითარი ძალით ვერ ჩამოაცილებთ თავის დედა-სამშობლო საქართველოსო...

ქობულეთელი პატრიარქი გახლდათ ერთი იმათგანი, ვისაც გულში ღრმად ჰქონდა დამარხული ეს ანდერძი და ვინაც მას ბოლომდე ერთგულა.

გულო კაიკაციშვილი 46 წლის მიღწეული კაცი იყო, როცა დაიწყო რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომი. იმდროინდელი აჭარა კარგახანის მოქცეული იყო თურქეთის იმპერიის ფარგლებში და თავისი მმართველობის ფორმით, ყოფა-ცხოვრებაში ძალით დანერგილი ისლამური წესებით ბევრის თვალში საქართველოსათვის უკვე დაკარგულ მხარედ ითვლებოდა. ყველაზე დამაფიქრებელი გახლდათ ის, რომ მოსახლეობის საგრძნობ ნაწილს უჭირდა სწორი ეროვნული ორიენტაციის აღება. ამიტომაც 1878 წელს ქობულეთში გამარჯვებით შემოსულ რუსულ-ქართულ ლაშქარს გარეთ გამოფენილი მოსახლეობა ერთგვარად ეჭვნეულად მიდარაჯებული თვალებით შეხვდა. მაგრამ აი, წინ გამოვიდა ტანბრგე, ტრადიციულ იარაღში ჩამჯდარი გულო კაიკაციშვილი და ქართველ ცხენოსნებს ყველას გასაგონად მიმართა:

„— ჩვენო ქართველებო, ჩვენო ძმებო, ნათესავებო და ბიძაშვილებო! თქვენი ჭირიმე, თქვენი, რომ ჩემმა თვალებმა გიხილეს დღეს ჩვენი ძველი ძმები... ვმადლობ ღმერთს და პატივს ვცემ მის განგებას, რომ ჩვენი და თქვენი ნატვრა შესრულდა, ღმერთმა შეგვაერთა... გავძლიერდებით ჩვენ, ავმაღლდებით სულით, გულით... ამ ერთიანობის სიყვარულით აღსდგება და გაძლიერდება საქართველო"...

ეს გულმხურვალე სიტყვები უბრალო აღტკინებით როდი იყო წარმოთქმული. იგი გახლდათ ლოგიკური შედეგი იმ შეგნებული და თანმიმდევრული პატრიოტული ბრძოლისა, რასაც გულო კაიკაციშვილი ადრიდანვე დაადგა. საკმარისია ითქვას, რომ იგი აჭარელთაგან ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა სერგეი მესხის მოწოდებას ეთანამშრომლათ გაზეთში. და აი, 70-იანი წლებიდან „დროების" ფურცლებზე სისტემატურად ჩნდება ქობულეთის მხარის სატკივრებზე დაწერილი კორესპონდენციები, რომელთაც ხელს აწერს „ქობულეთელი სამების მცხოვრები გულო კაიკაციშვილი". უნდა ვიფიქროთ, მშობლიური სოფლის ტოპონიმი აქ შეგნებული მოსაზრებით ფიგურირებს, გარკვეული ქვეტექსტით, როგორც დასტური, ნიშანი წარუშლელი ეროვნული შეგნებისა და თავდაპირველი, მამაპაპური რწმენისადმი ერთგულებისა.

როგორც ირკვევა, ეს პუბლიკაციები სულაც არ ყოფილა ნეიტრალური, წვრილმან ინფორმაციებზე აგებული. მათში გაბედულადაა მხილებული თურქული ადმინისტრაციის ვერაგული ჩანაფიქრები და ცდები, მიმართული ყოველივე ქართულის ამოძირკვისაკენ, ხალხის მორალური და რელიგიური დაბეჩავებისაკენ. უნდა ვიფიქროთ, იმ ხანებში ქობულეთში მომხდარ აჯანყებას გარკვეულწილად ამანაც შეუწყო ხელი. ამის პირდაპირი დასტური გახლავთ ის, რომ აჯანყების ჩაქრობის შემდეგ გულო კაიკაციშვილი, სხვა პატრიოტებთან ერთად, კარგახანს ტყეს აფარებდა თავს. ეს აჯანყება შემთხვევითი რომ არ ყოფილა იმითაც დასტურდება, რომ რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებისთანავე ქობულეთელებმა ყურშუმ ჰყონიას მეთაურობით საბრძოლო ბაირაღი აღმართეს და თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში რუსულ-ქართული მხედრიონს ამოუდგნენ მხარში.

მონობისაგან აჭარის გამოხსნის შემდეგ გულო კაიკაციშვილი, როგორც უფროსი თაობის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული მოღვაწე, ენერგიულად ილვწის მშობლიური მხარის განახლებისათვის, პირველ რიგში თანამოძმეთა ეროვნული თვითშეგნებისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის. იგი ილაშქრებს აშკარა თუ შენიღბული მტრების მცდელობის წინააღმდეგ, ფანატიკური ლოზუნგების მოშველიებით დაეშინებინათ აჭარლობა და მშობლიური კერიდან აყრილნი, ოსმალეთში მუჰაჯირებად გადახვეწილთა მძიმე ხვედრისათვის გაეწირათ.

გულმხურვალე მამულიშვილის მოღვაწეობა შეუმჩნეველი არ დარჩენია ერის მესვეურებს. აკაკი წერეთელს, მაგალითად, ყველა ქობულეთელს ურჩევდა „გულოსავით კვალზე სიარულს". იგი არაერთხელ ხვდება ილიას, რომელიც ახალგაზრდობის [illegible] კუთხეში ხშირად ჩადიოდა ეროვნული საქმეების დასაკვალიანებლად.

გულო კაიკაციშვილმა განსაკუთრებული ამაგი დასდო სახალხო განათლების საქმეს, რასაც ახორციელებდა უპირველესად დიდი ქართველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის უშუალო რჩევითა და დახმარებით. ადამიანს, რომელმაც ბავშვობაში ქართული წერა-კითხვა ბებიისა და დედისაგან ისწავლა, კარგად ესმოდა დედაენის შეუცვლელი როლი აჭარელთა სრული ეროვნული გათვითცნობიერებისათვის. როგორც ქართული სკოლების გახსნის კომიტეტის წევრი, მაგალითს პირადად იძლეოდა. მან ქობულეთში სკოლას უსასყიდლოდ გამოუყო ნაკვეთი და შემდეგ მისი სათანადოდ აღჭურვისა და ბიბლიოთეკის შექმნისთვისაც იზრუნა. პირველი აჭარელი ახალგაზრდა, რომელიც თბილისში სასწავლებლად წარიგზავნა, სწორედ მისი პირმშო ასლანი იყო. იგი შემდეგ ოდესის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტიც გახდა. შემორჩენილია მამასთან ერთად გადაღებული მისი ერთი ფოტოსურათი, საიდანაც მკვირცხლად შემოგვცქერით გოლიათური აღნაგობის მშვენიერი, სახენათელი ჭაბუკი, რომელსაც დავით კლდიაშვილი ფრიად დიდი იმედის მომცემ ახალგაზრდად გვიხასიათებს. სამწუხაროდ, ასლანი, რომელსაც ოდესაში მამობრივ მზრუნველობას არ აკლებდნენ იქ მოღვაწე ქართველი მეცნიერები პეტრე მელიქიშვილი და ვასილ პეტრიაშვილი, ნაადრევად დაღუპულა აპენდიციტის გასკდომით. ხოჯებსა და თურქოფილებს არ დაუყოვნებიათ ეს შემთხვევა გამოეცხადებინათ „რჯულისაგან განდგომილი" კაცისათვის ალაჰის მიერ მოვლენილ სასჯელად.

უბედურებით თავზარდაცემულ მოხუცს მეტი გულმოდგინებით გაუგრძელებია აჭარისათვის განათლებული შვილების აღზრდის საქმე. საამისოდ თავის ძმასთან ისმაილთან ერთად იგი თბილისში საგანგებოდ ხწვევია ეპისკოპოს ლეონიდეს, რაც იმდროინდელმა საზოგადოებამ, გარკვეულ გარემოებათა გამო, ნამდვილ სენსაციად მიიღო. თურქოფილებმა არც ამჯერად დააყოვნეს, კაიკაციშვილები ისლამის მოღალატეებად გამოაცხადეს, მაგრამ ჭეშმარიტ მამულიშვილს მტკიცედ არჩეული გზიდან არ გადაუხვევია. ამ შემთხვევიდან ცოტა ხნის შემდეგ, 1914 წელს, ცნობილი ქართველი მეცენატის ზუბალაშვილის ხარჯით თბილისისა და ქუთაისის გიმნაზიებში ჩაირიცხა რამდენიმე აჭარელი ახალგაზრდა, მათ შორის გულოს შვილიშვილი ჰუსეინ ნაკაიძე, [illegible] კაიკაციშვილი და [illegible] მურად გუნთაიშვილი, რომელთაც შემდეგ თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს მშობლიური კუთხის განახლება-აღორძინების საქმეში.

გულო კაიკაციშვილი თვითნასწავლი ადამიანი გახლდათ, მაგრამ თანამედროვეთა თვალში უაღრესად განათლებული, მრავალმხრივი ინტერესების პიროვნებად იყო მიჩნეული. ალბათ, შემთხვევითი არ ყოფილა, 1881 წელს, ახალი ხელისუფლების თხოვნით, იგი სათავეში რომ ჩაუდგა არქეოლოგიურ გათხრებს სოფელ ხუცუბანში. მაშინ აღმოჩენილი მრავალი ექსპონატი ნამდვილი ისტორიულ-მეცნიერული ღირებულების მქონეა და დღემდე ამშვენებს ბათუმის ისტორიული მუზეუმის ფონდებს.

ეს საოცარი კაცი ნამდვილი ბიბლიოფილიც გამოდგა, დაუღალავად ზრუნავდა ქობულეთში მის მიერ დაარსებული ბიბლიოთეკის ფონდების გასამდიდრებლად, რაშიც ეხმარებოდნენ სხვებიც — საქართველოს სხვადასხვა კუთხის, განსაკუთრებით გურიის წარჩინებულ ოჯახთა შვილები. როგორც ირკვევა, ქობულეთში ეპისკოპოსი ლეონიდეც ჩასულა საგანგებოდ შერჩეული წიგნებით. კაიკაციშვილისეულ ბიბლიოთეკას ისე გავარდნია სახელი, რომ 1887 წელს იგი მოუნახულებია ტრაპიზონიდან ჩამოსულ სამ ლაზ ექიმს. მათ საიდანღაც გაუგიათ, რომ ბიბლიოთეკაში ინახებოდა ბიბლიოფილ გრ. გურიელის მიერ შემოწირული „ქართლის ცხოვრება" და ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფია". ამ წიგნებს რომ კითხულობდნენ, ლაზებს თურმე ცრემლი ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდათ ლოყებზე. დიდი ფასიც შეუძლევიათ შესასყიდად, მაგრამ მასპინძელი წიგნებს ვერ შელევია და მხოლოდ უთხოვებია. ნახევარი წლის შემდეგ, პირობისამებრ, წიგნები ლაზებს უკანვე დაუბრუნებიათ.

ვინ უწყის, რამდენ კეთილ მამულიშვილურ განზრახვას ინახავდა ის კეთილშობილი კაცი გულში. მაგრამ ის კი ვიცით, რომ ერთ-ერთი განუხორციელებელი სურვილი თან ჩაიტანა სამარეში. 1914 წელს გულო კაიკაციშვილი ხწვევია აკაკის და უთხოვია ემოგზაურა „მთელს მუსულმანურ საქართველოში". ადვილად წარმოსადგენია, რაოდენ დიდი ეროვნული მნიშვნელობა და რეზონანსი ექნებოდა ამ მოგზაურობას, იგი რომ შემდგარიყო. ალბათ, ეხეც ტკივილიანად არხევდა 80 წელს მიტანებული მოხუცის გულის სიმებს, რამაც აკაკის კუბოსთან მის მიერ წარმოთქმული გამოსათხოვარი სიტყვა ჭეშმარიტი ერისშვილის ლოცვასავით აქცია.

# ერი, ეროვნული ურთიერთობანი და ერის უფლებები

**შოთა ნადირაშვილი**

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მთელ საბჭოთა კავშირს მოედო, იგი ჩვენშიც გაძლიერდა. ეს სულაც არ არის გასაკვირი, რადგან ამისათვის პირობები დიდიხანია მზადდება. რუსეთის იმპერიის პოლიტიკა — მეზობელი ქვეყნების ასიმილაცია — უკვე ორასი წელია ტარდება საქართველოში. რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული მრავალი ერი უკვე ასიმილირებულია; ამ მიზნის მისაღწევად იმპერიამ ბევრი ხერხი იხმარა: დაპყრობილი ერების ზედაფენის მოსყიდვა, დაპყრობილი ერების ერთმანეთთან წაკიდება და სხვა: ყოველივე ეს იწვევდა სხვა ერების დაკნინებას და რუსი ერის უფლებების და ღირებულების გაზრდას.

საბჭოთა კავშირში გარდაქმნის პროცესებთან დაკავშირებით დაიწყო სხვადასხვა ერების თვითშეგნების მკვეთრი გაძლიერება. ქართველი ხალხის სულიერი ძალები თავისუფლებისათვის ბრძოლით არის დაკავებული. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩვენი ძალები ერის განვითარებას მოხმარდება და ჩვენი ეროვნული კულტურა და ეკონომიკა გიგანტური ნაბიჯებით წავა წინ. ამას ნათლად ადასტურებს მსოფლიოში ეროვნებათა დიფერენციაციისა და დეკოლონიზაციის პროცესი.

აღსანიშნავია, რომ საკმაოდ მძიმე პირობებში აღმოჩნდა დამპყრობი რუსი ერიც. იგი თავისი შემოქმედებითი და მატერიალური ძალების დიდ ნაწილს იმპერიული მდგომარეობის შენარჩუნებას ახმარს. რუსეთის იმპერიაში შემავალი ერების, მათ შორის, რუსეთის ქვეცნობიერი ეროვნული ძალები დიდიხანია იბრძვიან ამ არანორმალური მდგომარეობიდან თავდასაღწევად. ეს ტენდენცია მცირერიცხოვანი ერების ეროვნულ-განმათავისუფლებელი, ხოლო რუსეთის — სოციალური სამართლიანობისათვის ბრძოლაში გამოიხატება. იმპერიის რღვევის პროცესი დღეისათვის ძირითადად სტიქიურად, ერების ქვეცნობიერი ძალების შემოქმედებით ხორციელდება, მაგრამ საზოგადოების ცნობიერება, მისი ინტელექტი, ემოცია და ნება სულ უფრო აქტიურად ებმება ამ პროცესში. მხოლოდ დამოუკიდებლობის და თავისუფლების მოპოვების შემდეგ შეიძლება ჩვენი სულიერი პოტენციალის რეალიზაცია საჭირო მიმართულებით. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვიქცეთ სრულფასოვან, ნორმალურ ერად და შესაძლებლობა მოგვეცემა ჩავერთოთ საერთო საკაცობრიო კულტურის ფორმირების პროცესში. ასეთ ფუნქციას ერი მხოლოდ მას შემდეგ ასრულებს, როდესაც იგი თავისუფალი ხდება. ასეთ შემთხვევაში იწყებს ერი, როგორც სულიერი არსება რეალურ ცხოვრებას.

უკანასკნელ ხანებში ბუნების ეკოლოგიის საკითხები იქცა ინტენსიური შესწავლის საგნად. ეროვნებათა ეკოლოგიისათვის კი საზოგადოება ჯერ კიდევ მოუმწიფებელია. შეიძლება ითქვას მეტიც, სამწუხაროდ, ეროვნული პრობლემების მიმართ მსოფლიო საზოგადოება უარყოფით დამოკიდებულებასაც კი ამჟღავნებს. დიდ ერებს ეროვნული საკითხები არ აწუხებთ. პატარა ერების ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის დიდი ერები ხშირად განიხილავენ, როგორც დანაშაულებრივ, სეპარატისტულ, ნაციონალისტურ და მსოფლიო კულტურისა და ერთიანობის წინააღმდეგ მიმართულ საქმიანობას.

თანამედროვე სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური მეცნიერების მონაცემების მიხედვით, მწიფდება თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ერი განხილული უნდა იქნას, როგორც ერთიანი, ორგანული და სულიერი ფენომენი, რომელიც ფორმირების და ცხოვრების თავისებური კანონზომიერებით ხასიათდება. ერის ამ ახალი ანთროპომორფისტული თეორიის მიხედვით, ერი ცოცხალ, სულიერ არსებას წარმოადგენს, რომელსაც თავისი მოთხოვნილებები და მიზნები აქვს. თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა და მიზნების მიღწევისათვის ერი გარკვეულ საქმიანობას ეწევა. ამ აქტივობის პროცესში ერი თავის სასიცოცხლო ამოცანებს წყვეტს, ურთიერთობას ამყარებს სხვა ერებთან და ქმნის პირობებს თავის სულიერი ძალების გამოვლენისა და განვითარებისათვის. ამავე დროს, როგორც პიროვნული თვისებების მქონე სულიერი არსება, ერი ქმნის მისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ კულტურას, რითაც თავისი წვლილი შეაქვს მსოფლიო კულტურის განვითარებაში. მსოფლიო კულტურა ცალკეული ერების კულტურათა ერთობლიობით იქმნება. მათი გაერთიანება და ურთიერთგამდიდრება სულიერი ზრდის სპეციფიკური კანონებით ხასიათდება. ამ დროს, მხოლოდ ზოგადის შენარჩუნება და სპეციფიკური ნიშნების გამორიცხვა არ ხდება, როგორც ეს შემეცნების ლოგიკური პროცესებისათვის არის დამახასიათებელი. მსოფლიო კულტურა ეროვნული კულტურების თანავარსკვლავედების სახით იქმნება, სადაც ისინი ურთიერთთან თავსებადი მოვლენების სახით არიან დაკავშირებული. მათი ურთიერთზე კეთილისმყოფელი გავლენა იმაში მდგომარეობს, რომ ურთიერთზე გავლენის გამო უვითარდებათ კულტურის ახალი ასპექტები, რომელთა მექანიკური გადატანა ერთი კულტურიდან მეორეში შეუძლებელია. ისინი, როგორც უცხოური კულტურის ანალოგები, ეროვნული კულტურის წიაღში ყალიბდებიან და ეროვნული კულტურის ორგანულ ნაწილებს შეადგენენ. ყოველი ეროვნული კულტურა უნიკალურია თავისი ბუნებით და ამიტომ მას არ შეუძლია სხვა კულტურის ადგილის დაკავება მსოფლიო კულტურაში. ეროვნული კულტურები განუმეორებელნი და ურთიერთშეუცვლელნი არიან. სხვა ერის მიერ რომელიმე ეროვნული კულტურის განვითარების ხაზის გაღუნვა და სხვა კულტურაში გადაყვანის ცდა ერის სიკვდილს იწვევს. მისთვის განკუთვნილი ადგილი მსოფლიო კულტურის თანავარსკვლავედში შეუფასებელი რჩება. ეს კი მსოფლიო კულტურის გაღარიბებას იწვევს.

ყოველი ერის მატერიალურ ასპექტს ტერიტორია, ეკონომიკა და ხალხი ქმნის, ხოლო მის ფსიქიკურ ასპექტში ენისა და კულტურის კავშირში იქმნება ეროვნული სული. აღნიშნული მატერიალური და სულიერი ასპექტების ერთიანობაშია გამოვლენილი. სამწუხაროდ, ფართოდ არის გავრცელებული ერის არსის დახასიათების ცდები მისი მხოლოდ რომელიმე ერთი ასპექტის თვალსაზრისით.

საბჭოთა კავშირში მარქსისტული მსოფლმხედველობის გავლენით ერად ითვლებოდა მთლიან ეკონომიკურ სისტემაში გაერთიანებული ხალხი, რომლის ისეთი ნიშნები, როგორიცაა ენა, კულტურა და ფსიქიკური წყობა, მეორედ ნაწარმოებ თვისებად იყო მიჩნეული. ამის გამო, გაჩნდა ისეთი ანეკდოტური შეხედულებები, რომლის მიხედვით ერები კაპიტალიზმის ფორმაციის შემდეგ შეიქმნა. ამავე იდეას ეყრდნობოდა საბჭოთა კავშირში გავრცელებული, ენებისა და ერების შერწყმის თეორია, რომლის საფუძველზე ცდილობდნენ „საბჭოთა ერის" ჩამოყალიბებას.

არის მცდელობები, ერის ბუნება განისაზღვროს მის შემადგენლობაში შემავალი ხალხის ბიოლოგიური და რასის თვისებებით. ენით, კულტურით, ტერიტორიით და მათი გარკვეული კომბინაციებით. ყველა ამ ტიპის განსაზღვრებისათვის საერთო ის არის, რომ მათში განსაზღვრების ლოგიკურ გვარად ხალხია მიჩნეული. მაგალითად, „რუსი ერი არის ხალხი, რომელიც..." და ასე შემდეგ. ასეთ განსაზღვრებაში არაფერია ცუდი. მისი საშუალებით შეიძლება შემოისაზღვროს ერის ცნების მოცულობა, დახასიათდეს მისი ლოგიკური შინაარსი. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ასეთ ცნებაში ნაგულისხმევ ფენომენში, ერში დაკარგულია მისი არსებითი და საკვირველი ნიშანი, რომ იგი არის ორგანული და სულიერი მოვლენა, რომელიც რეალური ინდივიდის სახით ცხოვრობს, რომ თავისი მოთხოვნილებები და მიზნები აქვს, ურთიერთობაშია სხვა ერებთან და იგი შესაძლებელია სხვა ერების მიერ ასიმილირებული იქნას, მოკვდეს, როგორც ცოცხალი რეალობა და მისგან დარჩეს მკვდარი ენა, მკვდარი კულტურა, რომლებსაც რეალური ყოფა, ეგზისტენცია აღარ გააჩნიათ. ერის ანთროპომორფისტული თეორიის მიხედვით ერის ბუნება გაგებული უნდა იყოს არა მხოლოდ მისი ისეთი შინაგანი ასპექტების თავისებურებებიდან, როგორებიცაა: ენა, კულტურა, ხალხი, ეკონომიკა და სხვა, არამედ იმ თავისებურებიდანაც, რასაც იგი, როგორც ცოცხალი ინდივიდი, ამჟღავნებს სხვა ერებთან ურთიერთობის პროცესში. ერი, როგორც ორგანული და სულიერი არსება თავისთავში გარკვეულ დონეებს გულისხმობს. იგი შესაძლებელია განხილულ იქნას, როგორც: ცოცხალი ინდივიდი, სუბიექტი, პიროვნება ან უნიკუმი.

ამ დონეების თვალსაზრისით, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება ერი, იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ აქვს გაწონასწორებული თავისი მდგომარეობა, როგორც შიგნით, თავის ასპექტების მიხედვით, ისე გარეთ, სხვა ერებთან ურთიერთობის პროცესში. ერი თავისი ტერიტორიის, ხალხის, ეკონომიკისა, ენისა და კულტურის გავრცელების მიხედვით ისწრაფვის შინაგანი კონსოლიდაციისაკენ, ქმნის შინაგან წონასწორობას. ერი თავის სულის სიმყარეს აღნიშნული ასპექტების კონსისტენტობიდან, ურთიერთშეთანხმებიდან იძენს. ერს ასევე, ტენდენცია აქვს დაამყაროს წონასწორობა თავის გარე სამყაროსთან, ჩაერთოს სხვა ერების ურთიერთობით შექმნილ ქსელში. ამ ურთიერთობებში იძენს ყოველი ერი ინდივიდის, სუბიექტის, პიროვნებისა და უნიკუმის თვისებებს.

ერების ურთიერთობა პიროვნებათა ურთიერთდამოკიდებულებების მსგავსად ღირებულებითი და მორალური ასპექტებით ხასიათდება. მათი მრავალფეროვანი ურთიერთობიდან ჩვენ ახლა სამ სახეს გამოვყოფთ. ესენია: მტრული, როცა ერთი ერი მეორეს ჩაგრავს და მის ასიმილაციას ახდენს; ნეიტრალური — როცა ერები თანაარსებობენ და ანგარიშს უწევენ ერთმანეთს და მეგობრული, როდესაც ერები თანამშრომლობენ და მათთვის დამახასიათებელ სტრუქტურულ ასპექტებს ავითარებენ. ჩვენ ახლა მხოლოდ პირველს შევეხებით.

მტრულ ურთიერთობას ერთი ერის მიერ მეორის დაპყრობა მოსდევს თუ დაპყრობილ ერს იმპერიული მოთხოვნილებები არა აქვს და საგანგებო მისიის კომპლექსით არ არის შეპყრობილი, მაშინ იგი არ ეხება დაპყრობილი ქვეყნის მთლიანობას, მის პიროვნებას, იგი დაპყრობილ ერს ხარკს ადებს, სიმდიდრეს ართმევს, მაგრამ მის დეპერსონალიზაციას არ ახდენს. როცა ერს იმპერიული მოთხოვნილებები აწუხებს, რაც მისი სულიერი დეფექტების კომპენსაციას ემსახურება, იგი იწყებს დაპყრობილი ერის ასიმილაციას. დაპყრობილი ერი ასიმილაციის პროცესში თანდათან კარგავს მთლიანობას, ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, მისი ხალხი იწყებს დამპყრობი ერის ენაზე ლაპარაკს, ერთვება მისი კულტურის მოხმარებასა და შექმნაში. იგი კარგავს პიროვნულობასა და დამპყრობელი ერის წიაღში ითქვიფება, ამ პროცესში დამპყრობელი ერი იყენებს ყველაფერს: ძალადობას, მოსყიდვას, რელიგიას, მეცნიერებას და სხვას. სხვათაშორის, ამ მიზანს ემსახურებოდა ენების შერწყმისა და ერების კვდომის თეორიები, რაც ოფიციოზის მიერ ფართოდ გავრცელდა საბჭოთა კავშირში, თუმცა, ყველასათვის ნათელი იყო, რომ შეუძლებელია ენების შერწყმა და ერთი ენის მიერ მეორე ენის ასიმილაცია. ასიმილაცია ემართება ხალხს, ისინი იწყებენ დამპყრობლის ენაზე ლაპარაკს, მისი კულტურით ცხოვრებას, ხოლო მათი ენა და კულტურა იქცევა მკვდარ ენად და კულტურად.

დაპყრობილი ერის ასიმილაციის ერთ-ერთი საშუალებაა მასში ბილინგვიზმის და ბიკულტურიზმის ჩამოყალიბება. ამ პროცესს დამპყრობელი ერი წარმართავს, იგი დაპყრობილი ქვეყნის ელიტას აიძულებს ისწავლოს დამპყრობელთა ენა, რათა მასთან ერთად მართოს ქვეყანა. შემდგომში დამპყრობელი ერი ჩამოაცილებს ელიტას მართვის ფუნქციას და დამპყრობელი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ჩართავს. ამ პროცესში წარმატებით გამოიყენება „საჭაპურისა და მათრახის" მეთოდი. ასიმილაციის პროცესში დახმარებისათვის დამპყრობელი ელიტას ჩინ-მედლებით და უზრუნველი ცხოვრებით აჯილდოებს. ნაციონალური ინტერესების დაცვისათვის კი დაპატიმრება-პატივისაყრით უმასპინძლდება. ელიტისათვის მალე დამპყრობელის ენა საკომუნიკაციო საშუალებიდან სააზროვნო და საცხოვრებო ამოცანების გადაწყვეტის საშუალებად იქცევა. მალე დამპყრობის ენა პრესტიჟულიც ხდება, რადგან ელიტა მას იყენებდა თავისი უპირატესობის გამოსახატავად თავისი ერის სხვა ფენებთან.

ასეთივე გზით შემოდის დამპყრობელი ერის კულტურა ასიმილირებად ერში. დაპყრობილი ერის ელიტა ყოველთვის ქმნის თეორიას დამპყრობელი ერის ენისა და კულტურის უდიდესი ღირებულების შესახებ. მისი ცოდნისა და დაუფლების ხარისხი ხდება საზომი პიროვნების ინტელექტისა და ღირსების დონისა. ასე იქმნება „არისტოკრატული ენა და კულტურა", რაც აჩქარებს დაპყრობილი ერის ასიმილაციას. ამ პროცესს გაგრძელების საინტერესო ვარიანტები აქვს, მაგრამ მათ აქ ვერ შევეხებით, ეს ცალკე განხილვის საგანია.

საქართველოში ასიმილაციის პროცესი კლასიკურ ფორმებში ტარდებოდა. ეს საკითხიც ცალკე უნდა იქნას განხილული, მაგრამ აქ მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის იმპერიამ ეს პროცესი გარკვეულ პერიოდამდე წარმატებით ჩაატარა. იმპერიაში შემუშავდა ასიმილაციის ფაქიზი საშუალებები, რაც „მეორე მშობლიური ენის" თეორიას ემყარებოდა. საბჭოთა პედაგოგიკამ ბევრი იმუშავა „მეორე მშობლიური ენის" აუცილებლობისა და საჭიროების დასასაბუთებლად. „მეორე მშობლიური ენა" საბჭოთა კავშირში რუსული ენა იყო. შეიქმნა მისი სწავლების ნაირნაირი მეთოდები, მაგრამ ამ სფეროში მომუშავე მეცნიერთა დაბალი დონისა და რუსეთში ამ საკითხებთან დაკავშირებული მეცნიერების [illegible] ლობის გამო, ამ საქმეში [illegible] თვალში საცემი [illegible] არ მოჰყოლია. საკომუნიკაციო უცხო ენების სწავლების ამოცანები, როგორც ეს [illegible], სრულიად [illegible] ადვილად უნდა გადაიჭრას დამოუკიდებელ საქართველოში.

საქართველოს ასიმილაციას მსოფლიოში ერთა დიფერენციაციისა და უნიკალიზაციის პროცესი აძნელებდა. ამ საშიშროებას ქართველი ერის თვითდაცვის მექანიზმიც ასუსტებდა. ამ მექანიზმის გამწონასწორებელი მოქმედების საფუძველზე, ჩვენს საზოგადოებაში მკვეთრად ძლიერდებოდა უარყოფითი განწყობა რუსული ორიენტაციის მქონე საზოგადოების მიმართ. სიმეტრიულად, ამ ჯგუფის წარმომადგენლებსაც უყალიბდებოდათ უარყოფითი განწყობა ეროვნული ორიენტაციის მქონე ძირეული ქართული ფენების მიმართ.

ასეთი სიღრმისეული პროცესების შედეგად ხორციელდება ანექსირებული ქვეყნის საზოგადოების პოლარიზაცია ეროვნულ საკითხებთან დაკავშირებით. როგორც წესი, ამ დროს ჩნდებიან „პრესტიჟულენოვანი ინტერნაციონალისტი ინტელიგენტები" და „პროვინციული ნაციონალისტები". საზოგადოების ფენების ასეთი დაპირისპირება თითქმის ყოველ ქვეყანაში ხდება. რუსების „დასავლეთელები" და „სლავიანოფილებიც ხომ ფაქტიურად ასეთი თვალსაზრისით უპირისპირდებიან ერთმანეთს, ასეთი ჯგუფები მოწინააღმდეგის უარყოფითი მხარეების წინააღმდეგ ბრძოლას უფრო მეტ ენერგიას ახმარენ, ვიდრე თავისი დადებითი თვისებების შესატყვის საქმიანობას. ასეთი ეროვნული და ინტერნაციონალური ორიენტირები, ასე თუ ისე, თანაბარღირებული არიან თავისი ერის სამსახურისათვის დამოუკიდებელ ქვეყნებში. მათ თანაბარი მორალური უფლებები აქვთ თავისი ქვეყნის სამსახურში. ცხადია, იგივე არ ითქმის ანექსირებული საქართველოს ვითარებაში. აქ უნდა გავიხსენოთ ბრძნული შეგონება, რომ დიდი ერის ნაციონალიზმს ერი სხვა ერების დაპყრობისაკენ მიყავს, ხოლო მცირე ერის ნაციონალიზმს — თავისი ეროვნების დაცვისაკენ. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს დაპყრობილი ერის „ინტერნაციონალურ ინტელიგენტებსა" და „ეროვნულ პროვინციონალებს" შორის ბრძოლის დროს. პირველს დაპყრობილი ერის ასიმილაციისაკენ მივყავართ, მეორეს საკუთარი ერის ასიმილაციისაგან დაცვისაკენ. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ეროვნული ორიენტაციის დამცველებს ჩვენში ბევრად მეტი მომხრეები აღმოაჩნდა, ვიდრე ინტერნაციონალიზირებულ ინტელიგენტებს. მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, ჩვენში ინტერნაციონალიზებულ ინტელიგენტებს იმდენად სერიოზული მოტივები აქვთ წამოყენებული, „ნაციონალური პროვინციალების" წინააღმდეგ ბრძოლის დროს, რომ მათი პოზიცია მარტივად და მექანიკურად არ შეიძლება იყოს უარყოფილი. ნაციონალური მოძრაობის დღევანდელ ეტაპზე უკვე ეროვნული ინტელიგენცია ჩნდება, რომლის რიგებიც აღნიშნული დაპირისპირებული ჯგუფებიდან ივსება. აქ თავს იყრიან ნამდვილი პატრიოტები და ნამდვილად ინტელიგენტები. ეროვნულმა ინტელიგენციამ თავის თავში უნდა გააერთიანოს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ძალები. ისინი უნდა იქცნენ ჩვენი გამარჯვების მებაირახტრედ. ამ ამოცანის შესრულებას ისიც უშლის ხელს, რომ რუსეთისადმი და რუსული ენისადმი არა მხოლოდ ქართველი საზოგადოების სხვადასხვა ფენებს, არამედ თითოეულ პიროვნებასაც არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვს. ჩვენს ადრეულ ექსპერიმენტულ გამოკვლევებში დადგინდა, რომ ქართველებს, ქვეცნობიერად, დადებითი დამოკიდებულება აქვთ რუსების მიმართ, ხოლო ცნობიერად — უარყოფითი დამოკიდებულება.

ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში და რუს ხალხთან სწორი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში ეროვნულმა ინტელიგენციამ უნდა შეიტანოს უდიდესი წვლილი. ჩვენი ერის ასიმილაციის პრ[illegible] [illegible] მათ უნდა შეუშალონ ხელი.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

## რენე კალანდია

### ალტერნატივა ალიონიდან

შენ გეყოფოდა თუნდაც მანეთი,
რომ არ გეკიდოს ყელზე ოჯახის
ქვა... .სამეგრელო, ანდა სვანეთი
შეგიფარებდა... ყოფას — ო, ჯახირს

სხვას დაუთმობდი... იმქვეყნიურის
ნათელში ბრწყინავს ლექსი და
„პრიმა“,
დუმს ოქროსფერი ჩაი და, პური, —
ბლავის, რადგანაც შენსავით სტკივა...

### აკაკი წერეთლის მოლანდება უფსკრულთან

ძირს ედინება ცოდვის მდინარე,
აქ — დევნას, ტყვიას და შლამს
გვპირდება...
სად ელოდება ყარიბს — მდიდარი
სამოთხის გრილო —
თვითდამშვიდება?!.
ცას აკვნესებენ ანგელოსები,
ჯვარი ვაზისა სხივებში ცურავს...
გალმა — უფლისებრ ნალდი მგოსანი
თიხას და მტევანს — „განთიადს“
წურავს...

### საქართველოს ცას ჭილყვავები შემოხევია

არ მეშვება სიმარტოვე
პოეტების — ნაღვლიანთა:
მტვრიან ქალაქს მივატოვებ,
ავალ დიდ ძმა — საღლიანთან...

სვანი პოეტების მახვში
გამოანგრევს გულის კარებს...
წუხს: ბოინობს ცის ვენახში
საქართველოს მტერ-მოყვარე...

გავიხსენებთ: ვის რა სურდა...
რახთან ლექსით — ნაღდად, წმინდად
დავუბრუნებთ ყველას ხურდას —
სთგზის, — თუ რამ დაგვავიწყდა!..

### პარალელის ავი ხელი

მანდელშტამის უფულობით
დაშტამპული დავალ:
რახან მოველ უუფლებო,
უუფლებო წავალ...
პოი, სიტკბოვ საწუთროსი —
პირში „პრიმის“ გემოვ!..
ფრთებს მატოლებს თანატოსი:
— შავად უკრავ ხემო!..

მწუხრი უკვე გადაქანდა, —
ბინდთან აიგივებს —
ჟამს... იტყვიან: ღვინოს სვამდა!..
ვფიქრობ — სიზმრის სხივებს...

### ნისლიანი დილა

მთელი ცხოვრება გარბიხარ
ვანიდან — შენივ სხეულის:
მარადმბორგავი დარდი ხარ —
პოეტი — ფრთამომსხვრეული...

სიჰრელემ წუთისოფლისა
გადაგიარა — დაგტორა.
ღვთიური ცრემლი ობლისა,
როგორც ტერენტი — მარტოა...

ზესკნელი სახრეს გთავაზობს,
ქვესკნელი ვარდებს გპირდება:
— აკვნიდან მახსოვს, „ლამაზო“,
რომ ლექსი არ იყიდება...

უკვე ბლავიან ხეები,
ატირდებიან ქვიშანი,
ოდეს მტანჯველი დღეების
შუბლს დააჩნდება ნიშანი...



ელიას მთა. წითელწყარო.

ვარლამ ბენზიურის ფოტო.

## ედემ კვირტია

●

საით ისწრაფვი ასე სულსწრაფვით,
ჩემი ბავშვობის ლურჯო მდინარევ?!
შენ ხომ მწვერვალთა ნისლით
სუნთქავდი,
გამოქცევიხარ ახლა მყინვარებს,
მთებს და სიმაღლეს,
კლდეს და უფსკრულებს,
მიჰქრი, მიარხევ ტალღებს ველზე და,
თუმცა, დრო და დრო,
თუმცა, გზა და გზა,
აგემგზავრება მღვრიე ტალღებიც,
მაინც მსუბუქად და თავისუფლად,
ისე ამაყად მიედინები,
თითქოს არ ჰქონდეს ამ ქროლვას
ბოლო,
თითქოს არ იყოს ცხრა ტალღას იქით
ზღვა — წყვდიადივით უდასასრულო.
ზღვა ვერაგია. იქ უთვალავი
მდინარეები განისვენებენ,
თუმცა დრო და დრო, აჯანყდებიან,
აზვირთდებიან, აბორგდებიან,
მიაწყდებიან რისხვით ნაპირებს,
მაგრამ ამაო ბრძოლით დაღლილი,
კვლავ ნებდებიან ერთფეროვნებას...
მაშ, ნუ ისწრაფვი, ასე სულსწრაფვით,
ჩემი სიცოცხლის ლურჯო მდინარევ!

●

მე ხშირად მესმის ხმა უცნაური,
ღმერთმანი, ეს ხმა მე ახლაც მესმის,
ოღონდ, ვერ ვარჩევ: მიწის ხმაური
თუ ჩურჩულია შორეულ ზეცის.
ვერ ვამჩნევ: მხოლოდ მე მეძახიან,
თუ სხვასაც ესმის ხმა შორეული...
ვცდილობ გავიგო, მივაყურადო
და გავარჩიო საიდან მოდის,
ვის უხმობს ეს ხმა,
მაგრამ ტკივილით,
შიშით,
ცხოვრებით
და სხვა ათასი
წვრილმანით დაღლილს კვლავ
მეკარგება
ხმა შორეული...
და აი ახლაც, ისე ახლოს და
გარკვევით მესმის ხმა უცნაური,
რომ მეჩვენება: ერთ დროს მახსოვდა,
კარგად მახსოვდა მიწის ხმაური
თუ შორეული ზეცის ჩურჩული
იყო ეს ხმა და — საცაა ვიცნო
და გავიხსენო, როდის მომესმა
ეს ხმა პირველად: სიზმარში, ცხადში,
დაბადებამდე თუ უფრო ადრე...
უცებ, გაისმის ნაგვის მანქანის
ზარის ზრიალი
და გამოვყავარ უწონობიდან.

---

ამოვა უცხო მნათობი,
შენს გულში ჩაესვენება,
ლოცვას ენა თუ ვერ იტყვის,
თვალებზე დაგეწერება...
ცის პირზე წაბორძიკებულს
უფალი შეგეშველება.

### გადარჩენილო ტაძარო

შენს ტკივილს, წაურთმეველო
გაზაფხულო და ზამთარო,
რა გულმა უნდა გაუძლოს,
რა ფიქრმა უნდა ატაროს...
მამულო, ასე ნატანჯო,
სივრცეთა სიბრძნით გამთბარო,
ღალატის ხანჯლით ნაკეჭნო,
მაინც სამოთხის სადარო,
ათასჯერ წამოქცეულო,
ათასმეერთედ ალმდგარო,
ქრისტეს თვალებით მზირალო,
ჩემო დარო და ავდარო,
სიყვარულისთვის მლოცველო,
გადარჩენილო ტაძარო...
შენს ტკივილს, უფლის ხმასავით
ერთადერთო და მართალო,
რა გულმა უნდა გაუძლოს,
რა ფიქრმა უნდა ატაროს!

## ვაჟა ხორნაული

### შვილის რვეულში ჩანაწერი

და, როგორც თითქმის ყველა სახლში,
ჩვენთანაც გაისმის:
„ახლა კი დროა,
წამოდგე და მაგიდას მიუჯდე
და წიგნი გადაშალო...“
და შენ — ასეთი სიტყვაძუნწი
და ფიქრებს აყოლილი,
ნაადრევად ულვაშებამოზრდილი
და საკმაოდ მშვენიერი
გოლების ავტორი —
წიგნს ზანტად ეწვდები,
როგორც მობეზრებულ,
ცარიელ საგანს,
და შენი თვალები
სულ სხვაგან არიან...
შენს ბურთს
მარადონას თვალები ასხია
და წიგნის თაროზე გადმომდგარი
მშვიდად გადმოგყურებს
და თოკზე ქანაობს
შენი მაისური —
ნომერი „10“,
რომელსაც ასდის
ბალახის და ჰაერის სურნელი...
თოთხმეტი წლისა ხარ
და უკვე იცი, რომ ადამიანი
მხოლოდ სიხარულის
ნაყოფის მოსაკრეფად
არ მოდის ქვეყანაზე...
დიდი ხნის წინათ
მეც ვიყავი მაგ სენით შეპყრობილი:
სხვა იყო მაშინ ცხადი და სიზმარი,
სხვა იყო მაშინ სივრცე და დედამიწა
და მეც სხვა ვიყავი...
შენც სხვა ხარ ახლა,
შენც გესროლა ამურმა ისარი
და ოცნების მხარეში გადაკარგულს,
ზოგჯერ ისე გიბრწყინავს თვალები,
რომ ფიქრს უხარია
და გულის გადარჩენილ
მხარეში გაისმის:
„ღმერთო,
რა ლამაზი ვარსკვლავი კიაფობს
თოთხმეტი წლის ბიჭის არსებაში...“
შენ — ლოგინზე გულაღმა გაშოტილი,
სამყაროს მოწყვეტილი,
ჭერს მიჩერებული...
ხოლო ლოგინის ქვეშ —
რომელიღაც სახელმძღვანელო.
რომელი ალგებრა შეედრება
პირველ გატაცებას,
რომელი ქიმია და რომელი ფიზიკა!
ეგ საიდუმლო მხოლოდ შენია,
მხოლოდ შენ იცი
მაგ სამოთხის წყარო და ბილიკები
და მხოლოდ ღმერთის თვალებსა აქვთ
უფლება იმისა,
რომ შემოიხედონ...
ეგ გრძნობა სხვა არის:
გულის და ფიქრის დღესასწაული
მაგ გრძნობის სინათლიდან
და მაგ გრძნობის ჩრდილიდან იწყება!
დიდი ხნის წინათ
მეც ვიყავი
შენსავით მდიდარი,
უფრთხილდი მაგ განძს,
უფლისაგან
შენდამი ბოძებულს...
ვინ იცის,
რამდენჯერ შემხვედრია
ის ერთი გოგო
ქუჩაში, ვაგონში...
ვინ იცის, ჩემს გვერდითაც
მდგარა სანთელივით,
ჩემს ბიჭზე მეოცნებე,
მაგრამ ჩვენ, რა თქმა უნდა,
არ ვიცნობთ ერთმანეთს,
რადგან ეგ წმინდა საიდუმლო
მხოლოდ შენია,
მხოლოდ შენ იცი მაგ სამოთხის
წყარო და ბილიკები
და მხოლოდ ღმერთის თვალებსა აქვთ
უფლება იმისა,
რომ შემოიხედონ...
თოთხმეტი წლისა
ბედნიერზე ბედნიერი ხარ:
იქით — მარადონა
და აქეთ — ერთი გოგო!
სხვა დანარჩენი
ან არსებობს,
ან არ არსებობს...
ეგ გრძნობა სხვა არის:
პირველი სიყვარული!
პატარა გულში გაელვება
პირველი ტკივილისა!
სიზმრების ყვავილოვან
ჰაერში ლივლივი...
ეგ გრძნობა მზისკენ გაგიყოლიებს
და, მე თუ დავეცემი,
აღმართებზეც ეგ შეგეშველება!

### მაშინაც შენი ხმა მესმის

ფიქრი სხვაგვარად ნათდება,
გული სხვაგვარად მშვიდდება,
მზე როცა ჩაესვენება
და სივრცე დაიბინდება.
ზეცა სხვაგვარად მდუმარებს,
მიწა სხვაგვარად ბრწყინდება,
მზე როცა ჩაესვენება
და სივრცე დაიბინდება.
მაშინაც შენი ხმა მესმის
(შენს სიმაღლეებს დიდება!),
მზე როცა ჩაესვენება
და სივრცე დაიბინდება...

### ამოვა უცხო მნათობი

ათას მთას გადაგატარებს
სიმაღლეების მშვენება,

ჯემალ ქირია

# პრეზიდენტი ჩამობრძანდა

სწორედ ასეთ დღეს წინასწარმეტყველებდა ამინდის ბიურო. მოკრძალებულ ცაზე ღრუბლის ფთილაც არსად ეკიდა. მზით სავსე დღე იყო, მაგრამ არ ცხელოდა, რადგან მტკვრის ხეობიდან გრილი ნიავი უბერავდა... ქალაქი საზეიმოდ მორთული ხვდებოდა საპატიო სტუმარს. ყველგან — დაწესებულებებზე, სახლების აივნებზე, განათების ბოძებზე დაწყვილებული სახელმწიფო ალმები ფრიალებდა. პრეზიდენტის სასახლის ფლაგშტოკზე აღმართა საქართველოს რესპუბლიკის სამფეროვანი დროშა. გზატკეცილებისა და ქუჩების გარდიგარდმო გაჭიმული იყო ტრანსპარანტები, რომლებზეც უსასრულოდ მეორდებოდა ორენოვანი წარწერები: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“ „საქართველოსა და რფრ-ს მეგობრობა ურღვევია!“ „საქართველოს რესპუბლიკა მიესალმება თავის საპატიო სტუმარს!“

უშიშროების სამსახურის ვერტმფრენი გუგუნით დაფრინავდა ქალაქის თავზე. პროვოკაცია მოსალოდნელი არ იყო, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ ტკიოდა. ვერტმფრენის კაბინიდან ხელისგულივით ჩანდა ქუჩები და სახურავები. საეჭვო ადგილებში სამსახურის გამოცდილი მუშაკები მორიგეობდნენ. ტერორისტი, თუ ის საერთოდ არსებობდა, ვერ დაემალებოდა უშიშროების მუშაკთა მახვილ თვალს...

ტრასა აეროპორტიდან პრეზიდენტის სასახლემდე გაათავისუფლეს საქალაქო ტრანსპორტისაგან. აქა-იქ პოლიციის მანქანები თუ დაქროდნენ, წესრიგის დამცველნი მზადყოფნას ამოწმებდნენ. ტროტუარები გაივსო ცნობისმოყვარე თბილისელებით, განსაკუთრებით ბევრი ხალხი შეგროვდა რუსთაველზე და თავისუფლების მოედანზე.

და აი, სასახლის კარიბჭიდან დაიძრა გრძელი კორტეჟი. ავტოინსპექციის ყვითელი მანქანა წინ გავარდა. მიქროდა და გამვლელთ აფრთხილებდა: სავალ გზაზე ნუ გადმოდიხართო!

კორტეჟის მეთაურ მანქანაში პრეზიდენტის დაცვის თანამშრომლები ისხდნენ. ტალიკტალიკა, დაკუნთულ ბიჭებს ამჯერად პირადად უშიშროების გენერალური ინსპექტორი მეთაურობდა.

მეორე მანქანა — შავი, კრიალა ლიმუზინი, პრეზიდენტისა იყო. კაპოტზე ორი პატარა ალამი ფარფატებდა. პრეზიდენტის ლიმუზინის კვალზე ჩამწკრივდა პრემიერ-მინისტრისა და სხვა მაღალი თანამდებობის პირთა მანქანები.

კორტეჟმა დიდი სისწრაფით აირბინა ბარათაშვილის აღმართი, გადაჭრა ისნის რაიონი და აეროპორტის გზატკეცილზე გავიდა.

პრეზიდენტის მანქანაში ისხდნენ სახელმწიფოს უზენაესი ხელისუფალი და რესპუბლიკის პირველი ლედი, ქალბატონი ნათელა. წინ კი, მძღოლის გვერდით, პრეზიდენტის თანაშემწე ბატონი გოგი, რომელიც ბოლო წუთს მიღებულ დეპეშებს კითხულობდა.

პრეზიდენტი თვალდახუჭული უსმენდა. ცოტა უქეიფოდ გახლდათ. ექიმი ურჩევდა, ერთი კვირა მაინც დაისვენეო, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. პრობლემები არ ილეოდა. პარლამენტში ბიუჯეტის კანონის მიღების დროს დამღლელი ბატალიები გადაიხადა, მისი მხარდამჭერი რომ არა, პრემიერს მოუწევდა გადადგომა და დაიწყებოდა ხანგრძლივი სამთავრობო კრიზისი... ბეწვზე ეკიდა ისრაელის წარმოების ავიაგამანადგურებლების შესყიდვის პროექტი, რის განხორციელებასაც დაჟინებით მოითხოვდა თავდაცვის სამინისტრო... სულ ახლახან ისტუმრა თურქეთის პრემიერ-მინისტრი, კუვეიტის ემირი და ევროპის ერთ-ერთი სახელმწიფოს საპარლამენტო დელეგაცია... არც ოჯახში სუფევდა ერთსულოვნება... უფროსმა შვილმა კემბრიჯში მოინდომა სწავლის გაგრძელება, რამაც პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა ირონიული რეპლიკები გამოიწვია, უმცროსი, კი სტუდენტთა ოპოზიციურ გაერთიანებაში შევიდა და მამას შინ გაუხსნა პარლამენტი...

ბატონმა გოგიმ დეპეშების კითხვა მოამთავრა, საერთაშორისო კომენტატორები აანალიზებდნენ რფრ-ს ლიდერის მომავალ ვიზიტს საქართველოს რესპუბლიკაში. ვარაუდებს ჭეშმარიტებად ასაღებდნენ... პრეზიდენტმა წამით იყუჩა, — ისვენებდა, — მერე ანიშნა, რადიო ჩართეო. ბატონმა გოგიმ პანელზე თითი დააჭირა. საქართველოს რადიო უკანასკნელ ცნობებს გადმოსცემდა: „მოსკოვის შერემეტიევოს აეროპორტიდან დღეს თბილისში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით გამოფრინდა რფრ-ს პრეზიდენტი. როგორც საქართველოს რესპუბლიკის პრეს-მდივანმა ბატონმა პარმენ მ-მ განაცხადა, ეს ვიზიტი ისტორიული ნიშანსვეტი იქნება ორი სახელმწიფოს ისტორიაში“...

რადიოს ცნობა, ჩვეულებისამებრ, აგვიანებდა. პრეზიდენტის ლაინერი საათზე მეტია, რაც შერემეტიევოდან გამოფრინდა და თხუთმეტ წუთში შემოვიდოდა საქართველოს საჰაერო სივრცეში, კავკასიონის თავზე. ეს მეტად პასუხსაგები წუთი იყო. რესპუბლიკის საზღვრებზე გამოცხადდა „მზადყოფნა №1“. რადარები ფხიზლად უთვალთვალებდნენ, რათა მოულოდნელად რაიმე უცნობი ობიექტი არ შემოჭრილიყო საიდანმე... ორი საათით შეწყდა სამოქალაქო და სამხედრო თვითმფრინავების ფრენა თბილისის ცაზე.

ტელეფონმა ზუმერის ხმა გამოსცა. ბატონმა გოგიმ ყურმილი პრეზიდენტს მიაწოდა. თავდაცვის მინისტრი თავისი მანქანიდან ცინცხალ ცნობას ატყობინებდა: რფრ-ს პრეზიდენტის ლაინერი გრაფიკით უახლოვდება ჩვენს საჰაერო სივრცეს. თბილისის სამხედრო აეროდრომიდან ხუთი წუთის შემდეგ აფრინდება საპატიო ესკორტის ესკადრა — შვიდი ავიაგამანადგურებელი...

ქალბატონმა ნათელამ ხელჩანთიდან სარკე ამოიღო, ჩაიხედა. რფრ-ს პირველი ლედი სვეტლანა მოისეევნა მხოლოდ ფოტოსურათებზე ენახა და იცოდა, რომ ახალგაზრდა ქალი ბრძანდებოდა.

პრეზიდენტმა საათზე დაიხედა. საჰაერო თავდაცვის სისტემა ნორმალურად მუშაობს. სანამ კორტეჟი აეროპორტს მიაღწევდეს, სტუმრის ლაინერი საქართველოს საჰაერო სივრცეში შემოვა. იქ, მყინვარების თავზე პრეზიდენტის თვითმფრინავს ქართველთა საპატიო ესკორტი შემოეწყობა და სტუმარს აეროდრომისაკენ გამოუძღვებიან...

•

თბილისის აეროპორტში, სანამ ორი პრეზიდენტი ერთმანეთს შეხვდებოდეს, შეგვიძლია მაღალი პოლიტიკიდან ძირს დავეშვათ, რათა მოვისმინოთ წითელარმიელი ივანე პენტიუხას თავგადასავალი, ვინაც გამოავლინა რუსი ჯარისკაცის საუკეთესო თვისებები — ერთგულება, მორჩილება, მოთმინება და არცთუ საუკეთესო თვისებაც, რაც ჩვენებური ჭაჭის სიყვარულში გამოვლინდა.

იმ დროს, როცა ზემოთ მოყოლილი ამბავი ხდებოდა, პოლიციის ზემდეგი შავლეგ ჯინჯარაძე თავის სამბორბლიან მოტოციკლთან იდგა და რადიოთი უკანასკნელ ცნობებს უსმენდა. „ოჰ, რა დროს მოვესწარი!“ — გაიფიქრა ზემდეგმა და უცებ სახე დაუგრძელდა. რა თქმა უნდა, შავლეგ ჯინჯარაძეს რადიოს ცნობები არ გაუკვირდებოდა. განსაცვიფრებელი ის იყო, რომ პოლიციის ზემდეგისაკენ მტკიცე ნაბიჯით მოდიოდა წითელარმიელი ივანე პენტიუხა. რა არის ამაში გასაკვირიო, — იკითხავს ალბათ მკითხველი. ცხადია, შავლეგ ჯინჯარაძეს აქამდე არაფერი სმენოდა ივანე პენტიუხას არსებობის შესახებ, უფრო მეტიც, სიცოცხლეში პირველად ნახა იგი, სახელი და გვარიც აწი, დაკითხვის შემდეგ უნდა გაეგო. მაშ რა მოხდა? შავლეგ ჯინჯარაძემ თავისი საკუთარი თვალებით იხილა ნამდვილზე ნამდვილი წითელარმიელი, რომელსაც თავზე წითელვარსკვლავიანი „პილოტკა“ ეხურა, მხრებზე ეფრეიტორის სამხრეები ეკეთა, ფეხებზე ქირზის ჩექმები ეცვა და ზურგზე კალაშნიკოვის ავტომატი ეკიდა... თითქოს ესეც არ კმაროდა, წითელარმიელს სარტყელზე ჩამოკონწიალებული ჰქონდა მათარა, სავაზნე მასრა და სასანგრე ნიჩაბი, რომელმაც პოლიციის ზემდეგის მეხსიერებაში არცთუ სასიამოვნო მოგონებანი გააცოცხლა.

„ნუთუ შპიონია?“ — აი, რა გაიფიქრა შავლეგ ჯინჯარაძემ, თუმცა, ეს აზრი უმალვე უკუაგდო. ბოლოსდაბოლოს, რომელი კბილებამდე შეიარაღებული მზვერავი გამოჩნდებოდა ქუჩაში, რათა პირველსავე პოლიციელს ჩაბარებოდა... „რუსები ხომ არ შემოგვესივნენ?“ — ესეც გაიფიქრა, თუმცა, რადიოში სულ სხვა რამეს ისმენდა, თანაც სროლის ხმა არ გაუგონია, წითელარმიელს კი კალაშნიკოვის ავტომატი კი არა, სასანგრე ნიჩაბიც არ ჰქონდა ნახმარი. „იქნებ, სადმე კინოს იღებენ, ჰა!“ — ეს დასკვნა უფრო იყო ჭკუასთან ახლოს.

პოლიციის ზემდეგს ჭოჭმანი გაუგრძელდა. ამასობაში, წითელარმიელი ჩექმების ბრაგაბრუგით მოვიდა, ქუსლი ქუსლს მიარტყა, ხელი აუღო და რუსულად ჰკითხა:

— ამხანაგო მილიციელო, ვერ მიმასწავლით სამხედრო ნაწილს?

— ჰმ! — გონს ძლივს მოეგო შავლეგ ჯინჯარაძე, უნდოდა უცნობისათვის აეხსნა, შენი „ამხანაგი“ რაკი არა ვარ, „ბატონო“ უფრო უპრიანიაო, თანაც მილიციელი კი არა, პოლიციელი ვარო, მაგრამ სულ სხვა რამ თქვა:

— მოქალაქევ, აგერ, ამ შენობაში შემომყევით და იქ აგიხსნით ყველაფერს!

წუთის შემდეგ პოლიციის ზემდეგი მაგიდას უჯდა, პოლიციელებით გარშემორტყმული წითელარმიელი კი მთელ თავის ამუნიციას მაგიდაზე აწყობდა.

— სახელი, გვარი! — მკაცრად ჰკითხა ზემდეგმა.

— ივანე პენტიუხა!

— აბა, ივანე, მოგვიყევი, ვინა ხარ და საიდან მოდიხარ!

ბევრი ილაპარაკა ივანე პენტიუხამ. ჩვენ კი, რაკი პრეზიდენტებს უნდა დავუბრუნდეთ, მის მონაყოლს მოკლედ გადმოგცემთ: ცხოვრების თვრამეტი წელი ივანემ რუსეთის ტაიგაში მიკარგულ პატარა სოფელში გაატარა. იქ, ძელური ქოხებისა და სავსიანი ლობე-ყორეს გარდა, არაფერი უნახავს. ერთადერთი მოზრდილი შენობა სკოლა იყო და სხვა დანიშნულებასთან ერთად, სამასწავლებლო ოთახს კინოს საჩვენებლადაც იყენებდნენ. ამ ოთახის შეთეთრებულ კედელზე ნახა ივანემ საქართველოს ლამაზი ხედები. ჯარში რომ გაიწვიეს და საქართველოსკენ გზას გაუყენეს, ეგონა, პალმებსა და ლაჟვარდისფერ ზღვას დავინახავთ, მაგრამ, სამწუხაროდ, უღრანი ტაიგიდან პირდაპირ პატარა ციმბირში აღმოჩნდა. საქართველოში ხომ ყოველნაირი გეოგრაფიული გარემონი თანაარსებობენ. სადაც ივანეს სამსახურმა მოუწია, იქ ზაფხულში ხორშაკი იდგა. ზამთრობით კი ყინულიანი ქარაშოტი ქროდა... ჩივილი არ დასცდენია ივანეს, ერთგულად ზიდა ჭაპანი, თუ არ ჩავთვლით მცირე ცუღლუტობებს, როცა ათასში ერთხელ ის და მისი მეგობრები ჭაჭის არაყის საშოვნელად ახლო სოფლებში მიიპარებოდნენ... სინდისიერი სამსახურის სანაცვლოდ ისეთი ჯილდო ერგო, საგანგებოდ ვერავინ მოიგონებდა: ერთ მიგდებულ საყარაულოზე დააყენეს და მიავიწყდათ... იმ დაბალ, მიწისპირას გადაფერდებულ ფარდულში, პენტიუხა რომ ყარაულობდა, პერანგის ამხანაგისა და ფეხსახვევის მეტი არაფერი ინახებოდა, მაგრამ ყოჩაღმა წითელარმიელმა ეს არ იცოდა, ეგონა, ატომურბირთვიან რაკეტებს მაინც ვყარაულობო და ვაჟკაცურად უმკლავდებოდა სიცივეს, სიცხეს, წვიმას, თოვლს, ქარს და, რა თქმა უნდა, შიმშილს... იმდენი დრო გავიდა, ივანე პენტიუხას სათვალავი აერია... ძლივს მიხვდა, რომ დაავიწყდათ, მერე მოთარეშე ვირთხების მეოხებით ისიც გაიგო, ნიფხვებს რომ ყარაულობდა ამდენი ხანი, ერთი გემრიელად შეიგინა რუსული ლექსიკის შესაძლებლობის ფარგლებში, დაკრა ფეხი და წამოვიდა ნაწილის მოსაძებნად, რათა საკუთარი მეთაურისათვის წირვა ჩამოეყვანა... ვერსად იპოვა!.. მიდიოდა სოფელ-სოფელ, მოხეტიალე ჯარისკაცს ვინ დაუჭერდა პურის ნატეხსა და ას გრამ ჭაჭის არაყს... მხიარულად მოგზაურობდა წითელარმიელი ივანე პენტიუხა, ნაწილის ძებნაში უამრავი სოფელი მოიარა, პურიც ბევრი ჭამა და არაყიც ბევრი სვა, ამასობაში, რამდენიმე ქართული სიტყვა ისწავლა: „დალიე, რუსო!“ „ჩაჩა!“ „მტვრალი კაცი, კაი კაცი!“

პოლიციის ზემდეგმა შავლეგ ჯინჯარაძემ ყველაფერი ეს თეთრ ქაღალდზე გადაიტანა, თავი ეჭვით გააქნია:

— ვნახოთ, ვნახოთ!.. შევამოწმებთ!

წითელარმიელი ივანე პენტიუხა საკანში შეაბრძანეს. „ასია ჩემზე, — გაიფიქრა ივანემ, — უპატრონოდ ხომ მივაგდე პერანგის ამხანაგი და ფეხსახვევი, ამაზე პასუხს მომთხოვენ!“

ზემდეგმა ჯინჯარაძემ კი თანაშემწეს მოუხმო, მაცივარში შეახედა და უთხრა:

— ცოდოა ი საწყალი რუსი, შეუტანე პურმარილი და ჭაჭა!



•

აეროპორტის შენობის აივნებზე უამრავი მაყურებელი გამოეფინა. ღია მოედანზე დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. უშიშროების თანამშრომლები და პოლიციელები ცდილობდნენ წესრიგის უმცირესი დარღვევაც აღეკვეთათ. განსაკუთრებით ახალგაზრდობა ვერ ეგუებოდა ბარიერს უკან დგომას და ცდილობდნენ მაინცდამაინც სხვაზე წინ გაძრომას.

შორიახლო საპატიო ყარაულის მონაწილე ასეულები ჩამომწკრივდნენ — თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული ორკესტრი და სამი სახეობის ჯარის — სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ძალების ნაწილები.

თანმხლებმა ავიაგამანადგურებლებმა საპატიო სტუმრის ლაინერი დასაშვებ ბილიკამდე მოაცილეს, აეროდრომს გადაუფრინეს და მიიმალნენ. პრეზიდენტის თვითმფრინავი ჰორიზონტიდან პირდაპირ ბეტონის ზოლზე დაეშვა, გაირბინა, გუგუნით შემობრუნდა, მასპინძლებისაკენ წამოვიდა და ზუსტად იქ გაჩერდა, სადამდეც წითელი ხალიჩა იყო დაფენილი.

მცირე ხნით სიწყნარე ჩამოწვა. კართან უმალ ტრაპი მიაგორეს.

აი, გაიღო კარი და კიბის თავზე გამოჩნდნენ მომღიმარე რფრ-ს პრეზიდენტი და მისი მეუღლე. ხელის აწევით მიესალმნენ მასპინძლებს და კიბეზე დაეშვნენ.

რამდენიმე ოფიციალური პირი საქართველოს პრეზიდენტის ხელმძღვანელობით კიბესთან დახვდა სტუმრებს. პრეზიდენტებმა ენერგიულად ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი. რფრ-ს პრეზიდენტმა იოხუნჯა:

— იმედია, ნათელ დღეს პოლიტიკაც ნათელი ახლავს!

— როგორც ამბობენ, მოსკოვშიც თბილი ამინდებია! — თავშეკავებით უპასუხა საქართველოს პრეზიდენტმა.

საქართველოს რესპუბლიკის პირველმა ლედიმ ხელი გაუწოდა სვეტლანა მოისეევნას. ამ უკანასკნელმა დიპლომატიური სალამი არ იკმარა და ენერგიულად ჩაკოცნა.

საქართველოს პრეზიდენტთან ერთად, აქვე იყვნენ პრემიერ-მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი, პარლამენტის სპიკერი და გენერალური პროკურორი. სტუმარმა წარდგენილ პირებს სათითაოდ ჩამოართვა ხელი, თუმცა, ეტყობოდა, რომ ქართულ გვარებს ვერ იმახსოვრებდა.

ამის შემდეგ ორი პრეზიდენტი მიუახლოვდა სახელდახელო ტრიბუნას. მასპინძელმა მისალმების სიტყვა მოკლედ, ლაკონიურად წარმოთქვა. საჯაროდ ტრაფარეტების კითხვას ერიდებოდა, ცდილობდა ზეპირად ელაპარაკა... სტუმარმა ჯიბიდან ქაღალდი ამოაძვრინა, სათვალე საფუძვლიანად მოირგო და საპასუხო სიტყვა ჩაიკითხა... ლიდერები შეეცადნენ ერთმანეთისათვის ესიამოვნებინათ, აღიარებდნენ ორი სახელმწიფოს სრულ სუვერენიტეტს, ერთმანეთის შინაურ საქმეებში ჩაურევლობას, მჭიდრო მეგობრობის აუცილებლობას და ა. შ.

სამხედრო ორკესტრმა გზნებით შეასრულა ორი რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

— ყურადღება! სწორდით! — მჭახედ გაისმა პარადის მეთაურის ბრძანება.

ახალგაზრდა ოფიცერმა სხარტი მოძრაობით ხმალი იშიშვლა, მხართან გაასწორა, მტკიცე ნაბიჯებით სტუმრისაკენ გაემართა, ქუსლი ქუსლს შემოარტყა და პარადისათვის მზადყოფნა მოახსენა, მერე განზე გადგა, პრეზიდენტებს გზა დაუთმო.

სტუმარ-მასპინძელმა ასეულებს ჩამოუარეს, თან სამი სახეობის ჯარების ალმებს პატივს მიაგებდნენ. ბოლოს მათთვის გამოყოფილ ადგილას, საგანგებოდ დაფენილ ხალიჩაზე შედგნენ.

აგრიალდა გაერთიანებული ორკესტრი. გაისმა სამხედრო მარშის ენერგიული ჰანგები. ასეულებმა მტკიცე, ჯარისკაცური წყობით გაიარეს პრეზიდენტების წინ.

— ყოჩაღი ბიჭებია! — თქვა სტუმარმა.

— ასეთი ბიჭების იმედითა ვართ! — ღიმილით უპასუხა მასპინძელი.

— მეზობლების მეგობრობის იმედიც არაა წყალში გადასაგდები! — სტუმარმა ალბათ საკუთარი ქვეყანა იგულისხმა, ანდა ალბათ თურქეთის პრემიერის ამასწინანდელ ვიზიტზე ჩაუკრა სიტყვა.

ჩამოუარეს შეკრებილებს. ჯერ მთავრობის სხვა წევრები წარუდგინეს სტუმრებს, მერე პარლამენტართა ჯგუფი, პარლამენტში წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიების ლიდერები, მაღალი რანგის სამხედრო პირები, დიპლომატიური კორპუსის მეთაურები... დანარჩენ საზოგადოებას ხელის აწევით მიესალმნენ. პასუხად გაისმა საყოველთაო „ვაშა!“, რომელშიც გამოკვეთილად ჟღერდა რფრ-ს სტუდენტთა და ტურისტების დიდი ჯგუფის „ურა!“

აქ კი პრეზიდენტებს ჟურნალისტები შემოეხვივნენ, თავიანთი ტელე და ფოტოაპარატებით ყველას ფეხებში ედებოდნენ. შეკითხვები სეტყვასავით დააყარეს ორ ლიდერს, მაგრამ, რაკი ერთმანეთს ხელს უშლიდნენ, პრეზიდენტებმა თავი იოლად დაიძვრინეს, ზოგადი სიტყვებით პასუხობდნენ, უმთავრესად მეგობრობასა და ურთიერთპატივისცემაზე, რფრ-ს პრეზიდენტმა კი აღფრთოვანება გამოხატა შესანიშნავი ამინდისა და გულთბილი მიღების გამო...

საპატიო სტუმართათვის განკუთვნილ დარბაზში პრეზიდენტებმა და მათმა თანმხლებმა პირებმა ათი წუთი შეისვენეს. რფრ-ს პრეზიდენტსა და მის მეუღლეს პირადმა ექიმმა წნევა გაუზომა, მაჯებს მოუსმინა. რფრ-ს პირველი კაცის ჯანმრთელობა ეჭვს არ იწვევდა, არც მისი მეუღლისა.

ოფიციანტებმა ბროლის მაღალყელიან თასებში ჩასხმული შამპანური ჩამოატარეს:

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ბატონო პრეზიდენტო, საქართველოს ძირძველ მიწაზე!

— ბუდტე ზდოროვი! — უპასუხა სტუმარმა და მოსვა.

— აჰ, საქართველო ჩემი ოცნებაა! — განაცხადა სვეტლანა მოისეევნამ. — ადრე ჩვენ ხშირად ვისვენებდით საქართველოში. მამიკოს ლეონიდ ილიას ძე იწვევდა ბიჭვინთაში... ჩემს მეუღლეს — მიუსერას აგარაკში...

— აჰ, მილოჩკა... — ფრთხილად შეაწყვეტინა უადგილოდ აჭიკჭიკებულ მეუღლეს.

— მეგობრებისათვის ჩვენი კარი ღიაა! — უხერხულობის გასაფანტავად ჩაურთო ქალბატონმა ნათელამ. ეს სიტყვები არაფერს ავალდებულებდა, მით უფრო, რომ ბიჭვინთასა და მიუსერას აგარაკები კარგა ხანია ავადმყოფ ბავშვებს გადაეცა.

საუბარი ამაზე შეწყდა და ყველანი მანქანებისაკენ გაემართნენ. პრეზიდენტის ლიმუზინი ამჯერად თავახდილი იყო. ქალბატონები გვერდიგვერდ დასხდნენ. პრეზიდენტებმა კი საგანგებო სახელურს ჩასჭიდეს ხელი, ფეხზე მდგარნი უნდა მისალმებოდნენ ხალხს.

სხვებზე უწინ დაცვის მანქანა დაიძრა. მოშორებით პრეზიდენტის ლიმუზინი მიჰყვა. მის ირგვლივ განლაგდა სრულ, საპარადო ფორმაში გამოწყობილ მოტოციკლისტთა ესკორტი. დანარჩენი მანქანები საპატიო მანძილზე ჩამორჩებოდნენ... ერთი მეორის მიყოლებით მოწყდნენ ადგილს და დიდი სიჩქარით ქალაქისაკენ გაემართნენ.

ხუთი წუთიც არ დასჭირვებიათ, რომ მიეღწიათ ქალაქის მესამე მასივამდე. აქედან მოყოლებული ტრასის ორთავე მხარეს ხალხი უფრო და უფრო მატულობდა.

კიდევ რამდენიმე წუთი და კორტეჟმა ისნის რაიონი გადაჭრა. აქ ხალხი საგრძნობლად მეტი იყო. უამრავ დროშას ტკაცუნი გაჰქონდა ჰაერში. ქუჩები აჭრელდა ტრანსპარანტებით.

ბარათაშვილის დაღმართზე რომ ეშვებოდნენ, მთაწმინდის მხრიდან მოისმა არტილერიის ზალპი და ქალაქის თავზე უზარმაზარ თაიგულად გადმოეკიდა მირიადი ფერადი შუშხუნა.

— ჩუდო-გოროდ! — შესძახა აღფრთოვანებულმა სვეტლანა მოისეევნამ.

კორტეჟმა ბარათაშვილის ხიდი გადაკვეთა. გაღმა-გამოღმა, ვერცხლისფრად არეკლილი მტკვრის გასწვრივ, ფართოდ გაიშალა თბილის-ქალაქის მშვენიერი პანორამა.

აურაცხელი თბილისელი გამოსულიყო რუსთაველის პროსპექტზე. ტევა არ იყო და პოლიციელთა გაძლიერებულ რაზმებს უჭირდა ზღვა ხალხის შეკავება, კორტეჟისათვის გზის გათავისუფლება.

მანქანებმა ჩაუარეს ყოფილ კოლმეურნეობის მოედანს, წუთში აირბინეს აღმართი და მაშინ რფრ-ს პრეზიდენტმა მასპინძელს გადაულაპარაკა:

— მახსოვს, მახსოვს, აქ მოედანია და ზედ ლენინის ძეგლი დგას!

მასპინძელმა არადიპლომატიურად, ბავშვური სიანცით თვალი ჩაუკრა საპატიო სტუმარს.

აქ ახლა სხვა ძეგლია... მოედანს თავისუფლების მოედანი ჰქვია...

•

რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის პირველი ოფიციალური მეგობრული ვიზიტი საქართველოს რესპუბლიკაში ისტორიის კუთვნილება გახდა. ეს სამი დღე საკმაოდ შინაარსიანი აღმოჩნდა. იყო, რა თქმა უნდა, ბევრი მხიარული ზეიმი, ბანკეტი, მიღება, სტუმარ-მასპინძლობის წესების დიპლომატიურ ეთიკასთან შერწყმა, იყო მოლაპარაკება, შეთანხმებები, ხელშეკრულებანი... იყო ლამაზი გაცილებაც... ბოლო დღის ცერემონიალზე საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა სიურპრიზი მოუმზადა სტუმარს.

რფრ-ს პრეზიდენტს წარუდგინეს წითელარმიელი ივანე პენტიუხა.

— ვინ არის ეს ყმაწვილი? — იკითხა სტუმარმა.

— ეს გახლავთ წითელი არმიის უკანასკნელი ჯარისკაცი საქართველოს მიწა-წყალზე! — ღიმილით აუხსნა მასპინძელმა. — იმედია, ბატონო პრეზიდენტო, მამობრივ ზრუნველობას გამოიჩენთ და დაეხმარებით ამ ყოჩაღ ჯარისკაცს, რათა მშვიდობიანად ჩააღწიოს თავის პატარა სოფელში.

ივნისი. 1990.

მხატვარი მიხეილ ნონიკაშვილი

# „პოეზიის დღეები — რაინისის დღეები“

კარგა ხანია ლატვიაში ტარდება პოეზიის ზეიმი: „პოეზიის დღეები — რაინისის დღეები“. ეს ტრადიციული ზეიმი სექტემბრის თერთმეტი რიცხვიდან იწყება, რადგან სწორედ ამ დღესაა დაბადებული დიდი ლატვიელი მწერალი იან რაინისი. წელს განსაკუთრებული თარიღი იყო, დაბადებიდან 125 წელი შეუსრულდა ორ დიდ ლატვიელ პოეტს — იან რაინისს და ასპაზიას. ამ იუბილეზე მრავალი სტუმარი იყო მოწვეული, განსაკუთრებით, საზღვარგარეთის ქვეყნებიდან: პოლონეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, უნგრეთიდან, შვეიცარიიდან, შვედეთიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ინდოეთიდან, იაპონიიდან... სტუმართა შორის ბევრი ემიგრანტი ლატვიელი იყო, მწერლები, მეცნიერები... რომელთაც მეტად საინტერესო ლექცია-მოხსენებები წაიკითხეს რაინისისა და ასპაზიას შემოქმედებაზე, თარგმანის პრობლემებზე. იუბილეს ესწრებოდნენ ახლო მეზობლებიც ვილნიუსიდან და ტალინიდან, აგრეთვე, მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, ერევნიდან... ყოველი ქალაქიდან თითო წარმომადგენელი. თბილისიდან მე გახლდით... ვიყავით რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში, სადაც მეტად საინტერესო შეხვედრები გვქონდა ადგილობრივ მოსახლეობასთან, მოსწავლეებთან. დომის ტაძარში დავესწარით საორღანო მუსიკის კონცერტს. ვნახეთ რაინისის პიესის „ოქროს ცხენის“ დადგმა სამხატვრო თეატრში.

იან რაინისის შემოქმედებას ჯერ კიდევ სამოციანი წლების დასაწყისში გავეცანი, უფრო ზუსტად, 1962 წელს, როცა თბილისის უნივერსიტეტიდან ლატვიის უნივერსიტეტში გამგზავნეს სასწავლებლად.

როცა ლატვიის უნივერსიტეტში ვსწავლობდი, კარგად მახსოვს ლატვიური ლიტერატურის კათედრის გამგესთან, პროფესორ კარლ კრაულინთან პირველი შეხვედრა. პროფესორი კრაულინი, რომელიც სპეციალურ კურსს — სსრკ ხალხთა ლიტერატურის ისტორიას კითხულობდა უნივერსიტეტში და ამ სპეციალობაში შემდეგ სახელმძღვანელოც დაწერა, ბევრს გვესაუბრა ქართულ-ლატვიურ ლიტერატურულ ურთიერთობებზე... ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მან თქვა, რომ „ჩვენ, ლატვიელებსაც გვყავს ისეთი დიდი პოეტი, როგორც თქვენ — იროდიონ ევდოშვილი... იან რაინისიო!“ პროფესორმა ისაუბრა იმ დიდ დამსახურებაზე, რაც ამ პოეტებს მიუძღვით რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში... თავში გამიელვა, თუ ლატვიელებს ევდოშვილზე დიდი პოეტი არ ჰყავთ, ვერ ყოფილა საქმე მთლად კარგად-მეთქი, მაშინ ისიც გამახსენდა, რომ ქართულად თარგმნილმა რაინისის ლექსებმა დიდი შთაბეჭდილება არ დატოვა ჩემზე. პროფესორს მაშინ არ უხსენებია ასპაზია — დიდი ლატვიელი პოეტი ქალი. არ უხსენებია არც კარლი სკალბე, არც იან იაუნსუდრაბინი, არც ედვარტ ვირზა... რომელთა შემოქმედებაც გვირგვინია ლატვიური ლიტერატურისა...

რა თქმა უნდა, ევდოშვილის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ყველა მწერალს თავისი ადგილი უკავია ეროვნული ლიტერატურის ისტორიაში... მე, როგორც გითხარით, იმან გამაოცა, რომ პროფესორმა ევდოშვილი ყველაზე დიდ ლატვიელ პოეტს შეადარა და კიდევ იმან, რომ მან არაფერი თქვა ჩვენი ლიტერატურის კორიფეებზე... თუმცა, პროფესორმა ისიც დაწვრილებით გვითხრა, თუ რა როლი ითამაშა იროდიონ ევდოშვილის შემოქმედებამ ცხრაასხუთი წლის რევოლუციის ბობოქარ დღეებში, რა დიდი გავლენა მოახდინა მან მაიაკოვსკის შემოქმედებაზე... პროფესორი კრაულინი ერთ რამეში ნამდვილად მართალი იყო, მაშინ ხომ იმ საზომით ზომავდნენ შემოქმედებას, თუ რა პოზიცია ეკავა ავტორს რევოლუციის, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიმართ. მაგრამ მას ის აღარ უთქვამს, რომ იროდიონ ევდოშვილმა ეს პარტია დემონსტრაციულად დატოვა, როცა დიდი ილია ვერაგულად მოკლეს ავაზაკებმა ამ პარტიის ლიდერთა წაქეზებით. ან იქნებ ეს არ იცოდა ლატვიელმა პროფესორმა?

გავიდა ხანი. შევისწავლე ლატვიური ენა, გავეცანი ლატვიურ ლიტერატურას, ზეპირსიტყვიერებას, ლატვიელი ხალხის ისტორიას. დედანში ვკითხულობთ ლატვიური პოეზიის შედევრებს, მოთხრობებს, რომანებს... ერთ დღესაც, ფაკულტეტზე საჩუქრად გადმოგვცეს ლატვიელ მწერალთა საუკეთესოდ გამოცემული წიგნები, ფოტო-ალბომები. ეს ფოტოალბომები სერიულად გამოსცეს ლატვიელებმა საერთო სათაურით „ლატვიის სახალხო მწერლები“. ჩვენ რაინისის, უპიტისა და ლაცისის ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი ალბომები გადმოგვცეს. როცა გაკვირვებულებმა ვიკითხეთ, „რატომაა რაინისი ლატვიის სსრ სახალხო პოეტი, იგი ხომ ლატვიის გასაბჭოებამდე თერთმეტი წლით ადრე გარდაიცვალაო?“ პასუხი არ გაინტერესებთ? მართალია, იან რაინისი ლატვიაში საბჭოთა წყობილების დამყარებას ვერ მოესწრო, მაგრამ მთელი გულითა და სულით უთანაგრძნობდა ამ წყობილებასო. ეს, რა თქმა უნდა, მტკნარი ტყუილი იყო, ოფიციალურ დაწესებულებაში ნათქვამი ფრაზა, თუმცა, მთქმელს ვერც გაამტყუნებდით, რადგან კედლებსაც ყურები ჰქონდათ გამოსხმული...

დიახ, დიდი რაინისი საბჭოთა წყობილების მოტრფიალედ აქციეს. საგულდაგულოდ გვიმალავდნენ, რომ რაინისი არა თუ უთანაგრძნობდა სოციალ-დემოკრატების პარტიას, არამედ თავგამოდებით ებრძოდა მათ იდეებს, მათ დოგმებს, რაც ეროვნული კულტურისა და ეთიკის წინააღმდეგ იყო მიმართული. 1919 წელს, როცა ლატვიაში მცირე ხნით დამყარდა საბჭოთა წყობილება პეტრე სტუჩკას მეთაურობით, ემიგრაციაში მყოფი რაინისი არ მისალმებია ამ ამბავს, მიუხედავად იმისა, რომ სტუჩკა მისი ახლო ნათესავი, მისი დის ქმარი იყო. ანდა როგორ მიესალმებოდა ლატვიელი ხალხის სულიერი მამა, როცა სტუჩკამ, ლენინის ერთგულმა მოწაფემ, მთავარ მიზნად დაისახა ლოზუნგის „გაუმარჯოს წითელ ტერორს!“ განხორციელება. იან რაინისი მომდევნო წელს დაბრუნდა ემიგრაციიდან და აქტიურად ჩაება დემოკრატიული ლატვიის სახელმწიფოს მშენებლობაში. იგი წლების მანძილზე ლატვიის კულტურის სამინისტროს ედგა სათავეში.

ყველაფერი ეს შემდეგ გავიგეთ. თანდათან, როცა უფრო კარგად შევისწავლეთ ლატვიური ენა და ჩვენი ლექტორებიც უფრო გულგახსნილები გახდნენ ჩვენს მიმართ. მათ უკვე ნამდვილი რაინისი შეგვასწავლეს და დაგვანახეს. აქვე მინდა გავიხსენო იურმალის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარის სიტყვები, ამ საიუბილეო დღეებში რომ მოვისმინე; თავმჯდომარემ აღნიშნა, თუ როგორ დამახინჯებულად ასწავლიდნენ სკოლაში რაინისის ლირიკულ შედევრს „გადატეხილ ფიჭვებს“. „გადატეხილი ფიჭვები“, ეს პროლეტარიატია, გრიგალი ანუ ბოროტი ძალა — დამპალი ბურჟუაზია, ნათელი მომავალი კი — კომუნიზმი, რომელსაც ახლა ჩვენი საზოგადოება აშენებსო“. თუმცა რა, განა ჩვენთანაც ასე არ იყო?

სხვათა შორის, რაინისის ეს დიდებული ლექსი „გადატეხილი ფიჭვები“ ქართულად ორჯერაა თარგმნილი. თუმცა, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ თარგმანებშიც ის მცდარი თვალსაზრისია გატარებული, როგორც ლატვიურ სკოლაში ასწავლიდნენ. აქ, რა თქმა უნდა, მთარგმნელებს არ მიუძღვით ბრალი, მათ დედანში არ შეეძლოთ წაკითხვა, რუსულ თარგმანში თუ პწკარედში, ალბათ ასე იყო დამახინჯებული.

საიუბილეო დღეებში შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, მოსწავლე ახალგაზრდობასთან თუ სოფლის მშრომელებთან შეხვედრებზე აშკარად იგრძნობოდა, რომ ლატვიელი ხალხი, იქ მცხოვრები სხვა ერების წარმომადგენელთა დიდი ნაწილი, ამსხვრევს საბჭოურ ბორკილებს. თანდათან „კლავენ მონას“, ათეული წლების მანძილზე ურცხვად რომ ჩაბუდებულიყო მათ გულსა და გონებაში. ახლა ყოვლად შეუძლებელია მტერმაც და მოყვარემაც მათ თვალებში არ დაინახოს თავისუფალი ადამიანი, რომელსაც სწამს, რომ მისი სამშობლო სულ მალე დამოუკიდებელი ქვეყანა იქნება და, როგორც აქაურები იტყვიან, ლატვია დღეს თუ ხვალ დაბრუნდება ევროპაში! ევროპაში დაბრუნება ხომ ჩვენი ოცნებაცაა!

ღმერთმა ხელი მოგვიმართოს ჩვენცა და მათაც!

**უშანგ სახლთხუციშვილი**

რიგა. 1990 წლის სექტემბერი.

# ახალგორს რომ ჩაბრძანდებით

დაბა ახალგორში ჩასულ კაცს, პირველყოვლისა, ის ეცემა თვალში, რომ ირგვლივ ყველაფერს ქართული სული მსჭვალავს; შესასვლელში დიდ შენობაზე გამოსახულია უზარმაზარი შავ-თეთრ ზოლებიანი შვინდისფერი დროშა, დაბის ერთ-ერთი მთავარი ქუჩა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ უთუოდ ოქტომბრის ან კოლექტივიზაციის სახელობისა იქნებოდა, დღეს ამ კუთხის საამაყო შვილების დავით და ელიზბარ ერისთავების სახელობისად იწოდება. აქვეა ქაქუცა ჩოლოყაშვილის, მერაბ კოსტავას, 9 აპრილის ქუჩები... (თუმცა აქ. ჩემი აზრით, არის ლაფსუსი: უკანასკნელი ქუჩა უნდა იწოდებოდეს 9 აპრილის მსხვერპლთა სახელობისად და არა 9 აპრილისა რომელიც ერთი ყველაზე შავი დღეა ჩვენი ერის ისტორიაში). სართოდ, წარწერები თითქმის მხოლოდ ქართულ ენაზეა. აქა-იქ თუ შეხვდებით ძველ ფირნიშებს რუსული წარწერებით. ყოველი მხრიდან გაისმის ქართული ენა — ლამაზი ქართული დიალექტი.

უკვე პირველივე გაცნობა ახალგორთან, მე კი პირველად გახლდით ამ მხარეში, გულს უხარებს ადამიანს. კიდევ უფრო სასიხარულოა აქაურ მკვიდრებთან დაახლოება, სარკინიგზო და საგზატკეცილო მაგისტრალებიდან დაშორებულ ამ მთაგორიან მხარეში თითქოს ქართული სულის კონსერვაცია მოხდაო — აქ ცხოვრობს ძველქართული ტიპის ხალხი — თავაზიანი, დარბაისელი, მოღიმარი, სტუმართმოყვარე.

განსაკუთრებით სასიხარულოა ქართველთა და ოსთა ძირითადად კეთილმეზობლური, მეგობრული ურთიერთდამოკიდებულება. აქაურ ქართველთა მტკიცებით, თითქმის არცერთი ქსნის ხეობაში დაბადებული ოსი არ არის „ადამონ ნიხასის" წევრი და თუკი ვინმე ურევს, ძირითადად ახლადჩამოსახლებული ოსები.

ახალგორში ჩასვლის დღესვე მომეცა საშუალება დავრწმუნებულიყავი, რომ ბევრ აქაურ ქართველსა და ოსს მართლაცდა გულითადი ურთიერთობა აქვთ: დაბიდან 12-14 კილომეტრის დაშორებით, მთებში ულამაზეს ადგილას მდებარეობს მეშვიდე საუკუნეში აგებული სამების დიდებული ეკლესია, რომელიც უწინ განთქმული იყო დიდი განძითა და ოქროს კარიბჭით. ბოლშევიკებმა ეკლესია, რა თქმა უნდა, გაძარცვეს, შებილწეს, და ათწლეულების მანძილზე უპატრონოდ დააგდეს. და, აი, ამ ეკლესიის აღდგენა უთავია ადგილობრივ ახალგაზრდებს — ქართველებსაც და ოსებსაც. მე გახლდით მოწმე მათი მუშაობისა და გარწმუნებთ, ვერც ქართული ენის ფლობით, ვერც შრომაში მუყაითობით ვერავინ გამოარჩევდა ახალგაზრდათა შორის ქართველსა და ოსს.

სხვათა შორის, ბუნებამ სულ მალე უმკაცრესი გამოცდა ჩააბარებინა რესტავრატორებს. დამთავრდა თუ არა ეკლესიის სახურავის ცალი ფერდის გადახურვა შიფერით, ამოვარდა გრიგალი, წამოვიდა კოკისპირული წვიმა. სტიქიამ წუთში დალეწა რესტავრატორთა კარავი, დაამტვრია ხეთა ტოტები, ზოგიერთი ხე ფესვებიანად მოგლიჯა (შემდეგ ახალგორში დაბრუნებულებს მოხუცები გვეუბნებოდნენ, მსგავს ავდარს ამ არემარეში არასოდეს მოვსწრებივართო), მაგრამ სახურავს ძვრაც ვერ უქნა. მეორე დღეს, თითქოს მართლაცდა საგანგებო გამოცდას იბარებსო ბუნება, საკმაოდ ძლიერი მიწისძვრაც მოხდა. მაგრამ სახურავი კვლავ უძრავად დარჩა თავის ადგილზე. ბიჭები კი ამბობდნენ, დროებით და სახელდახელოდ ვარემონტებთ საყდარს, კაპიტალური რესტავრაციისთვის მასალა არ გვყოფნისო.

გრიგალმა და წარღვნამ ადამიანთა სიცოცხლესაც შეუქმნა ხიფათი. რესტავრატორებმა რის ვაივაგლახით ჩამოაღწიეს დაბაში და მაშინვე დათქვეს ხვალ თუ დარი იქნა, დავბრუნდეთ სამებაშიო.

საერთოდ, უკანასკნელ დროს ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთებულა ახალგორის რაიონში. გაიჭრა გზები მთის სოფლებსა და რაიცენტრს შორის, წლეულს დაიწყო კანალიზაციის მშენებლობა, შენდება რამდენიმე საცხოვრებელი სახლი, საბავშვო ბაღი, დაბის მთავარ მოედანზე (რომელიც ჯერჯერობით ლენინის სახელობისაა), დაიგო ასფალტი. ასფალტის ქარხანა მახლობელ სოფელ მოსაბრუნში აშენდა. რაიონში, სადაც თითქმის არ არის მოასფალტებული გზები, ასეთი ქარხანა, ცხადია, ძალიან საჭიროა. ქსნის სანაპიროზე შენდება პარკი, დაიწყო სპორტკომპლექსის მშენებლობაც — დახურული აუზი, საჭიდაო დარბაზით, ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნებით... მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც უკანასკნელ დროს მოხდა ახალგორში, არის რაისაბჭოს 4 სექტემბრის სესია, რომელმაც დაგმო საოლქო საბჭოს 14 აგვისტოს გადაწყვეტილება ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" სუვერენიტეტის თაობაზე და არსებითად ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა ოლქის ადმინისტრაციასთან. სესიამ დაბას აღუდგინა ნამდვილი სახელი.

ამ სესიის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი, 36 წლის ნოდარ ხოხაშვილი, 1989 წლის დეკემბერში დაინიშნა რაიკომის პირველ მდივნად. მოგვიანებით, რაიალმასკომის თავმჯდომარეს მარგიევს ხალხის ერთსულოვანი მოთხოვნით გადადგომა მოუხდა, ხალხმავე კვლავ თითქმის ერთსულოვნად მოითხოვა, რომ ვაკანტური თანამდებობა ნ. ხოხაშვილს შეეთავსებინა. ჩვენს მშფოთვარე დროში, როცა ხელმძღვანელ მუშაკთა კრიტიკა ლამის კარგ ტონად იქცა, ახალგორის რაიალმასკომის თავმჯდომარეს არა ჰყავს „მამხილებლები" არც მრავალრიცხოვან მიტინგებზე და არც ადგილობრივ არაფორმალთა შორის.

როცა ნოდარ ხოხაშვილთან საუბრის საშუალება მომეცა, მან იმით დაიწყო, რომ ძალზე უადვილებს მუშაობას ხალხის მხარდაჭერა, ნდობა. იგი ადგილობრივი კაცი არის, მაგრამ ოლქში შექმნილ მდგომარეობას ადრეც კარგად იცნობდა, თუნდაც იმიტომ, რომ წარმოშობით გორის რაიონიდანაა და მისი მშობლიური სოფელი თითქმის ემიჯნება ცხინვალს.

საუბარი ძირითადად 4 სექტემბრის სესიისა და რაიონის ოლქიდან გამოყოფის საკითხს შეეხო. ბატონმა ნოდარმა (ისევე როგორც ყველა ახალგორელმა, ვისთანაც საუბარი მქონდა) რესპუბლიკურ პრესას უსაყვედურა რაიონში მომხდარი ამბებით დაუინტერესებლობა. ქართველ ხალხს დღემდე არ აქვს სრული წარმოდგენა, თუ რაოდენ დრამატულად განვითარდა მოვლენები ახალგორში. რაისაბჭოს სესიას სერიოზული ხიფათი ექმნებოდა. საქმე იმაში გახლავთ რომ რაიონის თითქმის 13 ათასიანი მოსახლეობიდან ქართველები შეადგენენ ნახევარზე ოდნავ მეტს — 52 პროცენტს, ოსები კი 44 პროცენტს, მაგრამ რაისაბჭოში ორივე ერი დეპუტატთა თანაბარი რაოდენობით არის წარმოდგენილი (ეს ფაქტიც მიუთითებს, როგორი „დაჩაგრულნი" არიან ოსები საქართველოში!). ამიტომ, ბუნებრივია, იქმნებოდა კვორუმის პრობლემა, მაგრამ ოსთა უმრავლესობა პასუხისმგებლურად მოეკიდა საქმეს. სესია არცერთხელ არ გადადებულა და დიდი უმრავლესობით მიიღო ზემოაღნიშნული ისტორიული გადაწყვეტილებანი.

შემდეგ ნოდარ ხოხაშვილმა რაიონის მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაზე ილაპარაკა. ცხადია, დღეს საქართველოს ყველა რაიონის ხელმძღვანელი უამრავ პრობლემას ჩამოთვლის და სათხოვარიც დედაქალაქისადმი უთვალავი ექნება, მაგრამ ახალგორი იმ რაიონთა რიგში უნდა მოვიხსენიოთ, რომელთა გასაჭირი გულთან განსაკუთრებით ახლოს მისატანია.

ახალგორის ხელმძღვანელებს პირველყოვლისა აწუხებთ უგზოობა, ეს მდგომარეობა თუ არ გამოსწორდა, უსათუოდ დაცარიელდება მთის სოფლები. იმის საილუსტრაციოდ, თუ რა ყოფაში არიან მთის სოფელთა მკვიდრნი ნოდარ ხოხაშვილმა ეს გამაოგნებელი ამბავი მომითხრო: წლეულს საავტომობილო გზა მიუყვანიათ სოფელ გეზევრეთამდე, პირველად თვითონ რაიალმასკომის თავმჯდომარე ასულა მანქანით. ერთ ხუთიოდე წლის ბიჭუნას მანქანის დანახვაზე ისეთი ტირილი მოურთავს— ეს რა ცხოველიაო! — რომ საზეიმოდ გამოფენილი სოფელი მას ამშვიდებდა; ბიჭუნამ მხოლოდ მაშინ შეწყვიტა ტირილი, როცა ავტომობილს მოაშორეს. შემდეგ დიდხანს უხსნიდნენ მას, თუ რა არის მანქანა. თითქოს გააგებინეს კიდეც, მაგრამ, როცა შიგ ჩაჯდომა შესთავაზეს, ისევ ტირილი დაიწყო.

ძალიან მტკივნეულ პრობლემად იქცა ცხვრის გამოზამთრებაც. რაიონში 115 ათასი ცხვარია. აქაური მთიელები მეცხვარეობით ირჩენენ თავს მაგრამ უკანასკნელ ხანს დაღესტანთან ურთიერთობაში შექმნილმა დაძაბულობამ სათუო გახადა ყიზლარის საძოვრების სამომავლოდ გამოყენება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შეიძლება მოისპოს ცხვარი, სრულიად უსახსროდ დარჩეს მთის მოსახლეობა, დაცარიელდეს მთის სოფლები. საქართველოს ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა ილონოს პრობლემის მოსაგვარებლად.

შემდეგ საუბარი კვლავ ახალგორის რაიონსა და ყოფილი მეტროპოლიის, ცხინვალის ადმინისტრაციის ურთიერთდამოკიდებულებას შეეხო. ბატონმა ნოდარმა მოიტანა მრავალი ფაქტი დასტურად იმისა, რომ ცხინვალელი ჩინოვნიკები ქსნის ხეობას მართლაცდა თავიანთ კოლონიად თვლიდნენ. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ „სამხრეთ ოსეთის თავისუფლების დეკლარაციის" მიღებისას აქაური მოსახლეობის აზრით არც კი დაინტერესებულან. რაიონი ყოველთვის ყველაფრით ოლქისგან იყო დამოკიდებული და ამიტომ ყოველთვის ყველაფერი აკლდა. პირდაპირ მათხოვრულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. საოლქო ცენტრი არამცთუ ანგარიშს არ უწევდა აქაურ მცხოვრებთა ინტერესებს, არამედ ავლენდა მათდამი არასერიოზულ დამოკიდებულებას. სამაგალითოდ ასეთი ფაქტები იკმარებს: ოლქის ცენტრი ვალდებული იყო ყოველწლიურად გამოეყო ახალგორელთათვის გარკვეული ღირებულების იმპორტული საქონელი და, აი სოფ. გეზევრეთის მაღაზიამ —შეგახსენებთ, იმ სოფლისა სადაც კინო, ტელევიზორი და ავტომობილიც კი არ უნახავთ —მიიღო იმპორტული პორტფელების, „დიპლომატების" პარტია... სხვა დროს რაიონს გამოუგზავნეს რამდენიმე ათეული წყვილი იმპორტული ქალის ფეხსაცმელი, მაგრამ არცერთი წყვილი არ გაიყიდა. მიზეზი? ყველა ფეხსაცმელი 42 ზომისა იყო.

ნოდარ ხოხაშვილმა და მისმა მოადგილემ (უფრო ზუსტად, ალმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ) ბატონმა ამირან ბალაშვილმა აღნიშნეს, რომ მას შემდეგ, რაც რაიონმა ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა ოლქთან, მას სჭირდება დიდი ყურადღება რესპუბლიკის ხელმძღვანელთა, სამინისტროთა, დაწესებულებათა, უწყებათა მხრივ.

ახალგორელების მიმართ მადლობის მეტი რა გვეთქმის მათი ჭეშმარიტი სიმტკიცისათვის. ეს პატარა რაიონი მთელს საქართველოს უჩვენებს ნიმუშს იმისა, როგორ შეიძლება აკეთო საერთო საქვეყნო საქმე.

**თემურ მირიანაშვილი**

# თანამედროვეობის არქივიდან

### მხატვარი და პორნო-ვარსკვლავი

იტალიური პორნოგრაფიული კინოს ვარსკვლავი ჩიჩოლინა, რომელიც აგრეთვე იტალიის პარლამენტის წევრიცაა, წლევანდელი გაზაფხულიდან მიწვეულია ცნობილი ამერიკელი მხატვრის ჯეფ კუნსის ფილმში „დამზადებულია ზეცაში". მხატვარმა ჩიჩოლინას პორნოგრაფიულ ჟურნალებში და იმავდროულად პოლიტიკურ ინფორმაციაში მიაგნო, როდესაც იგი პარლამენტის წევრი გახდა.

ჩიჩოლინა პარლამენტში ძირითადად სექსთან დაკავშირებულ საკითხებს აყენებს და აგრეთვე მხარს უჭერს მწვანეთა იდეებს.

ჯეფ კუნსი თვლის, რომ ჩიჩოლინა უდიდესი გამათავისუფლებელი და უდიდესი ხელოვანია დღევანდელ მსოფლიოში. იგი მარადიულად წმინდა და უმანკოა. იგი ეშვება უფსკრულებში და იქიდან პირველყოფილ სიწმიდეს უბრუნდება.

ინტერვიუში ჯეფ კუნსმა განაცხადა რომ ჩიჩოლინა მისი ხელოვნების, ცნობიერების განუყოფელი ნაწილია. ყოველ მის ნაწარმოებში იყო და არის ჩიჩოლინას სული, ისევე როგორც მაიკლ ჯექსონისა. ამას წინათ, როგორც ცნობილი გახდა, ჩიჩოლინამ საკუთარი სხეულით მომსახურება შესთავაზა სადამ ჰუსეინს კუვეიტის განთავისუფლების სანაცვლოდ.

ამ ფილმში ჯეფ კუნსი გვევლინება რეჟისორად, სცენარის ავტორად, პროდიუსერად და მსახიობად. მას არ განუზრახავს გახდეს დიდი მსახიობი ანდა დიდი რეჟისორი, მაგრამ ჩაფიქრებული აქვს შექმნას ხელოვნების უდიდესი ნიმუში.

ეს იქნება მასობრივი დანიშნულების გამათავისუფლებელი ფილმი, რომელიც ადამიანებს საშუალებას მისცემს თვალი გაუსწორონ თავიანთ ვნებებს, როგორც ბუნების საჩუქარს, ისევე, როგორც თავად ჯეფ კუნსი ხვდება სიხარულით საკუთარ ვნებას — ჩიჩოლინას.

ჯეფ კუნსი მსახიობობის კურსებს გადიოდა ჰაროლდ გუსკინთან ყოველდღიურად ორი საათის განმავლობაში, ხოლო სამ საათს ფსიქოლოგიურ სავარჯიშოებს უთმობდა. ფაქტიურად, ჰაროლდ გუსკინი მსახიობობას კი არ ასწავლიდა მხატვარს, არამედ იმას, რომ იგი ყოველთვის, ყოველ ცალკეულ მომენტში ყოფილიყო ორმაგად და უფრო მეტად ჯეფ კუნსი, არ დაეკარგა საკუთარი თავის შეგრძნება, რამდენადაც კი ეს შესაძლებელი იქნებოდა. ეს იყო რაღაც მსახიობობის საწინააღმდეგო მეთოდი.

ფილმი 1991 წლის დასაწყისისათვის იქნება მზად. გადაღება წარმოებს გერმანიაში, ქალაქ მიუნხენში, სადაც სცენარი დაიწერა.

### მხატვარი ქალების პორტრეტი

ტორონტოს გალერეაში „ე. სპეის" შედგა „ქალთა სექსუალური წარმოსახვის პროექტის" რეპრეზენტაცია. ეს პროექტი წარმოადგინა ქალთა ჯგუფმა სახელწოდებით „ბედ ოფ როუზიზ" („ვარდების საწოლი"), სადაც ექვსი კანადელი მხატვარი ქალია გაერთიანებული: ტერი კონსტანტინო, დებრა ფრიდმანი, ირენ გრეინჯერი, სიუზი კინგი, სინდრა მაკდოუელი და კეროლ მაკბრაიდი.

ამ ჯგუფის მოღვაწეობა ერთგვარი დადასტურებაა კანადის და საერთოდ დასავლეთის თანამედროვე ხელოვნების სცენაზე გაშლილი ფემინისტური მოძრაობისა. კანადაში ამ ბოლო წლებში ჩატარდა სიმპოზიუმები, მოეწყო ფესტივალები, განხორციელდა საგამოფენო, ვიდეო და კინო პროექტები, გამოიცა ლექსების კრებულები, რომლებიც ფემინიზმის ირგვლივაა ორიენტირებული. ამ მოძრაობის ერთ-ერთი დამახასიათებელი შტრიხია პორნოგრაფიასთან ბრძოლა, რადგან პორნო-ბიზნესი და პორნო-ხელოვნება ძირითადად მამაკაცთა მონოპოლიას წარმოადგენს, არ ითვალისწინებს ქალების შეხედულებებს და საერთოდ ახდენს ქალთა დისკრიმინაციას.

ჯგუფმა „ბედ ოფ როუზიზ" წარმოადგინა პროექტი, რომელიც თვალსაჩინოს ხდიდა ქალთა რეალურ შეხედულებას ეროტიკაზე, პორნოგრაფიაზე, სექსზე, რადგანაც მის განხორციელებაში მხოლოდ ქალები მონაწილეობდნენ და აქ არავითარ როლს არ თამაშობდა მამაკაცთა არაობიექტური, შეურაცხმყოფელი ფანტაზია.

ამ გამოფენაზე ძირითადად ფოტოსურათები იყო წარმოდგენილი, რომელთა თემატიკაც მოიცავდა ლესბიანების, პროსტიტუტების, ჰომოსექსუალისტების, ბორდელების, ვნებების სამყაროს — ანუ წრეს, რასაც მამაკაცთა პორნოგრაფიული მონოპოლია ყალბად და აგრესიულად გამოხატავს ქალების შეურაცხყოფისა და მათი გრძნობათა სამყაროს დამახინჯების ხარჯზე.

შეიძლება ვინმეს პარადოქსად მოეჩვენოს, რომ ეს გამოფენა, მიუხედავად პორნოგრაფიული თემატიკისა, არ იყო პორნოგრაფიული და წარმოაჩენდა მხოლოდ ეროტიკულ მშვენიერებას, სილამაზეს. სულიერ ლტოლვას და სიყვარულის მარადიულობას ყოველდღიური ბანალობის ფონზე.

ასეთი აღმოჩნდა ქალების თვალით დანახული ქალების სამყარო რომელიც დღემდე კაცების თვითნებური ფანტაზიების მონოპოლიზაციაში იმყოფება.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ კანადის ზოგიერთ ფემინისტურ, ქალთა გამოფენებზე მხოლოდ ქალთა აუდიტორია დაიშვება.

### ცხოვრება ანუ ხელოვნება

რამდენიმე წლის წინ, როდესაც ბოსტონში მეტროს რამდენიმე ახალი, ტრანზისტული სადგური გაიხსნა, პრესაში გამოქვეყნდა განცხადება, რომელიც იწვევდა მხატვრებს აღნიშნულ ტერიტორიაზე ნამუშევრების შესაქმნელად და გამოსაფენად.

დასავლეთში ეს იშვიათობა არაა. მთელი ურბანისტული კულტურა იქითკენ ისწრაფვის, რომ სულ უფრო დააახლოვოს ერთმანეთთან ხელოვნება და ცხოვრება. ცნობილია, რომ ცოტა ხნის წინ მთელი სამხატვრო ტრადიცია (გრაფიტი) ჩამოყალიბდა, როდესაც მხატვრები ქალაქში — ასფალტზე, კედლებზე, მეტროს მატარებლის ვაგონებზე, ავტობუსებზე ხატავდნენ.

ბოლო დროს ამერიკაში გაჩნდა პოეზია, რომელიც მხოლოდ ღია ბარათების გზით გამოიცემა. შესაფერისი პოეტური სახეები აქვს მოძებნილი დაბადების დღის, საღლესასწაულო, სასიყვარულო, სიმპათიის და სხვა ბარათებს.

# პარიზი შემოდგომით

ქალაქთა შორის ულამაზესი, მშვენიერების მითად ქცეული საფრანგეთის დედაქალაქი, ოქტომბრის ბოლოს რბილი, „ქართული შემოდგომით“ სუნთქავს. მაგრამ თბილისისაგან განსხვავებით, სუნთქვა არ უძნელდება, რადგან ჰაერი აქ ისე სუფთაა, როგორც თბილისში იყო ოდესღაც.

პარალელები, რა თქმა უნდა, ამაზე წყდება, რადგან თავბრუდამხვევი სასწაულების შექმნა არქიტექტურაში ფრანგების მემკვიდრეობითი თვისება ყოფილა (გოთიკაც ხომ საფრანგეთში ჩაისახა). პროპორციისა და მასშტაბის უნატიფესი გრძნობა ყოველ ნაგებობას ქმნილებად აქცევს, რომელიც თითქოს მიწასაც არ ეყრდნობა. არც სილამაზის ტყვედ ხარ გადაქცეული, რადგან შემოქმედების თანამონაწილედ გრძნობ თავს და ამიტომ ქალაქის შეუდარებელი ინტიმი და თავისუფალი ატმოსფერო საოცრად დამაწყნარებლად მოქმედებს.

ევროპის ქალაქებში ქალის სილამაზეს მოწყურებულ თვალებს პარიზი გულუხვად უმასპინძლდება. ამდენ ლამაზ ფრანგ ქალსა და ფრანგულ არქიტექტურას შორის კი რაღაც კავშირი უნდა არსებობდეს, რადგან შინაგან მუსიკას სხვა რას უნდა დაესესხებოდა არქიტექტურა თუ არა ქალის სილამაზეს?

ნოტრდამის ტაძარი, გოთიკის შედევრი, შეუცნობი მიზიდულობის ძალით თავს თვითონ გაპოვნინებს. იგი ახლაც ღმერთს ემსახურება და შაბათ საღამოს კათოლიკე მომღერალთა გუნდი ღვთაებრივად გალობს. ასევე ღვთიური, მაგრამ უკვე პროტესტანტი ბახის მუსიკა, პარიზის სხვა რაიონში, გავოს დარბაზში ჟღერს. აქ ჟაკ ტიბოს სახელობის მევიოლინეთა კონკურსზე აუცილებელი პროგრამით ბახის პარტიტების შესრულებაა გათვალისწინებული.

კონკურსში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 57 მევიოლინე მონაწილეობს. საშინლად მომქანცველია მათი მოსმენა, მაგრამ იმედის მომცემიცაა. თანამედროვე ახალგაზრდობის დიდმა ნაწილმა გრძნობები ხომ ინსტინქტებით ჩაანაცვლა და ამ უკიდურესად გა[illegible]ივებული შინაგანი არსებობის ერთადერთ პროცესად აღგზნება აღიარა, რომელიც ორმხრივი მიმართულებით მოქმედებს — მცირედან უფრო მეტი აღგზნებისაკენ და, პირიქით.

ეს 57 მევიოლინე კი მაინც ერგასია, მაინც იმედია. მართალია ორფეოსისაგან განსხვავებით, ისინი უფრო ტრივიალურ მიზნებს ისახავენ — მხოლოდ კონკურსის ჟიურის მოჯადოებას, მაგრამ, ძალზედ საეჭვოა, რომ თვით ორფეოსსაც შეძლებოდა ისეთი მუსიკოსების გაკვირვება, რომლებიც კონკურსის ჟიურიში შედიან: ოდნოპოსოვი (ავსტრია), შარლ შენნი (საფრანგეთი), ტოტენბერგი (აშშ), ლიანა ისაკაძე და სხვა.

მითუმეტეს, ზოგიერთი მონაწილე ყალბი ბგერების ისეთ ორომტრიალს ქმნიდა, რომ დროდადრო გარეთ მიხდებოდა გავარდნა და მანქანების ღმუილისათვის მიყურადება. ეს კი საკმაოდ მაწყნარებდა, რადგან მანქანები ხომ სიყალბის გარეშე ხმაურობენ.

სიყალბით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ძალზედ მიმზიდველი ფრანგი ქალბატონი. ამდაგვარი მუსიკოსები კი, როგორც ჩანს, ყოველთვის იარსებებენ. როდესაც, ერთ-ერთ კონკურსზე გოლდენვეიზერმა ველარ გაუძლო ასეთივე მშვენიერი მუსიკოსის ყალბ შესრულებას — წამოიძახა: ამ მშვენიერ ქალბატონს ვენერა მილოსელივით ხელები უნდა წაატეხოო. განსაკუთრებით აქტუალურად ჟღერს ეს ფრაზა პარიზში, რადგან სენის მეორე ნაპირზე, ლუვრში ხელებწატეხილი და ხალხით გარშემორტყმული ვენერა მილოსელი დგას.

ევროპაში ამ ყველაზე პრესტიჟულ კონკურსში, 1965 წელს საბჭოთა კავშირიდან ლიანა ისაკაძე და ვლადიმერ სპივაკოვი მონაწილეობდნენ. ჟიურიმ პირველი პრემია მაშინ ერთხმად ლიანა ისაკაძეს მიანიჭა.

ამჯერად, კონკურსში მრავალი იაპონელი მევიოლინე მონაწილეობდა. როგორც ცნობილია, იაპონელებმა ზეადამიანური შრომითა და სრულყოფილი ტექნიკის წყალობით, დასავლეთის სავაჭრო ბაზრები თანდათანობით დაიპყრეს. ამავე მეთოდებით ისინი მუსიკალურ სამყაროშიც ცდილობენ შეღწევას. უაღრესად შრომისმოყვარე იაპონელებს შესანიშნავი საშემსრულებლო ტექნიკა უვითარდებათ, მაგრამ ეს მათ კიდევ უფრო ამსგავსებს რობოტებს. ბუდისტურ ნირვანული სიცარიელიდან, უაღრესად ხატოვან, ქრისტიანულ სამყაროში მექანიკური ჩაზრდა მეტად საეჭვო შედეგებს იძლევა. მხოლოდ უაღრესად ნიჭიერი იაპონელი შემსრულებლები აღწევენ დასავლური მუსიკის სწორ აღქმას, მაგრამ საუკეთესოთათვისაც დასავლური კულტურა პრინციპულად უცხოა. მუსიკა ბოლოს და ბოლოს მარტო ის არ არის, რაც ქაღალდზეა დაწერილი. სანოტო სისტემის ხუთი ხაზი ხელოვნების სულიერ სამყაროსაკენ გადებული ხიდია და პიროვნება თავისი წარსულით, სინამდვილითა და მომავლით ამ სამყაროს ნაწილი უნდა იყოს. მიუხედავად ამისა, 11 იაპონელი მონაწილიდან მეორე ტურში ცხრანი გავიდნენ. ამ გასაოცარ მოვლენას ფარდა ჩქარა აეხადა. კონკურსის მთავარი დამფინანსებელნი იაპონელები ყოფილან. ღმერთმა შეარგოთ — მათ გარეშე კონკურსი ხომ საერთოდ არ ჩატარდებოდა.

ჩემი მეორე შეხვედრა იაპონელებთან ლუვრში მოხდა. დარბაზში, სადაც 5 ლეონარდო და ვინჩი (ლეონარდოს სულ 12 ფერწერული სურათი აქვს დახატული) და 6 რაფაელია გამოფენილი, ჯოკონდას წინ ხალხის დიდი ჯგუფია შეკრებილი. ფოტოაპარატებად ქცეული იაპონელები ყოველწამიერ ახხივებენ უკვდავ ქმნილებას. საკმაოდ ხელმომჭირნე ფრანგებს ნახევარი კილომეტრის რადიუსის მორიგეები არ დაუყენებიათ. მხოლოდ მუზეუმის პოლიციის ჩარევამ გამოიღო შედეგი (კვირას დირექცია არ იმყოფება მუზეუმში) და სურათი მოხსნეს გამოფენიდან, ამით თუმცა არაფერი შეიცვალა, რადგან რამდენიმე დღის შემდეგ იმავე სურათს წავაწყდი. ამ ეპიზოდმა კიდევ ერთხელ ჩამაფიქრა იმაზე, თუ რა საშინელი დამანგრეველი, აგრესიული და ეგოისტური ძალები იმალება ადამიანში. იმისათვის, რომ საოჯახო ალბომს ჯოკონდას უბრალო ფოტოგრაფიული ანაბეჭდი ამშვენებდეს, მზად არიან მოსპონ მშვენიერება, დაწვან კიდეც, ოღონდ მუზეუმიდან მათი საკუთარი ანაბეჭდით გავიდნენ. თუ კი ოდესმე მათი იენების (იაპონური ფული) სოლიდური კოლექციის გასამრავლებლად, მაგალითისათვის, საქართველოს დამახინჯება გახდება აუცილებელი, რაიმე შეაჩერებთ მათ? არა მგონია.

ჩვენი ხელოვნებათმცოდნენი, რომლებიც უმთავრესად სახელმწიფოს უშიშროების პრობლემებით იყვნენ დაკავებულნი, ვიდრე ხელოვნებით, საკმარისი იყო ფიგურალური ფერწერისათვის თვალი შეესწროთ, რომ, იმავე წამს რეალიზმად ნათლავდნენ. ასე იყო მთელი ალორძინების ფერწერა რეალიზმად აღიარებული.

ლეონარდოს შემოქმედება (ისევე როგორც ყოველი ჭეშმარიტი ხელოვნება) ზერეალურია. ჯოკონდა მიღმური სამყაროს ჰაერით სუნთქავს, რითაც აიხსნება მისი მაგიური ზემოქმედება. ისევე, როგორც ზეგავლენას ვერ მოახდენს მაყურებელზე ჩარჩოში მოქცეული ჩვეულებრივი ადამიანი.

ერთ-ერთ დარბაზში მართლმადიდებლური ეკლესიის 4 წარმომადგენელი შემოვიდა. ალორძინების გენიოსებს მათ იმდენი ყურადღება დაუთმეს, რამდენსაც მაღაზიის ღარიბი ვიტრინა იმსახურებს. სრულიად ზერელე გამომეტყველებით გაიარეს რამდენიმე დარბაზი. გულგრილად ჩაუარეს მე-13-14 საუკუნის საეკლესიო მხატვრობასაც — ლორენცეტის, ფრა ანჯელიკოს, დე სიენას, მემმის გენიალურ ხატებს. ლუვრში მოციონი, როგორც ჩანს უფრო უხიფათოა, ვიდრე პარიზის ქუჩებში. ამორალური ესთეტი და ესთეტიკას მოცილებული მორალისტი განვითარების ერთსა და იმავე დონეზე იმყოფებიან. თუ კი მორალს მოკლებული ესთეტიკა ასახიჩრებს ადამიანს, განუვითარებელი, გაქვავებული რელიგია მოუხმარ ტვირთად აწევს მის მტარებელსა და მრევლსაც.

მუზეუმიდან ფრიბურგის ბულვარით, პოლიციელებით გარშემორტყმულ სასახლეს ჩავუარე, საიდანაც მხრებზე ხიშტგადებული, საპატიო ყარაული, ხელების ქნევით, დროდადრო გამოდიოდა. კაცობრიობა მუდამ ასე იცავდა, ჯავშანს ავლებდა, საპატიო ყარაულს უყენებდა პოლიტიკურ, სოციალურ ლიდერებს და არა „ჯოკონდებს“, რადგან პური არსობისა მისთვის ყოველთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე პური ზეციური. რაღაც არ მახსენდება, რომ კაცობრიობას ოდესმე ახალი სულიერი ეპოქებისა და სამყაროთა შემოქმედი გენიოსები დაეცვა. თუმცა, პირველ ყოვლისა, მათი დაცვა იყო საჭირო ბოროტებითა და შურით დამუხტული გარემოსაგან.

ჩვენს ქვეყანასა და პარიზს შორის რაიმე საერთო მინდოდა მეპოვნა და ბოლოს და ბოლოს მართლაც აღმოვაჩინე. ეს მსგავსება პარიზის ყველაზე მაღალ წერტილში, ეიფელის კოშკზე შევამჩნიე. ეიფელის კოშკი სახელმწიფო საკუთრებაა და მას დაქირავებული, სრულიად დაუინტერესებელი პირები უწევენ მომსახურებას. მათ სახეებზე იგივე ინდიფერენტული, უაზრო გამომეტყველებაა, რომელსაც ჩვენ ასე მივეჩვიეთ. არასწორად, უხალისოდ გპასუხობენ. თითქოსდა მათ არაფერი ეხებათ. არ არის ბილეთის შესაძენი სალარო, ავტომატი არ ახურდავებს. ერთადერთ ლიფტთან სამავზოლეუმო რიგია. გარდა ამისა, ეიფელის კოშკით ფრანგი დისიდენტები თავისი ქვეყნიდან გარბიან. იმედგაცრუებული პარიზელის არჩევანი ჩვენიანთან შედარებით, ძალზედ მწირია. მას მხოლოდ ორი გზა აქვს ან საბჭოთა კავშირში გაიქცეს, ანდა, იმქვეყნად. ფრანგი, რა თქმა უნდა, ბოლო ვარიანტს ირჩევს. ის ეიფელის კოშკზე თვალებს ხუჭავს, კარგავს წონასწორობას და ამაზე წყდება ამქვეყნიური ილიაქოთი.

პარიზი ღამით ისევეა გაბრწყინებული, როგორც დღისით. მაგრამ ახლა, შუაღამისას იგი უფრო მხიარულია, უფრო გულახდილი და დამყოლი. პარიზს, ყვავილებით შემკული, გაბრწყინებული, სადღესასწაულო ნავივით, მთელი ღამის განმავლობაში არწევენ სიამოვნების ტალღები. განთიადი ისე შემოიპარება ქუჩებში, რომ ერთი წამითაც არ ჩასძინებია. იწყება ახალი დღე, თითქოსდა, ახალ სურათებს რომ ფანტავს, უცებ დასერიოზულებულ ქუჩებში. ხალხი აქაც აშენებს — ოღონდ თავის პირად ბედნიერებას, რომელსაც თავისუფლება, ადამიანთა შორის სათნოება და რწმენა ჰქვია სახელად.

რობერტ ფროსტმა როგორღაც თქვა, რომ პოეზია ისაა, რაც თარგმანის მიღმა რჩებაო— პარიზიც ხომ ისაა, რაც სიტყვების მიღმა რჩება. ამიტომ, უმჯობესია თვითონ მოინახულოთ იგი, როცა გენებოთ, იგი მუდამ მშვენიერია. დღესა თუ ხვალ, ამის შესაძლებლობა ყველას ექნება.

**თამაზ ჩაჩავა.**
პარიზი.

# „ოდნავ ნაკლები მოკრძალება“...

ჭეშმარიტებაა, რომ თავისი ნააზრევის გამოსატანად შემოქმედს სჭირდება დარბაზი, სცენა, აუდიტორია, ეს მისი სასიცოცხლო აუცილებლობაა. მაგრამ არანაკლებ სჭირდება აუდიტორიას შემოქმედი. ეს მისი სულის მასაზრდოებელია, მისი კულტურის საფუძველი. როცა ორმხრივი კავშირის წონასწორობა ირღვევა, საბოლოოდ გაღარიბებული რჩება საზოგადოება, რადგანაც სულიერთან, ამაღლებულთან ერთად ერყევა ზნეობრივი საწყისიც.

სამწუხაროდ, ბოლო ხანებში მასობრივი ხდება დასავლეთისაკენ კულტურის დენადობა. დროა გავიგოთ, როგორ სათუთად უნდა მოვეპყროთ და მოვუფრთხილდეთ ტალანტს. დღეს ძლიერ გვახარებს ჩვენი სახელოვანი თანამემამულეების ლექსო თორაძის, ვახტანგ ჟორდანიას, ლადო გუჯაბიძის. სხვათა და სხვათა საზღვარსიქითა შემოქმედებითი წარმატებები, მაგრამ გავიხსენოთ, რომ ისინი „ნეტარ ცხოვრებას“ არ გაქცევიან. უფრო სასიამოვნო იქნებოდა, ჩვენი საუნჯის მფლობელნი თავადვე, ვყოფილიყავით და ხშირად გვქონოდა სიხარული მათ შემოქმედებასთან შეხვედრისა. და ვინც საბედნიეროდ ჯერ კიდევ გვყავს, ვფიქრობ, საჭიროა მეტად ყურადღებიანნი და გულისხმიერნი ვიყოთ მათ მიმართ.

ციალა კვერნაძე სტუდენტობის წლებში ჩვენი კონსერვატორიის ნამდვილი ვარსკვლავი იყო. მაშინ იგი ქალბატონ მადლენ ევთიშვილთან და შემდეგ, პროფესორ ანასტასია ვირსალაძესთან სწავლობდა. ნამდვილი ვირტუოზი — ფორტეპიანოსთან თითქმის თანდაყოლილი კომფორტის გრძნობით, ზღვარდაუდებელი სისწრაფის და სითანაბრის თითებით, ბგერის როგორღაც სადაფისფერ ჟღერადობას აღწევდა. დღესაც დაუვიწყარია მის მიერ შესრულებული შოპენის უმსუბუქესი, მაგრამ ურთულესი მეორე ეტიუდი, ლისტის ტარანტელა, სენსანსის თავბრუდამხვევი კონცერტი...

უკვე ამიერკავკასიის მუსიკის შემსრულებელთა კონკურსის ლაურეატის წოდებით გადავიდა იგი მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში. ასპირანტურის დამთავრებისას საბჭოთა პიანიზმის ერთ-ერთმა კორიფემ ი. ზაკმა ასეთი შეფასება მისცა აღზრდილს: „კვერნაძის შესრულებას ახასიათებს საოცარი პიანიზმი, მსმენელის შემპყრობი არაჩვეულებრივი ნებისყოფა, ერთი სიტყვით, ყველა ის თვისება, რომლებიც მაძლევენ უფლებას, იგი ჩავთვალოთ ერთ-ერთ საუკეთესო ახალგაზრდა პიანისტად“. დახასიათებას არ აწერია თარიღი, მაგრამ თითქოს არც კია საჭირო. დრომ არამარტო შეუნარჩუნა მას გამორჩეული თვისებები, არამედ უფრო განავითარა. გაამდიდრა მისი საშემსრულებლო მანერა.

1964 წელს ციალა კვერნაძე ლისაბონის მუსიკოს-შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი გახდა. „მისი სახით, — აღნიშნავდა პრესა, — გამოვლინდა პიანისტი შესაშური მუსიკალური კულტურით, არტისტული თვისებებით და ტექნიკური რესურსებით“.

70-იანი წლებიდან იგი ძირითადად უკრავს დუეტში თავის მეუღლესთან, შესანიშნავ მევიოლინე ალექსეი მიხლინთან ერთად. მიხლინი ბელგიის დედოფალ ელისაბედის მეტად რთული და ავტორიტეტული კონკურსის ლაურეატია, უნდა შევახსენოთ, რომ მან პირველი პრემია მოიპოვა დავით ოისტრახისა და ლეონიდ კოგანის შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ მათი საგასტროლო რუკა მოიცავს საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა კუთხეს და მთელ რიგ უცხოეთის ქვეყნებს, ციალა კვერნაძეს უფრო პროფესიონალები იცნობენ, ვიდრე ფართო საზოგადოება. მეტწილად იმიტომ, რომ იგი საოცრად თავმდაბალი პიროვნებაა და როგორც მუსიკათმცოდნეები აღნიშნავენ, უჩვეულოდ გულგრილია რეკლამის მიმართ. ნაწილობრივ იმიტომაც, რომ ჩვენში ჯერ კიდევ გაუცნობიერებლად ჩრდილში რჩება პიანისტი-ანსამბლისტის [illegible] საკმარისია მოისმინოთ [illegible] შესრულება დუეტში „მიხლინთან“ ერთად, რომ მყისვე შეაფასოთ, რა საოცრად ჟღერს მის თითებქვეშ როიალი, როგორი დახვეწილი ინტონაციით, რა სიმსუბუქით, როგორ გარდასახავს საანსამბლო რეპერტუარს ყველა სტილში, უძველესი მუსიკიდან უახლესამდე. „საკმარისია თუნდაც სულ უბრალო საფორტეპიანო ფაქტურის მოსმენა, რომ შეაფასო მისი ალღოს უნიკალურობა, მისი მუსიკალური „რანგი“ — ვკითხულობთ რეცენზიაში.

სწორედ ასეთი მაღალი საშემსრულებლო კლასი აძლევს მას საფუძველს იყოს ჩინებული კონცერტმეისტერი-ანსამბლისტი, საანსამბლო შემსრულებლობა კი მუსიცირების განსაკუთრებით რთული სფეროა და გარდა სუფთა პიანისტური პრობლემებისა, უამრავ სხვა მოთხოვნილებებს უყენებს კონცერტმეისტერს. მუსიკალური დროის სინქრონული დინება, ჟღერადი ქსოვილის სწორი თანაფარდობის პოვნა პარტნიორებს შორის, და ნაწარმოების დრამატურგიის ერთ ორგანულ მთლიანობად შეკვრა, ხშირად ისაზღვრება კონცერტმეისტერის კლასით, ინტელექტით.

„მიხლინი და კვერნაძე გამოცდილი კონცერტმეისტერები არიან, მაგრამ გარდა გამოცდილებისა და პროფესიული სტაბილურობისა, ისინი ფლობენ დარბაზთან კონტაქტის განსაკუთრებულ მაგიას.. მათ იციან სათქმელის იდუმალი გამხელა და სადაც საჭიროა, აღწევენ ჭეშმარიტ მასშტაბურობას“ — წერს უცხოური პრესა.

რეცენზიების მოტანაზე მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ მათ კონცერტებს თან ახლავს სტაბილური წარმატება. მსმენელმა იცის, რომ მათთან შეხვედრა ჭეშმარიტ ხელოვნებასთან შეხვედრაა.

ყოველი კონცერტის რეპერტუარი საინტერესოა და მრავალფეროვანი: კლასიკა, რომანტიული და იმპრესიონისტული მუსიკა, ისინი უახლესი მუსიკის საინტერესო ინტერპრეტატორები არიან. მათ ტანდემში ორგანულად ერთიანდება კონტრასტული საშემსრულებლო კომპონენტები: სიფაქიზე და იმპერატივი, გაწონასწორებული, უმყარესი რიტმი და ტემპერამენტი, მოუხელთებელი იმპროვიზაციულობა და შეკრული ფორმის გრძნობა...

სწორედ ამ თვისებებმა განაპირობა თელავის მუსიკალურ ფესტივალებზე მათი მოწვევა და ელისო ვირსალაძის არჩევანი, ქალბატონ ციალასთან დუეტში შეესრულებინა მოცარტის სონატა ორი ფორტეპიანოსათვის. ეს მართლაც ფეიერვერკი იყო...

წელს მოსკოვის გამომცემლობა „სოვეტსკი კომპოზიტორმა“ მეორედ გამოსცა ერთგვარი ანთოლოგია (ავტორი გრიგორიევი, „Современные пианисты“, რომელშიაც XX საუკუნის ყველა დიდი შემსრულებლის გვერდით მოიხსენიება ჩვენი სახელოვანი თანამემამულეც. ამ ზაფხულს ქალბატონი ციალა და მისი მეუღლე მონაწილეობდნენ პარიზში სპივაკის თაოსნობით გამართულ მუსიკალურ ფესტივალში. შემდეგ ქალბატონ ციალის ვაჟიშვილ ალექსეისთან დუეტში უსმენდნენ ლონდონელები. ამ წლის ოქტომბრიდან კი მეუღლესთან ერთად კონტრაქტით სამუშაოდ მიდის ესპანეთში...

ვკითხულობთ და ვუერთდებით მის შესახებ ოდნავ სინანულის ელფერდაკრულ სიტყვებს: „ვუსურვოთ მის ტალანტს დიდი შემოქმედებითი აღზევება. ვუსურვოთ ის, რაც ასე იშვიათად შეიძლება უსურვო ვინმეს ინსტრუმენტალისტთაგან — ოდნავ ნაკლები მოკრძალება“ — ამას წერს მუსიკათმცოდნე პროფესორი ვ. იუზეფოვიჩი — ჩვენ კი, მისივე თქმისა არ იყოს, არ მოვიკლოთ ამ საინტერესო ხელოვანთან შეხვედრის სიამოვნება და სათანადო მივუზღოთ მის წარმატებებს.

**ნუგეშა მესხი**



# „მამათა იმედად...“

„დრო თუ გვაბერებს, დრო გვიბრუნებს ახალგაზრდობას, როცა მოხუცი მამის გვერდით შვილი დადგება...“

**შექსპირი**

თაობათა შორის ურთიერთობა ყველა ეპოქის ისეთი „წყევლა-კრულვიანი საკითხავია“, ბევრს რომ ათქმევინებს ცალთვალა დევივით: „შვილი ჩემია, ჭკუა კი თავისი ჰქონიაო“.

არც ჩვენი რთული დროა ამ მხრივ გამონაკლისი. ბრალდებათა წამლეკავმა ნიაღვარმა თითქოს ჩაიარა და ნდობის, ურთიერთპატივისცემის, თანადგომის დრო დადგა. უდიდეს საქმეებს შეჭიდებულებს გვიხარია, რომ მამათა იმედად და შვილთა მისაბაძად დაზრდილან „ალგეთს ლეკვები მგლისანი“ — მომავალი საქართველოს ენერგია, გონება, ძალა. მერე რა, რომ მათი შეხედულებები შეიცვლება, ცოდნა გასამტკიცებელი და გასაღრმავებელია. მთავარი ისაა, რომ მათ უპირველეს მიზნად საქართველოს სამსახური გაუხდიათ, თან ისე, რომ ეს „ერთი ფიორა“ ქვეყანა „...დადგეს ერთად სხვა ერთა შორის“. საქართველოს საამაყოდ და საიმედოდ ასეთები ბევრნი არიან.

დღეს ერთ-ერთ მათგანს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტს **ზაზა ბიბილაშვილს** გაგაცნობთ.

**დავიბადე თბილისში. ექვსი წლისა შემიყვანეს 151-ე სკოლაში. ორი წლის შემდეგ გადავედი 55-ე სკოლაში. ექვსი წლიდან ვსწავლობდი ინგლისურ ენას, დავდიოდი კონსერვატორიასთან არსებულ სამუსიკო სკოლაში ფლეიტის სპეციალობით, ვსწავლობდი ხაგუნდო სიმღერებსაც.**

**ძალიან ბევრს ვმოგზაურობ. მიყვარს ისტორია, არქიტექტურა, თითქმის მთელი საქართველო მოვლილი მაქვს. მიყვარს პოეზია და ცოტ-ცოტას თავადაც ვწერ. ერთი სიტყვით, ჩვეულებრივი თბილისელი მოსწავლის ცხოვრებით ვცხოვრობდი, სანამ ჩემმა თანაკლასელებმა და პედაგოგებმა რეკომენდაცია არ გამიწიეს და ამერიკაში სასწავლებლად წამსვლელთა შორის არ დამასახელეს.**

**პროგრამას, რომელიც ამ გაცვლას ახორციელებს, ჰქვია „ამერიკის (საველე) სერვისი“. იგი შეიქმნა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ და ემსახურება ხალხთა დაახლოებას. ბევრ ქვეყანაში აქვს ამ საზოგადოებას ფილიალი, საბჭოთა კავშირში ეს პირველი შემთხვევა იყო.**

**საქართველოდან წაგვიყვანეს ათი კაცი. პირველი შერჩევა კანდიდატთა წამოყენებით, რეკომენდაციებით და გასაუბრებით მოხდა (წელს უკვე გამოცდები ჩატარდა).**

**საბჭოთა კავშირში ამ პროგრამის პრეზიდენტია სერგეი ფილანოვიჩი. მან შეამოწმა, თუ როგორ ვფლობდით ინგლისურ ენას, გაგვესაუბრა ზოგად პრობლემებზე. ამის შემდეგ დაამტკიცეს ჩვენი კანდიდატურები.**

**ნიუ-იორკში ჩავფრინდით 19 მაისს. სამი დღე ვცხოვრობდით ქალაქგარეთ კოტეჯში. შემდეგ ოჯახებში გაგვანაწილეს.**

**პირველი, რამაც გამაოცა, ეს ამერიკელი ხალხის გულითადობა და სითბოა (ერთი წლის განმავლობაში კი მივხვდი, რომ ყოველივე ეს ცოტა ზედაპირული იყო), საბჭოთა პროპაგანდის არასოდეს მჯეროდა. მაგრამ რაც პირველ დღეებში შევიგრძენი, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.**

**მართალი გითხრათ, პირველი შთაბეჭდილებებიდან სხვა აღარაფერი მახსოვს, დაღლილობას ახლობლების, სამშობლოს ძლიერი მონატრებაც დაემატა. პირველ დღეებში სულ იმაზე ვფიქრობდი, აქ ერთი წელი ვერაფრით ვერ დავრჩები მეთქი. შემდეგ თანდათან შევეგუე ყველაფერს, რამდენიმე დღის შემდეგ კი ხშირად ჩემი საქმიანობის გარდა სხვა რაიმეზე ჩაფიქრების დროც კი აღარ მრჩებოდა.**

**სწავლა 8 სექტემბერს დაიწყო. გავესაუბრე სკოლის დირექტორს და მისი რეკომენდაციით კატალოგების საშუალებით ავირჩიე ჰუმანიტარული საგნები.**

**ეს სკოლა ჰგავდა ჩვენსას, მაგრამ სწავლა ყოველდღე ერთი და იმავე ცხრილით მიმდინარეობდა. ეს კარგი იყო, მაგალითად, ფრანგულის სწავლა იქ დავიწყე, სისტემატურმა გამეორებამ მომცა იმის საშუალება, რომ ელემენტარულ დონეზე შემესწავლა ენა. გვასწავლიდნენ ამერიკის ისტორიას, კონსტიტუციას, ბიზნესის კანონებს, იმას, რაც გამოგადგება მომავალ ცხოვრებაში.**

**რამდენიმე ხნის შემდეგ გადავედი კერძო სკოლაში, რომელიც უფრო პრესტიჟულია და არავითარი მსგავსება არა აქვს ჩვენს სკოლებთან. ამერიკულ სკოლებში მიღებულია, რომ სპეციალობის არჩევის შემდეგ მასწავლებელმა და მოსწავლემ ყველაფერი გააკეთოს ამ დარგში ცოდნის გასაღრმავებლად. მე ძირითადად ვსწავლობდი ისტორიას, ხელოვნების ისტორიას, ფილოსოფიას, მეცნიერების ისტორიას, ლიტერატურას და სხვა.**

**სკოლა კარგად დავამთავრე და სპეციალური ტესტების შედეგები გავგზავნე კანიშის კოლეჯში, ჰარვარდის უნივერსიტეტში. ფულის უქონლობის გამო სწავლა იქ ვერ გავაგრძელე, დავბრუნდი საქართველოში და ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე საერთაშორისო სამართლის სპეციალობით.**

ზაზა, თქვენ ძირითადად ხელოვნებით, ლიტერატურით, მუსიკით, ისტორიით იყავით გატაცებული, ამ განხრით მეცადინეობდით ამერიკაშიც, რამ განაპირობა სპეციალობად საერთაშორისო სამართლის არჩევა?

**მე პოლიტიკაც ძალიან მაინტერესებს, ამიტომ გადავწყვიტე მაინც ამ გზით წავიდე. პოლიტიკური მეცნიერების, იურისპრუდენციის, დიპლომატიის მოყვარულის დონეზე შესწავლა არ მინდა. თანაც ამ დარგის სპეციალისტი, მე მგონი, ძალიან ცოტა გვყავს, საჭიროებას კი განვიცდით. მუსიკა, ლიტერატურა და, საერთოდ, ხელოვნება მაინც ჩემი განუყრელი თანამგზავრი იქნება.**

**თექვსმეტი წლის ვარ და პროფესიონალიზმზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ჯერ უნივერსიტეტში უნდა ვისწავლო, მუსიკალური სასწავლებელი უნდა დავამთავრო, სამუშაო ძალიან ბევრი მაქვს. ვიცი, რომ ბევრი დაბრკოლების გადალახვა მომიწევს, მაგრამ სხვანაირად არც შეიძლება. ყველაფერი ეს კი ჩემგან სიმტკიცეს, მეცადინეობას, დროის მაქსიმალურად გამოყენებას მოითხოვს.**

**საქართველოში, ერთი წლის შემდეგ დაბრუნებული, გამაკვირვა „ბირჟაზე“ მდგომმა ბიჭებმა. არადა არც ისე დიდი ხნის წინათ მეც ხშირად ვიდექი მათ გვერდით.**

საქართველოში მოვლენები ძალიან სწრაფად ვითარდება. ერთი წლის შემდეგ როგორი საქართველო დაგხვდათ?

**ამერიკაში ყოფნისას, თითქოს სინამდვილეს მოვწყდი. საქართველოს მონატრება მაიძულებდა ალბათ, მხოლოდ კარგი მეფიქრა სამშობლოზე, ხალხზე, მერწმუნეთ, არც ერთი ჩვენი ცუდი თვისება იქ არ გამხსენებია.**

**როცა წავედი, მთელი საქართველო ჯერ კიდევ 9 აპრილის ტრაგედიით იყო გაბრუებული, დეპუტატთა ყრილობას მოველოდით ყველანი.**

**ბევრი რამ გაკეთდა ამ ერთი წლის მანძილზე სასიკეთო. მაგრამ რამაც გამაკვირვა, ეს პარტიათა სიმრავლეა. თითქოს მიტინგებისა და აღფრთოვანების ეტაპიც განვვლეთ. დღეისთვის არჩეულია მმართველი ორგანო. მათ კამათში უნდა იპოვნონ საქართველოსათვის მისაღები და უკეთესი გზა. შეიძლება ვცდები, მაგრამ დღეისათვის ერთპიროვნული მმართველიც გვჭირდება. მან უზენაეს საბჭოსთან ერთად, ხალხის აზრის გაზიარებით უნდა მართოს ქვეყანა. ამ პიროვნებამ ის პასუხისმგებლობაც უნდა იკისროს, რომ საჭიროების შემთხვევაში ოპერატიულად მიიღოს ერისთვის სასიკეთო გადაწყვეტილება.**

**ორ-სამ კაცს უჭირს საერთო ენის გამონახვა, ალბათ, ამიტომაცაა თავად ქართველი რომ ამარცხებს თავისი მოძმის კეთილ წამოწყებას. დღესაც დაფიქრება გვმართებს, რომ არ გამოგვეცალოს ხელიდან ისეთი პიროვნება, ვისაც საქართველოს გადარჩენა შეუძლია.**

თქვენ ერთი წელი დაჰყავით ამერიკაში, იციან იქ რაიმე საქართველოს შესახებ, ესმით კი ის პრობლემები, რომლის წინაშეც დღეს ჩვენ ვდგავართ?

**უმრავლესობამ არაფერი იცის საქართველოს შესახებ, ზოგს რუსეთის პროვინციად მიაჩნია იგი, რადგან საბჭოთა კავშირის სტრუქტურას ამერიკის შეერთებული შტატების სტრუქტურასთან აიგივებენ.**

**დიდი ახსნა-განმარტება მჭირდებოდა, რომ გაეგოთ საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებს თავისი ისტორია, წარსული, ეთნოკულტურა აქვთ. აქ, ერები არიან გაერთიანებულნი. არ იცნობენ ჩვენს კულტურას, ისტორიას.**

**ვცდილობდით როგორმე აგვეხსნა ჩვენი მდგომარეობა, ვუამბობდით ჩვენი კულტურის, ისტორიის შესახებ. ხშირ შემთხვევაში ისინი დაინტერესდებოდნენ ხოლმე (განსაკუთრებულ ინტერესს, ჩვენი ენის და ანბანის, მისი წარმომავლობისა და განვითარების ისტორიისადმი იჩენდნენ). სურვილი უჩნდებოდათ თავიანთი თვალით ენახათ ევროპისა და აზიის გასაყარზედ მცხოვრები ხალხი, გაეცნობოდნენ ამ ორი ცივილიზაციის ნაზავ კულტურას.**

**ამერიკაში ძირითადად ბალტიისპირეთსა და სომხეთს იცნობენ კარგად.**

**იმ პრობლემების გაცნობიერება, რომელიც ჩვენ გვაწუხებს, მათთვის ძალიან ძნელია. ზოგიერთი, ჩვენი მონათხრობის შემდეგ თუ შეიგრძნობდა სიტუაციის სიმწვავეს, მაგრამ ამის გაცნობიერება, რისთვისაც ჩვენ ვიბრძვით, მათთვის ძნელია. მოგისმენენ, თანაგრძნობით შემოგხედავენ, ესაა და ეს.**

თქვენ ახსენეთ, რომ მოთხრობებს წერთ, თარგმნით. ორიოდ სიტყვით ამის შესახებაც.

**წერა შვიდი-რვა წლისამ დავიწყე. და იმავე პერიოდში მიმიყვანეს იმდროინდელ პიონერთა სასახლეში ნორჩ შემოქმედთა სტუდიაში. სამი წლის შემდეგ თავი დავანებე წერას. შარშან კვლავ დავბრუნდი პიონერთა სასახლეში. ამჯერად ესთეტიკის წრეში, რომელსაც მიხეილ გოგუაძე ხელმძღვანელობდა. ბატონი მიხეილი ჩემი საუკეთესო მასწავლებელია. ვერ ვიტყვი, რომ რაიმე კონკრეტულ საგანს ან მეცნიერებას მასწავლიდა იგი, ჩვენ იქ თითქმის ყველაფერზე ვკამათობდით.**

**ძირითადად ჩანახატებს, ლექსებს, დღიურებს ვწერ. არაფერია გამონაგონი, შეთხზული, ჩემს განცდებზე, განწყობილებებზე, შთაბეჭდილებებზე ვწერ.**

**ამერიკაში ნიკოლოზ ბარათაშვილის, ლადო ასათიანის, ტერენტი გრანელის წიგნები მქონდა წაღებული. ნოსტალგიას მათი ლექსებით ვებრძოდი. იმდენად ახლობელი და გასაგები გახდა მათი შემოქმედება ჩემთვის, რომ ტერენტი გრანელის რამდენიმე ლექსის თარგმანიც კი გავბედე. ინგლისურის მასწავლებლის რედაქტირების შემდეგ თარგმანები კედლის გაზეთშიც გამოაქვეყნეს.**

**ქართველები განებივრებულნი ვართ გენიალური პოეტებით. ამიტომაც, ძნელია უსაყვარლესი უწოდო რომელიმე მათგანს. მე, საერთოდ, ქართული ლექსი, ქართული სიტყვა მიყვარს.**

**ბევრი ვეცადე, ამეხსნა ჩემი ამერიკელი მეგობრებისათვის, თუ რას ნიშნავს ქართველთათვის სუფრაზე თქმული სადღეგრძელო, რა ძალაა წინწყაროს რომ გამღერებს, მაგრამ ამაოდ... ჩვენთან გრძნობა მეფობს, ისინი კი რაციონალური, ანგარიშიანი ხალხია.**

ვიცი, რომ ჩვენი გაზეთის მკითხველი ხართ, როგორი გინდათ, მომავალში იხილოთ „ლიტერატურული საქართველო“?

**დღეს ბევრი გაზეთი გამოდის, მაგრამ მე მაინც თქვენს პატივისმცემლად ვრჩები. ამბობენ, თითქოს „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე წამოჭრილი საკითხები წმინდა ლიტერატურულ ჩარჩოებს სცილდება. მაგრამ საქართველოში მწერლობა არასოდეს ყოფილა მხოლოდ „ტკბილ ხმათათვის“ გამიზნული... ხოლო XIX საუკუნიდან ქართველი ერის ცხოვრებას ხომ ხელოვანი და მწერალი წარმართავს (თუმცა, თითქმის ყველა მეფე პოეტი არ იყო?) ამიტომაც. სრულიად გამართლებულია ტენდენცია—საქართველოს ყველა პრობლემა მოიცვათ და გააშუქოთ.**

**მომავალში, ალბათ, კვლავაც ვიხილავთ პოეზიისა და პროზის ახალ ნიმუშებს.**

დღეს შესაძლებლობა გაქვთ თქვენს თანატოლებს მიმართოთ.

**მეც ჩემი ერის, ჩემი თაობის განუყოფელი ნაწილი ვარ. მომწონს ის ეროვნული პოზიცია, რომელიც ჩვენს თაობას უკავია. ჩვენ უფრო ყოჩაღები გამოვდექით, მაგრამ არც მამა-პაპათა გამოცდილების გაუთვალისწინებლობა ივარგებს, მათაც უნდა დავუჯეროთ, თუმცა არც უფროსები უნდა იყვნენ ჩვენი შეხედულებებისადმი გულგრილნი. დღეს თაობათა შორის პარტიული, სოციალური ბარიერები უნდა დავძლიოთ და ერთი საერთო საქმე ვაკეთოთ.**



სვანეთი

მანანა ხოჯოშვილის ფოტო

# ქართველ ხალხს, საქართველოს მთავრობას, ქალაქ თბილისის აღმასრულებელ ხელისუფლებას

ყველასათვის ცნობილია, რა მნიშვნელობა აქვს დღეს, ჩვენს არეულ ეპოქაში, ადამიანთა შორის ურთიერთსიყვარულსა და თანადგომას. ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისის" სათნოების ორდენის მიერ წამოწყებული ჰუმანიტარული მოძრაობა („კვირაში ერთი დღე მოყვასს") არ უნდა იქნას გაგებული როგორც რიგითი ქველმოქმედების თუნდაც სისტემატური გამოვლენა. ერთდროულად ეგზალტირებულ და აგრესიულ ჩვენს ეპოქაში ეს და მსგავსი მოძრაობები გვესახება ერთ-ერთ ფორმად საზოგადოების კათარზისისა და ამ გზით სულიერი თავისუფლების მოპოვებისა, ურომლისოდაც ნებისმიერ სხვა თავისუფლებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

უბრალო ჭეშმარიტება გახლავთ: ძველი შენობის ნგრევის კვალდაკვალ ახლის შენება თუ არ მიმდინარეობს, ადამიანები შეიძლება თავშესაფრის გარეშე აღმოჩნდნენ. ამასთან, ახალს სიყვარული უნდა ედოს საფუძვლად, ძველის ნგრევამ აზრი რომ არ დაკარგოს.

ქაშუეთის ტაძრის ეზოში მიმდინარე სათნოების აქციები, რომლებიც მაისის თვიდან ეწყობა, მხოლოდ პირველი, საცდელი ეტაპი გახლავთ ჰუმანიტარული მოძრაობისა, რომლის მორიგ ეტაპადაც თბილისში რესპუბლიკური მნიშვნელობის სათნოების სახლის დაფუძნება მიგვაჩნია.

1. სათნოების სახლი შეასრულებს მაკოორდინირებელ როლს მიუსაფართა, უქონელთა, დავრდომილთა და მათ პოტენციურ დამხმარეთა შორის. თუ დღეს ქაშუეთის ტაძრის ეზოში გამართულ სათნოების აქციებში მონაწილეობას მხოლოდ ის ადამიანები იღებენ, რომელთაც დათქმულ დღესა და საათს შეუძლიათ აქ მოსვლა, სათნოების სახლის არსებობის შემთხვევაში ყველას მიეცემა საშუალება მისთვის მოხერხებულ დროს დაეხმაროს გაჭირვებულ თანამოძმეს.

ეს აისახება მიუსაფართა ხვედრზეც, რამეთუ აღარ დასჭირდებათ კვირიდან კვირამდე ჭირ-ვარამის გამზიარებელთა ლოდინი. გარდა ამისა, სიცივესა და სიცხეში ორდენის წევრებსა და მათ თანამგრძნობებს, ვვარაუდობთ, გაუჭირდებათ ღია ცის ქვეშ სისტემატური შეკრება.

2. ყოველწლიურად საქართველოში თავს იკლავს საშუალოდ 50 ადამიანი, რომელთაგან 10-12 არასრულწლოვანია. ჩვენ, ბუნებრივია, გაცნობიერებული გვაქვს, რომ თვითმკვლელობათა უმრავლესობა აფექტის დროს ხდება. ამასთან მიგვაჩნია, რომ თუ პოტენციურ თვითმკვლელებს ეცოდინებათ, რომ არსებობს სახლი, რომელსაც კრიტიკულ სიტუაციაში შეუძლია შეაფაროს თავი (რათა გახცილდნენ ატმოსფეროს, რომელმაც ისინი თვითმკვლელობის ზღვართან მიიყვანა), მათი თუნდაც მცირეოდენი ნაწილი აღარ გადადგამს საბედისწერო ნაბიჯს. ალბათ დაგვეთანხმებით, რომ ერთი ადამიანის გადასარჩენადაც ღირს ამგვარი სახლის არსებობა.

3. უქონელ ხანდაზმულთაგან ზოგიერთს სხვათა დაუხმარებლად შეუძლია სიარული. ისინი ყოველდღიურად შეძლებენ სათნოების სახლში მოსვლასა და უფასო საკვების (მათ შორის ცხელი კერძის) მიღებას.

4. სათნოების სახლში სისტემატიურად იმორიგევებენ ორდენის წევრი ექიმები და ფსიქოლოგები, იმუშავებს ნდობის ტელეფონი.

5. სათნოების სახლში გაიხსნება უფასო აფთიაქი.

არ გამოვრიცხავთ, რომ სათნოების სახლი იტვირთავს ჰუმანიტარული დანიშნულების სხვა ფუნქციებსაც.

სათნოების სახლის დანიშნულება თავად მეტყველებს, რომ იგი არ შეიძლება მდებარეობდეს ქალაქის განაპირას (ეს ზედმეტ დაბრკოლებებს შეუქმნიდა როგორც ხანდაზმულებსა და ინვალიდებს, ასევე მათი თანადგომის მსურველთ). გარდა ამისა, სახლის ფართობი უნდა აკმაყოფილებდეს ამგვარი დანიშნულების დაწესებულების მოთხოვნებს.

სათნოების სახლები ფუნქციონირებს ცივილიზებულ (ან ამგვარი პრეტენზიის მქონე) ქვეყნების თითქმის ყველა დიდ ქალაქში. სათნოების სახლების არსებობა, მათი ადგილმდებარეობა და თვით იერსახეც კი თავისთავად მეტყველებს ამა თუ იმ ხალხის დამოკიდებულებაზე შემწყნარებლობისა თუ მოწყალებისადმი. იქნებ ამიტომაც ისინი, როგორც წესი, მდებარეობენ ქალაქის თვალსაჩინო ადგილას და მოცულნი არიან ოფიციალური ხელისუფლებისა თუ ფართო საზოგადოებრიობის მზრუნველობით.

ვვარაუდობთ, რომ რესპუბლიკისა და ქალაქის ხელმძღვანელობა უმოკლეს დროში გადაწყვეტს სათნოების სახლისათვის სათანადო შენობის გამოყოფის საკითხს.

რესპუბლიკისათვის ამ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ ეტაპზე სათნოების სახლის დაფუძნება უნდა აღვიქვათ როგორც ქართველი ერისა და საქართველოს მთელი მოსახლეობის კეთილი ნების გამოხატულება, მისი საყოველთაო განცხადება, აშენოს ჰუმანიტარული ხასიათის სუვერენული სახელმწიფო.

**ხელს აწერს საქართველოს 200-მდე სამეცნიერო, პოლიტიკური, სახელმწიფო, სამეურნეო, რელიგიური და საზოგადოებრივი ორგანიზაცია და დაწესებულება.**

## დაგვიბრუნეთ ჩვენი ვაშლოვანი

პატივცემულო რედაქციავ, როგორც უკვე ვიცით, საქართველოში დაიწყო ტოპონიმების აღდგენა. ბევრმა ქალაქმა უკვე დაიბრუნა პირვანდელი სახელი, ასევე შეიძლება ითქვას ძველ ისტორიულ სოფლებზე. დღეისათვის ყველა ნამდვილი ქართველი ელოდება, რომ აღდგება სამართლიანობა და ყველაფერი თავის ადგილს დაიმკვიდრებს.

ჩვენ მოვითხოვთ, იმ სოფლის სახელის აღდგენას, რომელიც უკვდავყო იაკობ გოგებაშვილმა თავისი მოთხრობით „იავნანამ რა ჰქნა?!" დღეს იგი ლაგოდეხის ერთ-ერთი ქუჩაა და ლენინის სახელს ატარებს...

**ლაგოდეხის რაიონის სოფელ ვაშლოვანის მცხოვრებლები**

**ზ. ელიოზაშვილი, ნ. მჭედლიშვილი, ელიკო გენაშვილი, ელგერდ გენაშვილი...**

**სულ 30 ხელმოწერა.**

## გამოხმაურება, რეპლიკა, მოსაზრება

## ეს მე გახლავართ

გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" (№ 39) წავიკითხე მერაბ კვიტაშვილის სტატია „თეირანის კონფერენცია".

ბატონი მერაბი ამ სტატიაში იხსენებს ერთ ეპიზოდს, რომელიც ეხება ბრიტანეთის სამხედრო მისიას, რომელსაც მეთაურობდა გენერალი გორდონ „ჯიმ" უეი. საქმე ის გახლავთ, რომ მისი მეუღლე არ ყოფილა განთქმული მომღერალი ქეთო ჯაფარიძე (იგი გახლდათ პოეტ სოსო გრიშაშვილის მეუღლე), უეის მეუღლე გახლდათ თბილისის ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი ქეთო ნადარეიშვილი. ეს გახლავართ მე, რომელმაც გადავწყვიტე თქვენთვის მომეწერა წერილი.

საბჭოთა მთავრობამ 1942 წელს ნება დამრთო, რომ ცოლად გავყოლოდი გორდონ უეის. როგორც ბატონმა მერაბმა აღნიშნა, იგი გახლდათ გენერალი და მეთაურობდა დიდი ბრიტანეთის სამხედრო მისიას თბილისში. მას შემდეგ, რაც ჩემმა მეუღლემ დატოვა სსრკ და დაბრუნდა ბრიტანეთში, უფლება არ მომცეს გავყოლოდი მას. ედვარდსის მეუღლეს — ტონიას პირადად ვიცნობდი. [illegible] გაუშვეს. ხოლო მე 1946 წელს დამაპატიმრეს და 5 წლით ციმბირში გადამასახლეს. როდესაც სასჯელი მოვიხადე და დავბრუნდი, არ მაძლევდნენ თბილისში ცხოვრებისა და მუშაობის უფლებას. მხოლოდ სტალინის გარდაცვალების შემდეგ მივიღე რეაბილიტაცია და დავბრუნდი თბილისში.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მეუღლის მიერ გამოგზავნილი წერილები და მასთან ერთად გადაღებული სურათები გაანადგურეს, მე მაინც შემომრჩა ქორწინების მოწმობა, რომელიც დასტურია იმისა, რომ გორდონ „ჯიმ" უეის მეუღლე არ ყოფილა ქეთო ჯაფარიძე.

პატივისცემით

**ქეთევან ნადარეიშვილი,**

**საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის დოცენტი.**

## ღირდა საკამათოდ?!

მიმდინარე წლის 29 ივნისს „ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნდა მიხეილ ალავიძის წერილი „სად და როდის დაიწერა „აღმართ-აღმართ"? ავტორი წერს:

„1971 წლის 6 აგვისტოს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" (№ 32) დაიბეჭდა გიორგი პაპუაშვილის მოგონება. იგი გვამცნობს გიორგი ლეონიძის ყოფნას ლენინგორის რაიონში (ქსნის ხეობაში) და მის გამოუქვეყნებელ ექსპრომტსაც. ეს ფაქტი მნიშვნელოვანია გიორგი ლეონიძის ბიოგრაფიისთვის.

მოგონება ასე იწყება: როცა ავტომანქანიდან გადმოვედით და ერისთავის სასახლეს მივუახლოვდით, გიორგი ლეონიძე დაწინაურდა, სერზე შედგა, მარჯვენა ხელი ასწია და წარმოთქვა პირველი სტრიქონი ლექსიდან „აღმართ-აღმართ". მასპინძელმა და პოეტის თანამგზავრებმა, ცოტა არ იყოს, გავიკვირვეთ, გიორგი ლეონიძემ აქ აკაკის ლექსი რომ გაიხსენა. მან ეს შეგვატყო და ღიმილით გვითხრა:

„აღმართ-აღმართ" აკაკიმ აქ, მაშინდელ ახალგორში დაწერა 1871 წელს, ერისთავებთან სტუმრად ყოფნის დროს."

თუ ეს ასეა, ამ მოგონებას, რომელიც მე სულაც არ მეკუთვნის და ამიტომაც ტენდენციურობას ვერ დამწამებთ, დიდი მნიშვნელობა ჰქონია არა მარტო გიორგი ლეონიძის ბიოგრაფიისთვის, არამედ აკაკის ბიოგრაფიისთვისაც, თუმცა ალავიძეს ეს ასე არ მიაჩნია და განაგრძობს:

„გიორგი ლეონიძე შესანიშნავი მკვლევარი იყო და, ცხადია, კარგად იცნობდა აკაკი წერეთლის პოეზიასაც. პოეტი-აკადემიკოსი უსაბუთოდ და ხელაღებით არ გამოიტანდა ასეთ დასკვნას. ალბათ რომელიღაც წერილობით ცნობას მიენდო.

მაგრამ ლექსის დაწერის თარიღი (1871 წ.) არასწორია და სოფელი ახალგორი ლექსის დაწერის ადგილადაც შეცდომით არის მიჩნეული".

ეს განცხადება მკითხველს აბნევს. აი, რატომ: თუ „პოეტი-აკადემიკოსი უსაბუთოდ და ხელაღებით არ გამოიტანდა ასეთ დასკვნას", რატომ უნდა დაყრდნობოდა მხოლოდ რომელიღაც წერილობით ცნობას? განა „შესანიშნავი მკვლევარები" ასე იქცევიან?

ლეონიძესთან მოპაექრე ავტორი შემდეგ ავითარებს იმ აზრს, რომ „ლექსი უთუოდ დაიწერა ქუთაისში, 1875 წლის 7 სექტემბერს". ამის დასამტკიცებლად კი შორს არსად მიდის და არისტო ქუთათელაძის მოგონებას იმოწმებს, რომლის მიხედვითაც თვითონ ქუთათელაძეს ჩაუწერია ეს ლექსი 1875 წლის 7 სექტემბერს. ამ ფაქტის სისწორეში რომ ყველანი დაგვარწმუნოს, იქვე პედაგოგ ლონგინოზ კიკვიძის მემუარს იმოწმებს, რომელიც არა თუ ამაგრებს ა. ქუთათელაძის აზრს, არამედ ეჭვის ქვეშ აყენებს. აი, ეს ამონაწერიც:

„1912 წელს რაჭაში (ბარაკონში) ყოფნის დროს, აკაკის ჰკითხეს: „ფასკუნჯიდან" შევიტყვეთ („ფასკუნჯში" დაიბეჭდა ქუთათელაძის მოგონება — გ. პ.), რომ „აღმართ-აღმართ" სულ ცოტა ხანში დაგიწერიაო. ნუთუ ეს მართალიაო?

აკაკის პასუხი ასეთი იყო: დედა შვილს რამდენიმე წუთში შობს, მაგრამ ცხრა თვე მუცლით ატარებსო".

ეს ნათქვამი იმაზე მიგვითითებს, რომ „აღმართ-აღმართ" არისტო ქუთათელაძეს მხოლოდ ჩაუწერია და ლექსი უფრო ადრეა ჩაფიქრებულიც და დაწერილიც. ესე იგი, სრულყოფილი, დახვეწილი ტექსტი უკარნახია აკაკის არისტო ქუთათელაძისთვის.

მიხეილ ალავიძის ამ წერილს ასე ჩაკირკიტებით არ გამოვედავებოდი, ის მოგონება, რომელზეც ავტორი შენიშვნას გამოთქვამს, მართლა რომ ჩემი იყოს, ანდა მისი ავტორი და გიორგი ლეონიძე რომ ცოცხლები იყვნენ. საქმე ის არის, რომ ორი კეთილშობილი სული შევაწუხეთ და უმიზეზოდ გამოვიხმეთ საიქიოდან. ნახეთ, რა დამაჯერებელია მოგონების ის სტრიქონები, რასაც ასე აუღელვებია ალავიძე:

„როცა ავტომანქანიდან გადმოვედით და ერისთავის სასახლეს მიმივუახლოვდით, გიორგი ლეონიძე დაწინაურდა, სერზე შედგა, მარჯვენა ხელი ასწია და... აკაკის „აღმართ-აღმართ" აქ დაიწერაო". აკი გ. აბზიანიძის გამოცემაშიც სწორედ ახალგორია მითითებული ამ ლექსის ადგილად და არა ქუთაისი. თუმცა, მე რომ მკითხოთ, დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, სად დაიწერა.

რაც შეეხება გიორგი ლეონიძეს, არა თუ „კარგად იცნობდა აკაკი წერეთლის პოეზიასაც", მის გვერდით ნამუშევარი სწავლულნი დამემოწმებიან, რომ მან ისიც კი იცოდა, სად, რომელ წიგნთსაცავსა თუ არქივში რა ნომრით ინახებოდა ქართველ კლასიკოსთა წიგნები თუ ხელნაწერები, ესა თუ ის სიგელ-გუჯარი თუ სხვა მნიშვნელოვანი საბუთი და ალავიძის თქმისა არ იყოს, ხელაღებით არ გამოიტანდა ასეთ დასკვნას: „აღმართ-აღმართ" ახალგორში დაიწერაო 1871 წელს.

**გიორგი პაპუაშვილი**

## ნუ ფავუყრუებთ

დღეს, ქაღალდის მწვავე დეფიციტის დროს, როცა სკოლისათვის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო ვერ დაგვიბეჭდავს, ქუჩებში, ჯიხურებში, მიწისქვეშა გადასასვლელებში უხვად იყიდება შიშველი ქალების პორტრეტიანი პლაკატები, პორნოგრაფიული წიგნები, სექს-ჰოროსკოპები და მსგავსი ხასიათის უამრავი ლიტერატურა, რომელსაც ძირითადად სკოლის მოსწავლეები ეტანებიან.

განა შეიძლება ამ ლიტერატურაზე ჯანსაღი თაობა გაიზარდოს? ვგონებ — არა. თვალის დახუჭვა [illegible]ეთ საქმეზე [illegible]რ ეგების.

**დავით აბაიშვილი,**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელი**

## წერილი რედაქციას

აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა დაიბადა 1898 წლის 14 (26) მარტს სენაკის რაიონის სოფელ საჩიქობაოში.

თავს უფლებას მივცემ შეგახსენოთ, რომ თბილისის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მრავალი უმნიშვნელოვანესი გამოკვლევის ავტორი, პროფესორი არნოლდ ჩიქობავა იყო მოსკოვის უნივერსიტეტის ლომონოსოვის სახელობის პრემიის ლაურეატი, ჰუმბოლდტის სახელობის ბერლინის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, დიდი ბრიტანეთის ფილოლოგთა საზოგადოების საპატიო წევრი.

1985 წლის 4 ნოემბერს იგი გარდაიცვალა. სულ მალე სოფლის თავკაცებმა მოგვახსენეს, რომ საჩიქობაოში უნდა გაკეთდეს არნოლდ ჩიქობავას სახლ-მუზეუმიო. სოფლის მოსახლეობა სიხარულით ცას ეწია. სასწრაფოდ გაასახლეს სასიქადულო მამულიშვილის ნასახლარზე მცხოვრები ოჯახი, დაასუფთავეს ეზო და მისი შემოგარენი. ასფალტის დაგებასაც დაგვპირდნენ, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა. ერთადერთი გაკეთდა ის, რომ სკოლას მიანიჭეს მისი სახელი და ერთ ოთახში მოაწყვეს სრულიად უმნიშვნელო საგამოფენო კუთხე.

ნუთუ შესაძლებელია, მსოფლიოში ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ნასახლარი ნასახლარად დარჩეს და იქ მისი სახლ-მუზეუმი არ იყოს.

სოფლის სახელით გთხოვთ დაგვეხმაროთ, რომ გავხსნათ არნოლდ ჩიქობავას სახლ-მუზეუმი.

**შუშანა ჩიქობავა,**

**სოფელი საჩიქობაო,**

„ხხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო“— ქართველი კაცის ნათქვამია და განსაკუთრებით ამ ათწლეულების განმავლობაში ვამართლებთ ჩვენსავე თქმულს... თითქოს ამ საშინელი სენისაგან განკურნება ვიწყეთ, ერთმანეთის სატკივარი გულთან მიუვიტანეთ. მაგრამ, ზოგჯერ ისეთ მწარე რეალობას შევეჯახებით, რწმუნდებით, არ განელებულა ჩვენში განცდა — „ნუ დაადგებ ძველსა გზასაო“...

საბჭოური სტრუქტურის ნაბოძებმა „უფასო“ მკურნალობამ რა განსაცდელამდე მიიყვანა ჩვენი მედიცინა და თავად ავადმყოფებიც, ყველამ ვიცით. ალბათ, ბევრს გააკეთებენ ჩვენი მედიკოსები ნორმალური ბაზა, მუშაობისათვის ელემენტარული პირობები რომ ჰქონდეთ (და განა მხოლოდ მედიკოსები?!), მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც ამ რთულ სიტუაციაშიც პოულობენ გამოსავალს და მიზანს აღწევენ. ერთ-ერთი მათგანი ბიჭიკო ახკურავაა...

ბევრი დაიწერა და ითქვა მკურნალობის მისეული მეთოდის შესახებ. ლაფიც ესროლეს და საქებარი სიტყვაც არ დაიშურეს. ჩვენ ამ საკითხში კომპეტენტურნი არა ვართ და ამიტომაც თავს ვიკავებთ, მაგრამ ფაქტია, რომ მკურნალ ახკურავაზე ლეგენდებს თხზავენ, მადლიერებით მოიხსენიებენ და მართლაც, ბევრს შეუმსუბუქა ტკივილი, ბევრიც ინვალიდობას გადაარჩინა, ცხოვრებას დაუბრუნა. მაგრამ მრავალმა (ვისაც ჯერ არ დასჭირვებია იქ მისვლა), არ იცის თუ როგორ, რა პირობებში ხდება მკურნალობა.

მაჩაბლის ქუჩაზე ყოველთვის ხალხმრავლობაა, მაგრამ დილაადრიან, მკურნალ ახკურავასთან მისავალთა გამორჩევა არ გაგიჭირდებათ...

სერვისის, სანიტარული პირობების დაბალი დონით ჩვენს ქვეყანაში ვერავის გააკვირვებთ, მაგრამ, რასაც აქ ნახავთ, ყოველგვარ ზღვარს სცილდება: პატარა ეზოში დგანან ავადმყოფი ბავშვები, ქალები, კაცები. თითქმის მთელი პროცედურა ეზოში ტარდება. თავად მკურნალი, ხუმრობით „სავეტ ჰოსპიტალს“ უწოდებს თავის ეზოს, მაგრამ გვერწმუნეთ, აქ უარესი მდგომარეობაა. ძალიანაც რომ ეცადო, ელემენტარულ სანიტარულ ნორმებსაც ვერ დაიცავ, თანაც ავადმყოფს დაბანა, გაწმენდა, მოწესრიგება ესაჭიროება. ზაფხულში არაუშავს, თბილა და გაციების საშიშროება მინიმუმამდეა დაყვანილი. მაგრამ ზამთარი უკვე კარს მოგვადგა... რა უნდა მოიმოქმედონ ავადმყოფებმა, პატარა პაციენტის მშობლებმა, ტკივილთან ერთად სიცივესაც უნდა გაუძლონ? დაგვეთანხმებით, ამ ხალხის ტანჯვასაც უნდა ჰქონდეს დასასრული.

„დახმარებას გვპირდებიან, როგორ არა, — განაცხადა ბატონმა ბიჭიკომ — მაგრამ დაპირებების იქეთ საქმე არ წასულა.

მინდა ვისარგებლო და თქვენი საშუალებით ულრმესი მადლობა მოვახსენო საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ნოდარ პითანავასა და ბატონ ირაკლი ანდრიაძეს. მათი ხელშეწყობით ივერიის ქუჩაზე საკუთარი სახსრებით ვაშენებ კლინიკას და საცხოვრებელ სახლს. ამ საქმეში ყველა ხელს მიწყობს. მაგრამ მოგეხსენებათ ჩვენი არეული დროის ამბავი. ხან მასალა არ არის, ხან მოძრაობაა გადაკეტილი. ყველაფერი რომ ვიშოვო, მშენებლობას ორი-სამი წელი მაინც დასჭირდება. მანამდე ახე ცის ქვეშ იყოს ეს ხალხი?

ადრე ხალხიც ცოტა მოდიოდა, მაგრამ დღითიდღე პაციენტთა რაოდენობა მატულობს: არის დღეები, ავადმყოფის მომსახურება რომ მიწევს ამ პირობებში.

აქვე რამდენიმე ოთახში მონკავშირი იყო მოთავსებული, მათ ვაკეში აუშენეს ახალი შენობა და იქ გადავიდნენ. კარგი იქნებოდა, რომ ეს ფართი ოფიციალურად, დროებით გადმოგვცემოდა.

განცხადებით მივმართე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს პატივცემულ ნოდარ პითანავას. მან თბილისის აღმასკომს გადაუგზავნა ჩემი განცხადება. ქალაქის აღმასკომიდან არც უარი, არც დადებითი პასუხი არ მიმიღია.

ძირითადად უარს იმით ხსნიან, რომ მშენებლობა მაქვს წამოწყებული. მაგრამ მანამდე რა ქნას ამ ხალხმა, ისინი მხოლოდ მინიმუმს მოითხოვენ — წვიმასა და ქარს თავი რომ შეაფარონ მხოლოდ.

მერწმუნეთ, ნორმალურ პირობებში მკურნალობას შედეგებიც უკეთესი ექნება. უფრო მეტ გაჭირვებულს დავეხმარებით“.

ვინც ერთხელ მაინც ნახა ტკივილისაგან გაწამებული ავადმყოფების სახეები, განუსაზღვრელი დროით ლოდინს ველარ მოითხოვდა მათგან.... ნუთუ დიდ ფუფუნებად ჩაგვეთვლება, რომ ფეხმოტეხილს ჩამოჯდომის საშუალება მივცეთ, პატარა ბავშვს ეზოში, სიცივეში არ ვაშიშვლებდეთ... გვინდოდა ავადმყოფებსაც გამოვსაუბრებოდით, მაგრამ ცალკერძ ტკივილისაგან, ცალკერძ ლოდინისაგან გატანჯულების შეწუხებას მოვერიდეთ.

ალბათ, ყურად იღებს ყველა ის, ვისაც ჩვენი თხოვნის დაკმაყოფილება ხელეწიფება და დაგვეხმარება. დიახ, დაგვეხმარება ჩვენც, თქვენც, თავის თავსაც, რადგან ყველანი ადამიანები ვართ და არ ვიცით როდის დაგვჭირდება მკურნალის ხელი.

ბოლოს, კვლავ ჩვენს საერთო სენს — გულგრილობას მივუბრუნდეთ, და ბრძენკაცის თქმულსაც დავესესხოთ: „ნუ გეშინია მტრებისა, უარეს შემთხვევაში მათ შეუძლიათ მოგკლან. ნუ გეშინია მეგობრებისა — უარეს შემთხვევაში მათ შეუძლიათ გაგცენ. გეშინოდეს გულგრილი ადამიანებისა, ისინი არავის კლავენ და არავის გასცემენ. მხოლოდ მათი უტყვი თანხმობით ხდება დედამიწაზე გამცემლობა და მკვლელობა“.

ნათია ჯაყელი



# ...განუსაზღვრელი დროით



აი, ასეთ პირობებში იღებს მკურნალი პაციენტებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი სურგულაძეს ჩვენი საზოგადოება იცნობს, როგორც ისტორიკოს-ეთნოგრაფს, ქართველი ხალხის სულიერი კულტურის უაღრესად საინტერესო მკვლევარს. მეცნიერული მუშაობის პარალელურად იგი კარგა ხანია წარმატებით მოღვაწეობს მხატვრული თარგმანის სფეროშიც. მან ბრწყინვალედ თარგმნა კუპრინის „სულამითი“, თომას მანის „ხჯულისდება“ და „შეცვლილი თავები“ (ზურაბ ჩხენკელთან ერთად), ხოლო ამჟამად იგი და ნანა გოგოლაშვილი შეუდგნენ ისეთ ტიტანურ საქმეს, როგორიც არის გადმოქართულება თომას მანის რომანისა „იოსები და ძმანი მისნი“.

ირაკლი სურგულაძის თარგმანები ყოველთვის გამოირჩევა ენის ულრმესი შრეების წვდომით, სტილური დახვეწილობით, ზომიერი ხატოვანებით და საოცარი ლექსიკური სიმდიდრით. ახეთად ვიცნობდით მას, როგორც მხატვრული პროზის შესანიშნავ მთარგმნელს.

მიუხედავად ამისა, მაინც მოულოდნელი იყო მისი გამოცხადება პოეტური თარგმანის ასპარეზზე. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ისეთ ურთულეს სამყაროს, როგორიც ბორის პასტერნაკის პოეზიაა. როგორც ჩანს, ირაკლი სურგულაძე, რომელიც წლების მანძილზე იკვლევს რელიგიური აზროვნების საკითხებს, განსაკუთრებით დაინტერესდა ბორის პასტერნაკის ჟივაგოსეული ლექსების იმ ციკლით, რომელიც ქრისტიანობის პრობლემატიკას ეხება.

მთარგმნელის სახახელოდ უნდა ითქვას, რომ მან, ჩემი აზრით, შესანიშნავად გაართვა თავი პასტერნაკის პოეტური აზროვნების ურთულეს ხვეულებს და შეძლო ქართულ ენაზე მაქსიმალური სიზუსტით გადმოეცა დიდნისეული ხატოვანი სამყარო.

ჩემს სასიამოვნო მოვალეობად ვთვლი ამ თარგმანების მკითხველისათვის წარდგენას.

ვახუშტი კოტეტიშვილი

# ბორის პასტერნაკი

## მოვლენა

მას, ბეთანიით იერუსალიმს მიმავალს გზაზე,
მძიმე ფიქრი და წინათგრძნობა მისდევდა კვალზე.

მკაწრავი ქაცვი ქარაფებზე იყო დამწვარი.
მახლობელ ქოხზე არ იძროდა ხვეული კვამლი.
ჰაერი ხურდა. ჩანდა ლელი უძრავად მდგარი.
ეძინა მკვდარ ზღვას, მოდუნებულს, სიცხისგან
დაღლილს.

ზღვის სიმწარეზე ცხარე სიმწრით შენაწუხები
ის მიდიოდა ღრუბელთ მცირე გუნდის თანხლებით
ქალაქისაკენ, მოწაფეთა კრების სახლებად
უცხო ეზოთა გასავლებით, მტვრიან შუკებით.

და ისე შთანთქა საკუთარი ფიქრების ძალმა,
რომ ველს, დახრუკულს, აუვარდა სუნი ნატუსლის.
გაწვა სიჩუმე. იგი მარტო იდგა შუაგულში
გაშლილ ტრამალის, მივიწყებით წანაყრუების.
ირგვლივ ყოველი აირია: უდაბნო, გვალვა,
ჯოჯო და მყვარი, წყაროსთვალი, გრილი რუები.

სულ ორ ნაბიჯზე გზის პირიდან ლელვის ხე იდგა,
მთლად უნაყოფო, მხოლოდ რტოს დაფურცლის
კრებული.
და უთხრა მან ხეს: „გიწესს კია შენ რამე ღვთისგან?
ან ვის რას არგებ, უმაქნისად გაშეშებული?

მე მწყურის, მე მსურს, შენ ცარიელ ტოტებით
ჰყვავი
და სახილველად გრანიტივით ხარ უსახური,
რადგანაც მადლი ზეციური არ გაქვს ნასხური.
ეგრეთვე დარჩი, საუკუნე ასე დაჰყავი!“

ხეს ყველა რტოში გაუარა განკიცხვის თრთოლვამ,
ვით ელვის ალმა მეხამრიდზე, წაკვესმა ცეცხლად.
[illegible]ვებ ჩანავლდა მთელი ტანით, დაცვივდა
ფერფლად.

რომ მისცემოდა თუნდაც წუთი თავისუფალი
ფოთლებს და ტოტებს, ან ხის ღეროს, ან ფესვებს
მისთა,
გაიბრძოლებდნენ კანონები ბუნების მყისვე.
მაგრამ მოვლენა მოვლენაა, ის არს უფალი.
როს განვირხევით, როცა კრთომას ვატარებთ
მკერდით,
უმალვე გვიწევს მისი ძალი, დაგვამხობს ფერხთით.

## მაგდალინა

### I

შეღამდება და ისიც აქ არის
ჩემი ცთომილი ცხოვრების ვალი.
მოდის ვით სისხლის მსმელთა ამქარი
სიძვაში განვლილ დღეების გალა,
როცა მრუშობის ლირწებით მთვრალი
მივენდე მამრის უკულმართ ძალას
და ქუჩა გახდა ჩემი საყდარი.

გაივლის კიდევ ორიოდ წუთი
და დამყარდება არყოფნა უხმო,
მაგრამ ვიდრემდე განგება უხმობს
ჩემი ცხოვრების ბოლო ზედაშეს,
მას, როგორც ჰურჭელს ალებასტრისას
დავამსხვრევ შენი სახის წინაშე.

რისთვის გამხადე ნეტავი ღირსი
[illegible]ძლვარო ჩემო და მაცხოვარო,
[illegible]რომ ჩემს ტაბლასთან თვით უკუნისი
ჩამოჯდა, როგორც მოსული რიგით
სტუმარი, იაფ ვნების მთხოვნელი,
შეტყუებული მეძავის ხრიკით.

მითხარი რაა სიკვდილი, ცოდვა,
ჯოჯოხეთი ან წუმწუმის თქეში,
თუკი აშკარად, დღის სინათლეზე,
როგორც ძლიერ ხეს წვრილი რტოები,
გერწყმი კაეშნის უსაზღვროებით.
იესო, მაღლით შენი ტერფები
დაესვენება ჩემს მუხლებს როცა,
მგონია ვსწავლობ მოხვევას ხელის
ჯვარის ოთხისმხრივ გათლილი ძელის,
გრძნობამიხდილი შენ ტანს ვეხები
და სამარისთვის სუდარით გმოსავ.

## მაგდალინა

### II

უქმის წინ სახლებს ზეიმიავსებს,
მე კი მახარებს შორს წასვლა მათგან,
მოვიდგამ ჰურჭელს, საცხებლით სავსეს
და შენს ტერფთ, ნათელთ, მირონით განვბან.

ხელს ვაცეცებ და სანდალს ვერ ვაგნებ,
რადგან თვალი მაქვს ცრემლით დავსილი
და თან სახეზე, თითქოს და განგებ,
ჩამომეშალა თმები ხავსივით.

შენს ტერფებს დაბლივ შევუშვერ კალთას,
დავალტობ ცრემლით, ვაჲ იესო,
მოვრთავ მძივით და დავაფენ კავთა,
თითქოს მარმაში გაახვიესო.

ახლა მომავალს ვჭვრეტ ისე ცხადად,
ვითომ შენ თქვი და შეჩერდა წამი.
მგონია ვიქეც გულთამხილავად
და ქადაგივით ავძრახდე ლამის.

ხვალ ისევ ერთად ვიდგებით, როცა
ჩამოეხევა საფარი ტაძარს
და ჩემი ცოდვის შემყურე მიწას
გააურჟოლებს და დაიწყებს ცახცახს.

გადაეწყობა მცველი რიგებში,
გაეფინება მხედართა ჯარი
და ვით მბრუნავი ქარი გრიგალში,
ცად აიჭრება ეგ შენი ჯვარი.

მე დავეცემი ჯვარცმის წინაშე,
დავკარგავ გონს და ჩავიჭამ ბაგეს.
ვინ იცის, რამდენ ვნებულის ნაცვლად
ხვალ საწამებლად გადაშლი მკლავებს.

ვის უნდა ნეტა ამდენი სივრცე?
ამდენი ტანჯვა, ამხელა ძალა?
არის ამდენი სული, ცხოვრება,
ანდა ქალაქი, მდინარე, ჭალა?

მაგრამ მე ველი ისეთ სამ ღამეს
სიცარიელის და ძლევით ნგრევის,
რომ ამ საშინელ განსაცდლის მერე
შენს აღდგომამდე მეც ავმაღლდები.

## ავი დღეები

მისულს იმ კვირაძლებზე
იერუსალიმის ბჭესთან
რტოებს უფენდნენ გზებზე,
ირგვლივ ოსანა ჰქქდა.

დღეებს ქუფრავდა რისხვა,
გულთ — მძულვარება ხარბი
და აღსასრულიც ითქვა
ზიზღით შეტეხილ წარბით.

ზეცა, ვით ტყვია ლიბრი
ეზოთ ებურა მქისედ,
ჩხრეკდნენ მელურებრ ლიქნით
ფარისეველნი მიზეზთ.

და დასდვა განსჯად ურწყთა
ის ტაძრის ბნელმა ნებამ,
ახლა კრულვიდა მიწყივ
ვინც ადიდებდა წელან.

ყორეთა ხვრელებიდან
ბრბო იჭყიტება კარში,
უვლიან ოთხი მხრითა
ავ განაჩენის ცდაში.

მოყივნება და მტრობა,
გესლი სიტყვად და ფიქრად,
ეგვიპტეს წასვლა, ყრმობა,
მოჩანს შორეულ სიზმრად.

შორით იელვა კოცხმა,
ფერდმა გოროზმა, მრეშმა,
სადაც მსოფლიო საყდრით
მას აცდუნებდა ეშმა.

კვლა სასწაული მეხად
კანას, ქორწილის ლხინზე,
როს წყნარად შედგა ფეხი
ზღვის ნისლდაფენილ პირზე.

ლატაკთა კრება ქოხში,
სარდაფს ჩატანა კვარის,
ალი, გამქრალი შიშით,
როცა წამოდგა მკვდარი...

## გეთსიმანიის ბაღი

შორეულ ვარსკვლავთა ნათება მქრქალი
ეფინა დამრეცზე დახვეულ გზას.
დაბლა ხმაურობდა ქედრონის წყალი,
ზე აღმართულიყო ელეონის მთა.

კორდი თითქოს ცაზე იყო გადამდგარი,
გადაღმა აენთო ნახტომი ირემს,
რომელზედაც ლამის გაეშალათ მხარი
ჭალარა, მოვერცხლილ ზეთისხილებს.

მანდვე ბაღი იყო, ვინ იცის ვისი,
იქ მოწაფენი დატოვა გზის პირზე.
უთხრა: „სულს მაწევს დარდი უმძაფრესი,
დამელოდეთ და ჩემსავით იფხიზლეთ“.

ძლევამოსილება და სასწაულქმედება,
როგორც ნივთი რამე, არადასანანი,
განაგდო თავისაგან, დათმო უშურველად
და გახდა მოკვდავი, კაცი კაცთაგანი.

და ღამე ეჩვენა ნაპირის მსგავსებად
გარს არარაობის და ნგრევის მტვერის.
სამყაროს გასცლოდა ყოველი არსება,
მხოლოდ ბაღში კრთოდა სიცოცხლის ფერი.

ცარიელს, უსაწყისოს და დაუსაბამო
ბნელეთის ჭა-ღრმულებს ჩააპყრო მზერა.
მამაო მიხსენო სიკვდილის თასისგან,
სისხლიან ცრემლებით ვედრიდა ზენას.

ლოცვით რომ დათრგუნა მზარავი ბნედა
უკანვე გაიარა მტილოვნის კარი.
მიწაზე, მტვერში დაყრილ მოწაფეთა
ღრმა ძილით აბმოდათ თვალი და მხარი.

შეალვიძა: „აღდექით, რადგანაც მაღლით
ჩემს წლებში ცხოვრება თქვენც დაგიწერეს.
დაჰკრა საათმა. ძე კაცის ახლა
ნებით მიეცემა ცოდვილთა ხელებს“.

თქვა და უეცრად მოაწყდა მოედანს
ბრბოები ჯგროებად ავაზაკ-დამცემის,
მაშხლები, დაშნები... წინ უძღვათ იუდა,
პირზე დაფენილი ამბორით გამცემი.

პეტრემ მომხდურებს მახვილი მიაბჯინა,
წინმავალს ყვრიმალზე დააჭდო კვალი,
მაგრამ ესმა: „სამართალს ვერ შეიქმს რკინა,
ჰე, ადამიანო, ჩააგე ხმალი.

მამას რომ ენებოს რაზმები ფრთასხმული
სახსნელად მოვიდნენ ზეცით.
მაშინ დამლეული და თავლაფდასხმული
უკვალოდ გაქრებოდა მხეცი.

მაგრამ არსთა წიგნში უკვე გადაშლილა
წმინდაზე უწმინდესი გვერდი.
ახლა გაცხადდება ის, რაც დაწერილა,
ამინ, დე აღსრულდეს ხვედრი!

ხედავ, დრო გავს იგავს. იგი მდინარებით
შემობრუნდება და მოიდებს კვლავ ალს.
სახელითა მისი საზარ დიდებისა
წამებას მივიღებ და სამარეს ჩავალ.

ჩავალ, რომ აღვდგე მას დღესა მესამეს
და მერე, ვით ტივები ტბორზე,
რიგებად გამოვლენ ბნელიდან მზისაკენ
საუკუნეები ჩემს სამსჯავროზე“.

თარგმნა **ირაკლი სურგულაძემ**

# პატრიარქი წავიდა!

ორმოცდაათიანი წლების ბოლოს, სამოციან წლებში ფეხბურთის მატჩის დამთავრების შემდეგ, „ქართული ფილმის" ძველ კომპლექსთან ორასამდე კაცი იყრიდა თავს — ძველი თაობის თბილისში მცხოვრები პოლიტპატიმრები, ვინც ას სიკვდილს გადაურჩა და სამშობლოში დაბრუნება არგუნა ყოვლის შემძლემ. დიდი ეროვნული თუ გლობალური კატაკლიზმები მრავალ განსაცდელს ქმნიან და შლეიფივით ტოვებენ უაღრესად საინტერესო ბიოგრაფიებს. ყოველი იმ კაცთაგანი პიროვნება გახლდათ ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით და საკვირველი წარსულის ტვირთით დადიოდა მზისა ქვეშე. მათ წრეში ბედუკუღმართი ნამყოს გამო მოთქმა და ვაი-ვიში ლაჩრობად ითვლებოდა — მხოლოდ იუმორი! იქნება, სწორედ ამ უნარმა დააბრუნა ეს კაცები სამშობლოში.

ამ ზალხში თავისი მშვენიერი გარეგნობით, ახოვნობითა და ოდნავ მღიმარი სახით მკაფიოდ გამოირჩეოდა ბატონი ალექსანდრე პაპავა — ახლობელთათვის საშა, ძია საშა... ადვილად შეინიშნებოდა, ეს კაცი სხვათაგან განსაკუთრებული ყურადღებითა და მოკრძალებული დამოკიდებულებით სარგებლობდა. ასე იყო ყველანაირ საზოგადოებაში. მასთან ყოფნა განსწავლული და გამოცდილი ადამიანისთვისაც კი, სკოლაში ყოფნას ნიშნავდა. სიმართლე უნდა ითქვას, მისი ცხოვრებისა და სამყაროსთან დამოკიდებულების პრინციპები უმრავლესობამ ან შევისწავლეთ, ან რაც გვქონდა მასთან ურთიერთობაში დავხვეწეთ, ან გავიზიარეთ. ადამიანი, ვისგანაც სხვანი ზნეობას სწავლობენ — უკვდავია, რადგან მისგან შეძენილს გარემოცვა, ნაწილობრივ მაინც, ითვისებს, შეთვისებული შვილებს, შვილთაშვილებს გადაეცემა და „ქვეყანა ჰგიეს უკუნისამდე". სულით ჭაბუკი იყო ბოლომდე. უსამართლო აკრძალვის არად ჩამგდები და ნებადართულისადმი გულგრილი: ყოველ 26 მაისს — პატიმრობაში შეძლებისდაგვარად, ციხეებიდან დაბრუნების შემდეგ აუცილებლად — ტაბახმელაში, ან სადმე სხვაგან, საძმო სუფრასთან ვიყრიდით თავს. დაკარგულის გამო სინანული, მომავლის მტკიცე რწმენა, უდროოდ აღსრულებულთა სულისა და ღვაწლის ხსენება, მოგონებები, ხევდა, მხიარულება იყო... დადგა დღე, ხელისუფლებამ 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის ოფიციალურ საზეიმო დღედ გამოაცხადა — აკრძალული ხილის მირთმევის ნებართვა ბრძანა!.. საშამ სინანულით გაიცინა, — ამაშიც გაგვამხილესო!

საშა პაპავამ ოცი წელიწადი გაატარა ციხეებსა და ბანაკების აშმორებულ ჯურღმულებში, ოთხმოცდარვა წელიწადი იცოცხლა, არასოდეს უღალატია სინდის-ნამუსიანი კაცის, თავდადებული მამულიშვილის მოვალეობისთვის და თავისი ცხოვრებით, არსებობის მაგალითით მრავალ ადამიანს აჩვენა სწორი გზა და სავალი. მისი სიცოცხლის დევიზი იყო — „სდექ მკვიდრად და ურყევლად!" მისი საქმე, შრომა, ოცნება და სახოება — თავისუფალი საქართველო. ამისთვის გაუმწარეს სიცოცხლე, დაუნგრიეს ოჯახი, მოსწყვიტეს მშობლიურ მიწა-წყალს და რამდენჯერმე დაუპირეს სიკვდილიც. ვერავინ ვერაფერი დააკლო, ვინაიდან განგებამ ბატონ ალექსანდრეს მეოცე საუკუნის საქართველოს უკლებლივ ყველა მნიშვნელოვან მოვლენასა და ვითარებაში მიაღებინა უშუალო მონაწილეობა, სიმართლეში ჩაახედა, უდიდესი გამოცდილება შესძინა. ამას დაერთო მისი თანდაყოლილი უებრო ნიჭიერება, ზუსტი ანალიზის უნარი, ბრძენკაცის გონიერება, ხოლო სიბრძნის წაქცევა, ცნობილია, ყველაზე დახვეწილ არამზადებსაც კი უჭირთ ხშირად.



ვერ წააქციეს, სიბერემ წაართვა იგი საქართველოს.

ცხოველმოსილი, სიცოცხლის სიხარულით სავსე კაცი იყო — მჭევრმეტყველი თამადა და ორატორი. ალბათ, ბევრს ახსოვს მისი გამოსვლები მიტინგებსა თუ რადიომაუწყებლობით. თავმდაბალი, მისაწვდომი, ოხუნჯი. ყოველი მისი ფრაზა თავისთავად იყო საინტერესო და „აისბერგით" დატვირთულიც. მშვიდი ღირსეული საუბარი იცოდა, მსმენელთათვის ჭკუის სავარჯიშო. ბოლომდე შერჩა საუკეთესო მეხსიერება, სმენა, თვალთახედვა და იუმორის გრძნობა. სულ ახლახან იყო, ოთხმოცდაექვსი თუ ოთხმოცდაშვიდი წლისამ ითამადა, კარში გამოსულს ჰკითხეს, — საშა, გენაცვალე, ჯანზე როგორა ხარო? მიუგო, — არაფერი მიშავს, ეგ არის ამ ბოლო დროს ღვინო გამაგრდაო ..

ათი დღე თუ ორი კვირა იავადმყოფა, პირზე სულ ის ეკერა, — არჩევნების შედეგს მომასწროს ღმერთმა, ცას ხომ არ გამოვეკერებიო, მეტი აღარაფერი მინდაო. არჩევნების დღეს გარდაიცვალა, საღამოხანს, როცა უკვე ცნობილი იყო, შედეგები თუ არა, მსვლელობა მაინც,

იმ ორასი კაციდან, „ქართულ ფილმთან" რომ გროვდებოდნენ, ათიოდეღაა ცოცხალი. უმრავლესობამ უდროოდ დატოვა ეს ქვეყანა. ღმერთო, საუკუნო სასუფეველი დაუმკვიდრე მათ — მართალთ და ძლიერთ! მიდიოდნენ ერთნი და გვემატებოდნენ სხვანი — თანამოაზრენი, ვინც მუდამ მზად იყო, გაევლო ბატონ ალექსანდრეს გზა, თუ ამას მამული მოითხოვდა. დღევანდელობით იყო ალტაცებული მოხუცი ბრძენი და პატრიარქი, ქართული სულის საყოველთაო აბობოქრებას რომ ჭვრეტდა და აღარც სიკვდილისა ეშინოდა.

თვალზე ცრემლით, მკერდზე მჯილითა და გულში სახოებით გაცილებთ, ძმაო და მამავ ჩვენო! მისვალ, შეგეგებიან შენზე ადრე წასული „მეთანამბოხნი"!

**ალექსანდრე პაპავას საძმო**

### შეცდომების გასწორება

ჩვენი გაზეთის 26 ოქტომბრის ნომერში ტექნიკური მიზეზით დაშვებულია შეცდომა: ჭაბუა ამირეჯიბის აქ გამოქვეყნებული ნაწარმოების სათაური უნდა იკითხებოდეს ასე: **„გორა მბორგალი"**.

◎

ჩვენი გაზეთის №42-ში, მე-2 გვერდზე დაბეჭდილ საუბარში ვალერიან ადვაძესთან მეორე სვეტის დასაწყისი უნდა იკითხებოდეს ასე „...ისევე როგორც კავშირის წევრები, არ შეიძლება არ იყვნენ სხვა პარტიების (არა მხოლოდ სკკპ) წევრებიც..." და შემდეგ როგორც ტექსტშია.

# გამარჯვება — იბერიელთ



რამდენიმე დღეც და დასრულდება საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ეს არ იყო მხოლოდ სპორტული ასპარეზობა; ვგონებ, თავგადაკლულმა სკეპტიკოსებმაც იწამეს, რომ ეროვნულ წიაღში ქართული ფეხბურთის დაბრუნება მარტო იმპერიული სისტემისადმი გამოხატული მტკიცე პროტესტი კი არაა, არამედ ეს არის ქართველი კაცის ბუნებრივი ლტოლვა საკუთარი სახლისაკენ, თავისი ფუძისაკენ. დიახ, ეს იყო ჭეშმარიტი **დაბრუნება**.

მომავალში ალბათ ფართოდ და გულდადინჯებით ვისაუბრებთ პირველი ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებაზე. ამჯერად კი გვინდა, გამარჯვებული ჩემპიონატის პირველ გამარჯვებულს, თბილისის „იბერიას", მივულოცოთ საამაყო და საპატიო წარმატება და ვუსურვოთ კვლავ მტკიცედ მდგარიყოს იმ ძლიერ ფესვებზე, რომლებიც ღირსეულ წინამორბედთა ოფლითა და ღვაწლითაა ნასაზრდოები.

**მიმომხილველი**

# მრისა და პიროვნების თავისუფლება

ჭეშმარიტი მრავალპარტიული არჩევნები ჩატარდა საქართველოში. მადლობა ღმერთს, არ გამართლდა შიში, რომ კომუნისტები მიმართავდნენ ფალსიფიცირებულ ზომებს ხმების უმრავლესობის მოსაპოვებლად. პირველი ნოემბრისთვის უკვე ცნობილი იყო რომ გაიმარჯვა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო". როგორც რეიტერის კორესპონდენტი აღნიშნავს, საქართველოში 69 წლის ბატონობის შემდეგ კომპარტია გარიყული აღმოჩნდა. რეიტერი იხსენებს 1978 წელს ქართული ენის სტატუსისათვის გამართულ დემონსტრაციასა და 1989 წლის აპრილში თბილისში დატრიალებულ ტრაგედიას, და დასძენს: კომპარტიის მარცხი მრავალპარტიულ არჩევნებში გორბაჩოვს კიდევ ერთ დაბრკოლებას უქმნის იმისათვის, რომ ცენტრმა მართოს რესპუბლიკები.

არჩევნებში გამარჯვების სასიხარულო ფაქტთან დაკავშირებით, ცხადია, ბევრ მისალოც დეპეშას ღებულობენ საქართველოში, ერთერთი დეპეშა რადიო „თავისუფლებამაც" მიიღო — ბ-ნ ზვიად გამსახურდიას გამარჯვებას ულოცავს ფინეთის ჰელსინკის ჯგუფის ხელმძღვანელი ჰეიმო რანდალი: „მხურვალედ გილოცავთ არჩევნებში გამარჯვებას, იმედი გვაქვს დამოუკიდებელი საქართველოს ნათელი მომავლისა".

30 ოქტომბერს მოსკოვში, სახელმწიფო უშიშროების შენობასთან გაიმართა რეპრესიებში დაღუპულთა ხსოვნის სამგლოვიარო დემონსტრაცია. დემონსტრაციაში მონაწილეობდა იური აფანასიევი და ოლეგ ვოლკოვი. მწერალმა ვოლკოვმა, რომელმაც მრავალი წელი გაატარა ბანაკებში, განაცხადა: ძერჟინსკის ძეგლი უნდა დაინგრეს. ბევრმა უცხოელმა ჟურნალისტმა გაიხსენა რომ საბჭოთა კავშირში პოლიტიკური რეპრესიები არა მარტო ოცდაათიან წლებში, არამედ 70-იან და 80-იან წლებშიც გრძელდებოდა.

ყოფილი პოლკოვნიკი ივან ერშოვი ალ. დუბჩეკთან და ჩეხოსლოვაკიელ ხალხთან ბოდიშს იხდის იმის გამო, რომ ხელმძღვანელობდა საბჭოეთის შეჭრას ჩეხოსლოვაკიაში 1968 წელს ალ. დუბჩეკმა მიიღო ბოდიში, მაგრამ აღნიშნა, რომ ამის დავიწყება არ შეიძლება. ერშოვი, რომელიც გააგდეს არმიიდან, სხვებთან ერთად დგას გრძელ რიგებში.

60 წელი გავიდა დიდი მიკრობიოლოგის ვლ. ხავკინის გარდაცვალებიდან. ხავკინი დაიბადა ოდესაში, 1884 წელს; დაამთავრა ნოვოროსიისკის უნივერსიტეტი. გახდა ქრისტიანი და მიიღო პროფესორობა, მაგრამ ამის შემდეგ დატოვა რუსეთი და გაემგზავრა შვეიცარიაში. მისი პირველი აღმოჩენა — შრატი ქოლერის წინააღმდეგ, რუსეთში უკუაგდეს იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც ხავკინმა დატოვა რუსეთი; ამ აღმოჩენით დაინტერესდა დიდი ბრიტანეთი, როცა ინდოეთში იფეთქა ეპიდემიამ. ინგლისის ხელისუფლებამ ხავკინს მაშინაც მიმართა როცა შავი ჭირი გავრცელდა ინდოეთში — დიდი მიკრობიოლოგი ორი წლით გაემგზავრა იქ. გარდაიცვალა 1930 წელს — მას გული აწუხებდა. ხავკინი გენიოსის თვალით უყურებდა სიკვდილს, როგორც ბუნებრივს, გარდაუვალს. ის თანხა, რომელიც შვეიცარიის ბანკში ჰქონდა ვლ. ხავკინმა რელიგიურ სკოლებს უანდერძა.

— მე ყაზარმული სოციალიზმის წინააღმდეგი ვარ, სოციალიზმი სამართლიანობაა, ამბობს მ. გორბაჩოვი, მაგრამ ეს ზოგადი აზრია. სოციალიზმი სრული უტოპიაა და მან მარცხი განიცადა, თუ სახელმწიფო ყაზარმულია, სოციალიზმიც ყაზარმულია.

ნიუ იორკი. ვიქტორ პერელმანი: გარდაქმნა — გარდაქმნის გარეშე, საბჭოთა ადამიანი არ გარდაქმნილა, იგი იგივე დარჩა, ადამიანმა გამოიჩინა არა შრომის, არამედ ლაპარაკის განსაცვიფრებელი უნარი. „განვითარებული სოციალიზმის" ქვეყანაში, იმ სისტემაში, რომელიც „კაცობრიობის ოქროს სიზმარს" ეფუძნებოდა, ეს ასეც უნდა ყოფილიყო. გაუგებარია, რა დარჩა სოციალიზმიდან და სურს თუ არა საბჭოთა ადამიანს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. ბაზარი საბჭოთა ადამიანისგან მოითხოვს იმას, რასაც არ ითხოვდა ნომენკლატურა, სახელდობრ: პირადი პასუხისმგებლობა და ინიციატივა. სწორედ ბაზარი დაამხობს ყველაფერს. ის ისეთ ძვრებს და რეჟიმის ისეთ ნგრევას გამოიწვევს, რომ გარდაქმნა მასთან შედარებით ნელ სიოდ მოგვეჩვენება. მაგრამ შესწევს კი ძალა სსრკ-ს ახლა ამისთვის? დასავლეთშიც კი, ზოგჯერ ეპოქები იყო საჭირო. მე დარწმუნებული არა ვარ, რომ აპარატი იოლად დათმობს კარგ ცხოვრებას და იარაღს არ მოჰკიდებს ხელს. შესაძლოა საქმე დენთამდე არ მივიდეს, მაგრამ არ იქნება ეროვნული თანხმობა. ხუთი წლის წინათ ნობელის პრემიის ლაურეატი ნიუტონ ფრიდმანი ამბობდა: სსრკ-ში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა არავითარ ჩოჩქოლს არ გამოიწვევს, იქნება უპირატესობები და კარგი ცხოვრება, მაგრამ არა ნომენკლატურისთვისო; ახლა ეჭვი მეპარება რომ ასე იქნება.

ბროდვეი, სტუდია „17. 75": „აპტაუნი" ნიუ იორკის ერთი კვარტლის გაზეთია, მისი ერთერთი მკითხველი აღნიშნავს, რომ მისთვის სწორედ „აპტაუნია" ყველაზე საინტერესო გაზეთი: „აპტაუნს" ხელად წაიკითხავ, თანაც იგი იმ კვარტალს ეხება, სადაც ცხოვრობ, თავად ხდები იმ თემის წევრი, სადაც შენი შვილი სწავლობს, იცი, რომელ ქუჩაზე გადავა, როცა იგი სკოლაში მიდის და ა. შ.

აქაც, ისევე როგორც მთელ შტატებშიც, ორი ტიპის სკოლებია, კერძო — ფასიანი და საზოგადო — უფასო. კერძო სკოლის დირექტორი: 400 მოსწავლეა სკოლაში, ყველას აცვიას ფორმა. სკოლაში 35 მასწავლებელია, სამი კაცი ადმინისტრაციაშია, სამი მედიცინის და გვყავს და ერთი — ბიბლიოთეკარი. მე თვითონ ლონგ აილენდზე ვცხოვრობ, ჩემმა შვილებმა შესანიშნავი განათლება მიიღეს, მაგრამ არა კერძო, არამედ საზოგადო სკოლაში.

ჩვენი დევიზია — ერისა და პიროვნების თავისუფლება, და ამასთან დაკავშირებით გვაგონდება დიდი ილიას სიტყვები „ქვათა ღაღადიდან": „ერს რომ გზა შეუკრა წარმატებისა, რაც გინდ პატარა ერი იყოს, — არავისთვის არც მოსაწონია, არც გამოსაყენებელი".

**„თავისუფლებისა" და „ამერიკის ხმის" რადიოგადაცემებიდან.**

**„ლიტერატურული საქართველოს" რედაქციის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს თანამშრომელს მედეა ქარელიშვილს მამის**

**გიორგი ქარელიშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

გაზეთი დაკაბადონდა 7 ნოემბერს.

რედაქტორთა საბჭო.

სარედაქციო კოლეგია: თამაზ ბიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზვიად გამსახურდია, ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ანა კალანდაძე, ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ ჭილაძე, ელიზბარ ჯაველიძე (მთავარი რედაქტორი).

პასუხისმგებელი მდივანი გივი ჯოხაძე

მორიგე რედაქტორი ივანე ამირხანაშვილი.



რედაქციის მისამართი: 380005, თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №2

ტელეფონები:

მთ. რედაქტორის მისაღები — 99-84-04.
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
პასუხისმგებელი მდივნის — 99-67-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-63; 99-03-65. 95-36-68.
რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.
მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლიტერატურული საქართველო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СП ГРУЗИИ

გამოდის პარასკეობით